


ასე 9321  
3

# ენანი



ტფ ღ ღ ღ  
ელექტრო-მძევდავი „შრომა“, მუხრანის. ქ. № 12.  
1916



25899

alp K 9321 — 8.5.2015-19305  
3

გასწი, მერანო! შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი!

თბილისი

ელექტრო-მშეკრავი „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.

1916



J.2.



ପ୍ରେରାନ୍ତ— ନାଥାରୀ ଜଳ. ଶ. ଗ୍ରାମଟାଙ୍ଗିଲା.



## სალამური

გულის სილრმიდან ამოგჭერ,  
გრძნობით შეგდებე, გიარე;  
მე სულის კვნესა ჩაგბერე,  
შენ მამულს გაუზიარე!  
სამგლოვიარო სიმღერით  
მთაბარი შემოვიარე:  
წუხილს მოვსთქვამდი მშობლისას,  
უცხოც კი დავაიარე.

ახ, სალამურო, ერთგულო,  
ჩემო სულო და ტრფიალო!  
ურვა და ცრემლი მომბეჭრდა,  
ხმა უნდა შეატრიალო:  
დღეს მე მწყურიან ზეამ,  
ვარამა გავატია ლო  
მსურს სამხვთო ცეცხლად გარდვიქვე,  
შენთან დავიწვა, ვიალო,  
სამხიარულო ალამი  
ჩემს ეჩში ავაფრიალო!  
დაუკარ შვების სიმღერა!  
დაუკარ, უნდა ვიამო,—  
თორემ დაგამტვრევ, ერთგულო,  
ჩემო სულო და ტრფიალო!!

## 0. გრიშაზვილი.

### რა კარგი ხარ, რა კარგი!

რა კარგი ხარ, რა კარგი! კოხტა, ზღვისფერ-თვალება,  
თმებზედ ღამე გიცინის, პირზედ — ღლის ბრწყინვალება.  
რა კარგი ხარ, რა კარგი! შუშპარა და მჩქეფარე,  
როცა მოვკვდე, გენაცვა, ძეგლად გადამეფარე!  
სიომ ძლივს ინახულა, სადაც გძინავს, ის ბინა  
და შენს ტუჩზე გულნარის ვარდი ააბიბინა.

სპილომ ძვლები დაიფშვნა რამდენიმე წვრილ კბილად  
და მარჯნებში ჩაგიბა მარმარილოს ბორკილად.

რა კარგი ხარ, რა კარგი! კოხტა, ცელქი, მჩქეფარე,  
როცა მოვკვდე, გეთაყვა, ძეგლად გადამეფარე!

სუნთქავ! და მაგ სუნთქვისგან რო მიბრძანო შენს მწერალს,  
ფსალმუნს დავწერ, ღვთის ფსალმუნს, საგალობელ-სამღერალს.

მზე შიშობს, რომ მასზე წინ იას არ შეეყარო,  
შენს სიარულს აჯავრებს დარხეული მთის წყარო.

რა კარგი ხარ, რა კარგი! კოხტა, ცელქი, მჩქეფარე,  
როცა მოვკვდე, ლამაზო, ძეგლად გადამეფარე!

თუმც ქალის სიყვარული, მზის წყალივით ჩანჩქარა,  
ვსე სწრაფად გაირბენს, ისე სწრაფად და...ჩქარა,  
იით სარკეზე ნაორთქლი, ვით სრიალი ტყის გველის,  
ან ვით თითი კლავიშზე, რომელიმე დამკვრელის.  
ვის არ ვხედავ შენს გვერდით შენსა გარეშემოსა,  
ეგ სიტურფე, მითხარი, ქებით ვინ არ შემოსა,  
ვის არ უნდა შენს გულში ადგილი დაიჩემოს?  
ვის არ უნდა, მითხარი, შენი ტრფობა იგემოს???  
მე კი რით გაგაკვირვო, რომელ ქათინაურით?  
მე ჩუმი ვარ, გენაცვა, ვერ მოგხიბლავ ხმაურით,  
ვერ მოგხიბლავ სიტყვებით, ვერ მოგხიბლავ და... მგონი  
სიტყვა ჯერ არ არსებობს, შენთვის გამონაგონი!  
და მიტომაც მე მინდა, რომ ეგ სახე, ლამაზო,  
ჩემის ფრჩხილით დავკაწრო, ჩემის კალმით დავხაზო,  
ლოყებზე დაგიჯღაბნო რაღაც უცნაურება,  
რომ სარკეშიც შეგზარდეს შენი სახის ყურება.—  
მაშინ ბრძო მყის დაგტოვებს, ბრძო წუთით ანათროლი,  
გაგეცლება როგორც ხეს შემოდგომის ფოთოლი.  
და დამრჩები მხოლოდ მე, ვით სიცოცხლეს საწუთრო,  
და შევიძლებ, რომ ერთმა ერთი დაგისაკუთრო,  
მხოლოდ ჩემთვის იცოცხლებ, მხოლოდ, მხოლოდ და მხოლოდ,  
და გახდები მგოსნისთვის გამოუცნობ სიმბოლოდ!  
რა კარგი ხარ, რა კარგი! კოხტა, ზღვისფერ-თვალება.  
თმებზე ლამე გიცინის, პირზედ—დღის ბრწყინვაღიება.  
რა კარგი ხარ, რა კარგი! კოხტა, ცელჭი, მჩქეფარე,  
როცა მოვკვდე, გენაცვა, ძეგლად გადამეფარე.

წალვერი 1914.

## სიკვდილ-სიცოცხლის ცეკვა.

ვით ნიავი, ცელქ-ნარნარი, ხან მალი და ხანაც ნელი  
დასკერიალებ შენ ჩვენ შორის მშვენიერი და სურნელი.  
მარმარილოს ღვთიურ ნაკვთის, ახ, ვინ არის ნეტა, მთლელი,  
მოქანდაკე მიწიერი, თუ ბრწყინვალე ოლიმპელი?!  
თვით შვენება მოხიბლული გვირგვინს გადგამს ტურფა თავსა!  
ცა და მიწა ერთად შენში ვინ და როგორ მოათავსა?  
თვალნი შენნი სხივმფენარნი ათეთრებენ ლამეს შავსა  
და ადნობენ ჩამოწოლილს კაცის გულზე სევდის ზვავსა!  
დასაკოცნელ თლილ ნაზ ფეხებს მიწას თითქმის არ აკარებ.  
შოძრაობას მათსა მოქნილს ხან ანელებ, ხან აქარებ!  
ხან მოლელავ ზვირთივითა, ნაკალივით ხან წანწკარებ—  
თავის ჩრდილსა ეცელქები: დასდევ და ხან თავს აპარებ!  
ზამბახოვან ხელების შლა ფრენად გიქცევს სიარულსა,  
ცეკვით სახავ გზაფხულსა, ნორჩის, უზრუნველს, მხიარულსა,  
ყოვლი კუნთი გითამაშებს, პფენ გარშემო სიხარულსა  
მოხდენილის მიმოხვრითა სურათხატავ სიყვარულსა:  
ხან ლრმას, ჩუმსა, დამშვიდებულს ანგელოზთა ტრფობის გვარად  
ხან დემონის კოცნასავით დამწველს, ქცეულს ცეცხლის ღვარად!  
სიყვარულსა, განცდილს მთებზედ, სადაც თოვლი ბრწყინავს  
მარად,  
სიყვარულსა, მიმოფანტულს ყვავილებში ველად, ბარად!..  
ცეკვავ, ცეკვავ ოდნავ ფურჩქვნილ სურნელოვან ტანის რხევით,  
მოელვარე სიცოცხლისა მწველ ნაპერწკალთ მიმოფრქვევით!  
დასრიალებ ვით ოცნება, ქალწულობის ამბრის კმევით.  
შენ ბაგეზედ დასაკონად ჩამობრძანდა თვით მზე ქვევით!..

\* \* \*

და აქვე, აქვე, ზურგს უკან ჰელი გუბუზებს ცეცხლი და ალი!  
 სიკვდილი დაჭრის, ნავარდობს, ვით სისხლის მსმელი ალალი!  
 მარჯვნივ თუ მარცხნივ... წინ... უკან... გზა არსადა სჩანს სავალი!  
 ჰოე, კრულო კაცოა გენიავ, ჭირი დასთესე მრავალი!!  
 აქ ისევ ჯოჯოხეთია... კვლავ ყუმბარები სკდებიან...  
 ერთმანეთს გაბოროტებით მოყვასნი ეკვეთებიან!  
 ბრძოლაში გადახლართულნი კვნესით და წყევლით კვდებიან:  
 მახვილით ხელში ამდგარნი მახვილისგანვე სწყდებიან!  
 ვაი რა ძვირიდ დაფასდა მიწის ყოველი მტკაველი:  
 კაცის ხორცითა, ძვლებითა მოთენილია მთა-ველი!  
 თვით ბელზებული შეძრწუნდა ამ სასაკლაოს მნახველი.  
 და დაანთხია მიწამა რაც კი რამ ჰქონდა ნაღველი!  
 ტვინი და გული ტალახსა შერიეს ტლანქის წიხლითა!  
 მთლათ გაიუღენთა ხმელეთი შმაგად დაღვრილი სისხლითა!  
 ახალს ზღვას აჩენს ეს სისხლი. მდინარებითა წითლითა,  
 სამყარო. შემოიბურა გვამგაცლილ სულთა ნისლითა!..  
 ტანჯვა-ვაების გოდებამ ზარბაზანთ გრგვინვა დაპფარა,  
 ცრემლთ ოკეანე ქვრივიაბოლთ მწუხარე თვალმა დაპლვარა!  
 სულის წალკოტი დიადი მახვილმა ჰყაფა, დაპბარა...  
 ახ, ქვეყნის ბედი ქვესკნელსა რომელმა ცუდმა აბარა?!  
 ცაო რათ სდუმხარ აქამდისი... შენც ხომ გენგრევა კამარა!  
 ლმერთო სადა ხარ! შესწყვიტე ეს საზარელი ნალარა!..

\* \* \*

ჰო, შენც აქ ხარ... ცეკვას უმზერ... მესმის!.. მესმის  
 სევდა შენი!..

ტურფავ ეხლა მაინც მიხვდი, თუ რა ხარ, და როგორ ჰშვენი!  
 დაგვავიწყე ყოველივე, ქარს მიეცი სევდა ჩვენი ..  
 ჰა, გვირგვინი ჩვენ გულთაგან, ლვთაებრივო, მიიძლვენი!..  
 ჩემი მხრისა ჰანგი მესმის... ახმატკბილდა საზანდარი!  
 ნეტა, თარის, გრძნეულ თარის, ქვეყნად არის ჩამ სადარი?  
 მოლხენილმან გააცოცხლოს, ააცეკვოს იმან მკვდარი,  
 მწუხარემ კი თვით ედემსა ათქმევინოს გლოვის ზარი!..  
 წელში ნაზად გაიმართე, დიდებულად გამობრძანდი...  
 სუმბუქს, ყვავილთ ფშვინვასავით, დედოფალსა ლმერთქალს.  
 ჰგვანდი!

აფროდიტეს, ან დიანას შესაძარად მოვიყვანდი;  
 მაგრამ შენთან ფერმკრთალობენ, ვითა მზესთან მისი ლანდი!  
 ხან გასხლტები მერცხალივით, მიმოაფრენ დარბაზს ქროლვით,  
 მიისწრაფვი წინ თამამაღ, ხან უკურბენ შველის ლტოლვით!  
 ხან დასცურავ გედივითა თლილ ყელის და მკერდის ბროლვით,  
 ხან შესდგები ერთ ალაგას ანთებული ვნების თრთოლვით! .  
 ვსტკბები, ვსტკბები ჩემ მხრის ცეკვით! .. ცეცხლი მოსჩქეფს  
 თარის ხმელი!

ჩვენ მიზანი სიცოცხლისა აქა ვპევეთ, ამ ცეკვაში!  
 შემოგცერით სულ განაბვით, ვიძირებით ეშნის ზღვაში...  
 ვაშა, ვაშა, გულის მწველო! .. ყმაწვილებო, ტაში, ტაში!! .



\* \* \*

შორს... ჩრდილოეთში მინდორი.. მეომართაგან შთე-  
 ნილი...

ახ, კვლავ სიცოცხლის ყლორტები სიკვდილის ფეხქვეშ თე-  
 ლილი!

კვლავ სისხლი, სისხლი ქვეყნისა გაჭრილ ძალვიდან დენილი...  
 მინდორი, ყვავილთ ნაცვლადა გახრწნილ გვამებით ფენილი! ..

ვინ ოხრავს იქ სულთმობრძავი, დაჭრილი, დაწყლულებული, ბუნების ნაქანდაკევი უსწორო, დასრულებული, სიცოცხლის განთვალშედა სიკვდილის კოცნით ვნებული: ჩემი სამშობლოს რაინდი, მთათა არწივი ქებული! ბედმან რათ გაგვაზომიხა ჩვენ ჭირი სიგრძე განითა? რატომ არა ხარ ჩვენ შორის, გმირო, შენ საროს ტანითა ვეფხვო სიმარდე-სიფიცხით, ლომო ლონითა, ჯანითა... მშობლის წილი დაძინებულო თოფზარბაზანის ნანითა! სად არის შენი სიმკვირცხლე, ციდამა ვარსკვლავთ მომხსნელი? ფალავანობა-ნავარდი, სარმანი მოკლე და გძელი, მოგვერდი მოულოდნელი. კისრული თავსბრუ დამსხმელე? ძლივს იძვრი, გმირო, ლეკურში ელვისებრ ფეხის გამსმელი! და... სადაური სად კვდება! . რათაო, ღმერთო, ოჰ, რათა! ცრემლმა დასთხარა თვალები დედას, ცოლს, ქცეულთ ახვრათა! ვახ, მამულს, ოფლით მორწყულსა, უვლელსა შთენილს თხრათა,,

საქართველოსა, ჰე ბედო, რას დაპურენ ალალ ქორათა?!

სულს ლაფაჭს .. მინდვრის აკვანში სიკვდილის ხელით რწეული . თან წამოლებულს მშობლიურს მიწას გულს იკრავს ეული, უცხო ცის ქვეშა... სხვის ჭირის გასაქარვებლად წვეული... უაზრო ბრძოლის კვერითა, ვაი, უაზროთ მსხვრეული!


\* \* \*

ეს სურათი ტვინს მიმსჭვალავს.. . და არ ძალმიძს..

გესმით, არა!

შენ კვლავ ცეკვავ, მშვენიერო... ოჰ, წყეულო, შესდექ, კმარა! რას ტრიალებ ჩემს გარშემო სულელურად, ვითა ჯარა, აქ სიკვდილის სახის წინა რას კუნტრუშობ, რამ გახარა?! შესდექ. სანამ არ დაგახჩე ამ ხელებით - მეტიჩარა . მეზიზლები, მეზიზლები შენც და შენი ტრფიალთ ფარა!!

მაგრამ არა! მაპატიე!.. ტანჯვა სევდის ვერ ამრიდე,  
დავიღალე... დავიღიე... ოვალთ მიფარავს სისხლის რიდე!  
ჩამითრიე მეც ცეკვაში მსურს ცრემლებსა ლხენის ვლვრიდე!  
გამაცოცხლე!.. შავ სიკვდილის ხრწნილი სახე ამირიდე!...  
და შენ ცეკვავ, ყვავილოვან, სურნელოვან ტანის რხევით,  
მოელვარე სიცოცხლისა მწველ ნაპერწყალთ მიმოფრქვევით!  
დასრიალებ ვით ოცნება ქალწულობის ამბრის კმევით,  
შენ ბაგეზედ დასაკონად ჩამობრძანდა თვით მზე ქვევით!.



## ცხოვრების მგზავრი

სახეზე ბურუსი გადაჰკროდა: მძიმე ფიქრს გაეტაცნა. ხანდახან ირკვეოდა და ნაღვლიან თვალს მიდამოს ავლებდა: თითქოს რილასიც დანახვას ცდილობდა..

ერთ მხარეს თვალუწვდენელი ველი იყო, მეორე მხარეს ზღვა და მთები, წინ გაუთავებელი შარა გზა ედო გასავლელი და ფეხს კი ნელ-ნელა მოადგამდა

— ხომ არ გინახავს? — შეეკითხა აღმა მიმავალს მგზავრსა — განა არ იცნობ?.. ის მოლის ლალანია, ის ყვაილთა შეერთებული ლიმილია!

— რა გინდა, ადამიანო?.. რა დაგიკარგავს, რას ეძებ? — უთხრა გულალრენით აღმა მიმავალმა.

— განა მატო დაკარგულს ეძებენ!..

— მაშა?

— დამალულსაც:

— ნეტავი შენა, რომ ხუმრობის გუნებაზე ხარ! ზოგი მე მკითხე!.. — შეუტია მგზავრმა და მოშორდა.

თვალი გაადევნა და სინანულით თავი გააქნია.

— შენა?.. გინახავს?.. — მიმართა ახლა მეორეს. — რატო აგრე მიყურებ?.. ის ცისარტყელების მათამაშებელი მქუხარე შხივია, ის მზეში დაფერილი ზღვის ტალღათა მოგუგუნე გუნდია! —

— გიუია! — წამოიყვირა მგზავრმა და გზა აუქცია.

— გიუი დამარქვა, გიუი! — წაიჩურჩულა თავისთვის და მწარედ გაილიმა.

ველზე გადავიდა. წინ ყვაილები მიეგებნენ.

— თქვენა, ყვაილებო, თქვენა?.. იცით?..

ყვაილებმა ნაზის რხევით თავი დაუქნიეს.

— ჰო, ვიცი რომ იცით, მაგრამ განა მეტყვით? ყვაილებმა ნაზად თავი გაიქნიეს.

გულმა წუხილი დაუწყო. ისევ შარა გზაზე გადავიდა.

— იქნება შენ გენახოს, მითხარი! — უთხრა მუდარით  
მესამე მგზავრსა. — ის წარბშეუხრელი მთაა, ის ზღვის ძლიე-  
რი მსუნთქავი მკერდია!

მგზავრმა ყურადღება არ მიაქცია. პირზე ლიმი უკრთოდა:  
ტკბილ ფიქრებს გაეტაცნა.

— მაშ არ შეგხვედრია? — შეეკითხა ხმა მაღლა უცნ  
რი ადამიანი.

— მითხრა, მიყვარხარო, და სამოთხეში ვგრძნობ ჩემ  
თავსა, — წამოილაპარაკა მგზავრმა, — ოჯ, უკაცრავად!.. ბოდიშ  
ვიხდი... მეკითხებოდით?.. ვინა ბრძანდებით?

— ცხოვრების მგზავრი...

— ჰი! ჰი! ჰი! — შეჭითხითა შეყვარებულმა — მე კი უმ-  
რალო მგზავრი ვარ.

ცხოვრების მგზავრი ცივად მოშორდა და შარა გზას გა-  
დაუხვია.

ზღვასთან მივიდა.

ზღვა რუხრუხით მიესალმა.

— იცი განა ზღვა?

ზღვამ პასუხად ტალღები შეათამაშა.

— ვიცი, არ მეტყვის, — სთქვა გულდაწყვეტით ცხოვ-  
რების მგზავრმა. — ზღვა საიდუმლოს არ გასცემს.

შარა გზაზე მომავალთ თვალი მოჰკრა და მაჟკენ გა-  
შურა.

გამოელაპარაკა.

— იქნება თქვენ იცნობდეთ?.. ის წყაროს ულმურტუ-  
ლია, მდინარის დუდუნია!.. ის ბულბულის მკვნესავი სტვე-  
ნაა, ის მტრედის ლულუნია! ის ქარის ხმა არის, სალამურია...  
ის ფოთლის შრიალია, ლელწმის რხევაა... ნიავის კოცნაა...

მგზავრები გაოცებით უცქეროდნენ, ვერ მიმხვდარიყვნენ  
უცნაურის ადამიანის ლაპარაკსა. ცხოვრების მგზავრის თვა-  
ლებში ძლიერი ტანჯვა აღიბეჭდა: პასუხი კიდევ ვერ მიიღო.  
სასოებადა ურგული ისევ შარა გზას გაუდგა. აღარავის ეკით-  
ხებოდა, აღარავის აქცევდა უზრადღებას... მხოლოდ-და სივრ-  
ცეში იცქირებოდა...

საფლავში ჩაუშვეს და მესაფლავების ანაბარა დასტოვეს.

— ესაც ასრე, — სთქვა ერთმა მესაფლავემ. — ბედშავი სულ რაღაცას ეძებდა და ისე მიჰბარდა მიწას რომ ვერ იპოვა.


— თავის დონეზე არ იყო, — დასძინა მეორემ.

— ეჭ შენცა ერთი!.. განა ჩვენ კი არ გვაწუხებს ის რაღაცა!.. უნებურად ვიცქირებით აქეთ-იქით და ვეძებთ... ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს...

მესაფლავემ ლაპარაკი შესწყვიტა: მოშორებით ყვაილებს თვალი მოჰკრა: მინდვრის შვილნი ერთად შეჯგუფულიყვნენ და დარცხვენით ერთმანეთს ეალერსებოდნენ.

მესაფლავე გაექანა, დაჰკრა ბარი და მთელი ყვაილთა გროვა რამდენიმე ბელტს ამოაყოლა. საფლავთან მოარბენინა:

— ძალიან უყვარდა განსვენებულს, — სთქვა თანაგრძნობით გულწმინდა ადამიანმა და საფლავის ამობლოცვილს. ნაშალ მიწას ყვაილიანი ბელტები შემოურიგა.



# წაგართვი, მზეო, წაგართვი!

პატარა ხევთან, ორი ნაბიჯის მოშორებით, ალვის ხემ ამოიხეთქა. მდინარეს ნორჩი მცენარე ძალიან შეუყვარდა და სულ იმისათვისა ზრუნავდა. მთის შვილი თავის ახალ სატრ-ფოს ლამე წანწკარით ნანას ეუბნებოდა და ტკბილ ძილსა ჰგვრიდა, დღისით კიდევ მარგალიტის ცვრებს ესროდა. ალ-ვის ხეც მეზობელს კმაყოფილებით თავს უქნევდა, ალტაცებუ-ლი ფოთლებს ათამაშებდა და თავის სიყვარულს ადასტუ-რებდა.

განვლო დრომ. ალვის ხეს მდინარის ცქერა-ალერსი შო-ბეზრდა, მზის სიყვარული ჩაუვარდა გულში და მაღლა-ლა წავიდა.

— სად მიხვალ ჩემო ლამაზო? — შეჰმურმურა გულნატ-კენმა ხევმა — რატომ ალარ მიცქერი? ხომ იცი, რა რიგ მიყ-ვარხარ?

— გული აქ მემორჩილება, მუგობარო! — შეჰშრიალა-დარცხვენით მცენარემ. — მზისაკენ მიიწევს..

— მაშ შენ სხვა შეგიყვარდა?! — წამოიძახა კვნესით მდი-ნარემ და მწარედ ატირდა.

მაგრამ ალვის ხის გული ტირილმა ვერ მოალბო. ლამა-ზი მცენარე თავის საყვარელს ლამე გონებით ეალერსებოდა და მთვარისა და ვარსკვლავების პირით მოკითხვას უთვლიდა, დღისით კი ბრწყინვალე მნათობის მოციქულთ გულში იხუ-ტებდა.

ხევი ხედავდა და იტანჯებოდა.

მზე ალვის ხეს ოქროს სამოსლით ჰბურავდა, ალვის ხე სიამოვნებით ირხეოდა, მდინარე კიდევ ლრუბლებს ემუდარე-ბოდა, ცა დაჭვარეთო.

მიახწია ამ ამბავმა ხევის დედის ყურამდე. განრისხდა ბუმბერაზი მთა და ნაკადულთა ჯარი გამრაუგზავნა გულდა-კოდიოთ შვილსა..

ხევი ადიდდა, გამოვიდა ნაპირებიდან და განძვინვარებული ეცა ალვის ხესა.

— არა, შენ თავს არავის დავანებებ! — დაუყვირა სატრფოს მდინარემ და გაშმაგებული კოცნა აუტეხა.


გრძნობდა ალვის ხე რა საბედისწერო რამ იყო მისთვის ეს კოცნა, მაგრამ თავს მაინც არ იხრიდა, ძირიდან ნიადაგი ეცლებოდა და მაინც ცაში იცქირებოდა: მზეს თვალს არ აშორებდა.

ხევი განაგრძობდა თავის იერიშებს და ვერ ამჩნევდა რომ სატრფოს სიცოცხლე, უსწრაფებდა...

— წაგართვი, მზეო, წაგართვი! — წამოიყვირა გახარებულმა მდინარემ და გამარჯვების ნიშნად წაჭყეულ ალვის ხეზე ტალღები შეათამაშა.

წყალი ჩამოჯდა.

ხევი გონს მოვიდა და დაინახა რომ სატრფოს წინანდელი სახე აღარა ჰქონდა: ძირს განართხული ალვის ხე მზეს ვეღარ უმზერდა და სიმშვენიერე დაჰკარგოდა.





## გრძნეული ჩანგი

ლეგენდა

ტყველ ქმნილი დედოფალი მტარვალმა მაღალის კოშკის  
ბანზე აიყვანა და გადაახედა.

— შენ ამბობ უარს ჩემს სარეცელზე? — შესძახა ზვიადმა.  
— მაშ დასტკბი ...

ძირს აწიოკებული ქვეყანა იშლებოდა; ყოველ კუთხიდან  
გმინვა და ვაება მოისმოდა. ულრან ტყეებს ცეცხლი წაჰავიდე-  
ბოდა, ხეების ჯარი ალში გახვეულიყო; თვალწარმტაცი ვე-  
ლები მტრის ფეხის ქვეშ იქელებოდა. სულდაგმული უმწე-  
ოდ აქეთ-იქით ეხეთქებოდა.

დედოფალმა გულში მძაფრი ტკივილი იგრძნო და შუქ-  
ფენილ სახეზე აუტანელი ტანჯვა აღებეჭდა. შავად მოელვარე  
თვალებიდან ცრემლთა ნაკადები გადმოედინა. თავიდან მანდი-

ლი მოიგლიჯა, გლოვისა ნიშნად შავნი ნაწნავნი დაიშალა და  
მხრებზე შემოიფანტა.

— ჰა! ჰა! ჰა! ჰა! — გადიხარხარა ბოროტმა აღავიანმა. —  
თქვენ ეეჟ! — მიმართა მხლებელთ. — მგოსანი მოჰვარეთ, მგო-  
სანი!

— ზეციერო გამჩენო! — წარმოსთქვა განწირულებით დე-  
დოფალმა და თავისი მწარე კვნესა ქვეყნის საერთო გოდებას  
შეუერთა.

მგოსანი მოიყვანეს. თავი ჩაელუნა. ქვეყნის დიდებისთვის  
დაფნის გვირგვინი მოეგლიჯათ და ეკლისა დაედევათ. ტანს სამო-  
სელი შემოეხიათ. მგოსნის მაღალ შუბლს წვეთ-წვეთად სისხლი  
ედებოდა.

— აბა, ასწიე მაღლა ეგ შენი გრძნეული ჩანგი! — უბრ-  
ძანა მტარვალმა. — უმღერე შენს დედოფალსა და ჩემს მონასა.  
ეს მიღამო ისეთი შხიარული და ვნებით სავსე ხმებით გაავსე  
რომ ძირიდან მონადენი ხმები ჩვენმა ყურმა აღარ გაიგონოს  
და ამ ამაყს დედაკაცს სახედან ღრუბლები გადაეყაროს. ისეთი  
ნაირათ აულიტინე, აუძგერე შენს დედოფალს გული, რომ  
ტკივილები დაავიწყდეს და ჩემი სიყვარული ჩაუვარდეს, რომ  
ჩემზე მზე ამოსდიოდეს. თუ ჩემს ბრძანებას აასრულებ, სულ  
ოქროში ჩაგსვამ, არა და ხედავ?.. აბა, მხედარო, მახვილი!..  
რა წამს ურჩი კილო გაისმას, არ შეიბრალო, გული გაუგმირე.  
არ შეასრულებ ჩემს ბრძანებას და შენ თვითონ გამოესალმები  
წუთისოფელს...

მგოსანმა თავი მაღლა აიღო და დედოფალს თვალნი მი-  
აპყრა... ჩანგი ასწია...

მტარვალის სახე მრისხანებამ მოიცვა. თვალები ცეცხლით  
აღევსო.

მიღამო ნელი მკვნესარე ჰანგებით გაივსო. ხალხის გო-  
დებას ბანი მისცა. მახვილ ამოწვდილ მხედარს ნარ-ნარმა. მო-  
თქმამ ძარღვებში დაურბინა და მკლავი მოუდუნა; ბასრი ია-  
რალი ხელიდან გაუვარდა

— წაიყვათ! დაახრჩეთ!.. — წამოიყვირა. მტარვალმა და  
თავჩაქნდრულ მხედარზე ხელი მიუთითა.

მხლებელნი უძრავად იდგნენ: უცხო ხმებს გულისყური  
წაერთმია და მკაცრი ბატონის ბრძანება ვერ გაიგონეს.

შგოსანი წარბშეუხრელად განაგრძობდა ჩანგის უდერასა. უცბად სევდიანი ხმები საომარ ხმებად შეიცვალა. მგოსნის პირდან სიტყვები ნაკადულებად გადმოიფანტნენ და შორს არემარქს მოეფინენ. ზემამაკაცი კოშკის ბანიდან ქვეყანას სათა-ყვანებელ დედოფლის გულისთქმას ეუბნებოდა. მძლავრი ჰან-გები ადამიანის გულს აკაუებდა და ლაჩარს მამაცის სულსა ჰბერავდა.

მტარვალშა თვით წამოავლო მახვილს ხელი...

— დიდო, ბატონო! — გაისმა შეძრწუნებული ადამიანის ხმა.

მტარვალის წინ მთხრობელი იდგა.

— რა გინდა, მონავ!..

მთხრობელმა ბატონს უნებლიერ პირი მოარიდა და მგოსანს თვალი მიაშტერა.

— ოჟ! ეს ხმები იყო, ესა!... — წამოიყვირა განცვიფრებულმა. — დიდო ბატონო, — მიმართა ახლა მტარვალსა. — მთელი ქვეყანა ჩვენ ფეხთ ქვეშ იყო განართხული. ჩვენი შიშით ყველანო კრთოდნენ... უცბად ჰაერი ჯერ ნაზი ნარ-ნარი სევდიანი ხმებით გაივსო: ყრელის გულები აგვიკვნესა... გავინაბენით... სევდიანი ხმები საომარ ხმებათ შეიცვალა... გოდება მისწყდა... მოულოდნელად ხალხი აჯანყდა, ანაზდეულად თავს დაგვესხა და მოსვენებას მიცემული ჯარი მთლად ამოწყვიტა... ოჟ, ეს ხმები იყო ესა!.. დიდო ბატონო, თავს ვუშველოთ!

ქვეიდან მრისხანე გუგუნი შემოისმა. მუქარის ხმები ნელნელა გაძლიერდა და ბოლოს მტარვალს მოესმა.

— აქ არის ჩვენი მზე, ჩვენი დედოფალი!.. აგერ მგოსანიც!..

ხალხი კოშკის კარს მოაწვა. მტარვალი შიშის ზარმა აიტანა და ხელიდან მახვილი დაუვარდა...

დედოფალს სახე გაუბრწყინდა, მგოსანს ეკლის გვირგვინი მოაშორა და სისხლიანს შუბლზე ეამბორა.



## მ ზ ი ე ლ ა

ძველი რომის ცხოვრებიდან

I.

— დამარწიეთ, ტაოლებო, დამარწიეთ! მე ხომ თქვენი  
მზიელა ვარ! — წამოიძახა კოლხეთის მზის დარმა ასულმა და  
თან ნათალი ბროლის თითებით ზღვის ზედაპირი ოდნავად  
შეაჭყაპუნა. — მზეო, შენ კიდევ სხივები გადამაფინე საბნად!  
ნიავო, შენ ნანა მითხარი!..

მზიელა გულალმა გადაწოლილიყო წყალზე, თვალები  
დაეხუჭნა და არაფერს ჰქედავდა. ვარღისფერ ლოყებზე ხშირი  
და გძელი წამწამები გადმოპფენოდა; ოქროსფერი თმები ბრო-  
ლის მკერდზე გადმოჰყროდა. ზღვა წყნარად იჩეოდა. პატა-  
რა ზვირთები ადამიანის შვილის კამატა ტანს ნარ-ნარად ეხ-  
ლებოდნენ და პატარ-პატარა წრეებად იშლებოდნენ...

მობანავე ასული ოცნებას მიეცა. ფიქრით ვეფხვ ვაჭკაცთან გადაფრინდა და მიუალერსა.

— ჩქარა დაბრუნდი, ჩემო არწივო ჩქარა! — წაიჩურჩულა თავისთვის ქალმა.

— ოჲ, ზევსო!.. ეს ხომ ნამდვილი, ზღვის ქაფიდან დაბადებული აფროდიტეა! — დაარღვია სიჩუმე ბერძნულად წარმოთქმულმა სიტყვებმა.

მზიელამ ცის დარი ლურჯი თვალები გაახილა და თავის ახლოს ნავი დაინახა: მეკობრები შოპპარვოდნენ. გაქცევა დააპირა, მაგრამ გვიანდა იყო, დაკივლება ვერც კი მოასწრო. მეკობრებმა ხელი სტაცეს და პირი შეუკრეს, ნავში ჩასვეს და მოშორებით მდგომ გემს მიაშურეს.

მალე გემმა აფრები აუშვა და კოლხეთის სამოთხის ანგელოზი უცხო მხარისაკენ გააქანა.

## II.

დიდი ჩოჩქოლი იყო ქალაქის რომის მონების ბაზარზე: იმდენ ხალხს მოეყარა თავი რომ ტევა აღარ იყო. მდიდარი პატრიციები ახლად მორეკილ მონებს არჩევდნენ და ყიდულობდნენ.

— რა მშვენიერება! — წამოიძახა ახალგაზდა პატრიციმ სტოლონმა. — ვფიცავ იუპიტერს რომ ამ უცხო ასულის თეთრ გამჭვირვალე ტანთან პაროსის გარმარილოც კი უფერული გამოჩნდება!

რომაელის წინ შიშველი მზიელა იდგა: ეს არის ეხლა გამოეყვანა პატონს ბაზარზე. მონებით მოვაჭრეს თავდაპირველად უფრო მდარე საჭირელი გაესაღებინა და კოლხეთის ასული ბოლოსთვის შეენახა.

მზიელა თან ტიროდა, თან კიდევ ცდილობდა თავისი სქელი და გძელი თმებით შიშველი ტანი დაეფარა.

სტოლონის ხმაზე მზიელას გარშემო მრავალი მაყურებელი შეგროვდა. უმწეო ტყვეს ყველა დიდის ცნობის მოყვარეობით ათვალიერებდა.

— ნუ მობუზულხარ, გასწორდი წელში და ტანს ნუ იმალავ! — დაუტია მონებით მოვაჭრემ მზიელას და ბეჭებზე ოდნავ წკეპლა გადაჰკრა. — ხომ ხედავ რომის დიდებულ მოქალაქეს შენი გასინჯვა ჰსურს.

ქალმა უნებურად ნატკენ ადგილზე ხელი მოისვა და  
თავის თავის ამარა მიტოვებული თმები უსწორ-მასწოროდ შე-  
მოეფანტა.

— ვფიცავ იუპიტერს! — წამოიძახა კიდევ სტოლონმა.  
თვით ყოვლად შემძლე ღმერთებს გამოუქანდაკებიათ ამისი  
ნაკვთები! რა თმები აქვს, რა თმები!.. სწორედ ჰელიოსის  
სხივებია! — რომაელმა თმას ხელი შეახო. — რა რბილია და სუ-  
ბუქი მერე!.. ნამდვილი ნიავია, ნიავი! საიდანა ხარ ჰა, ლა-  
მაზო?

— ბატონო, თქვენებური არ ესმის. — უპასუხა მონებით  
მოვაჭრემ. — მედიას ქვეყნიდან არის, იქაური დიდებულის ასუ-  
ლია. ბერძნულს მშვენივრად ლაპარაკობს. ბერძნების ახალ-  
შენში შეუსწავლია.

კოლხელი ქალი იშვიათი მოვლენა იყო რომის ბაზარზე  
და ამან უფრო მოიჩიდა ხალხი. გაიმართა ვაჭრობა. პატრი-  
ციებს ცილობა შეექნათ.

ასიათას სესტერცამდი ავიდა ლამაზს ტყვის ფასი. სტო-  
ლონი დიდი სიმდიდრის პატრონი იყო და ამასთანავე დიდი  
ესტეტიც. რაკი თვალში მოუვიდოდა რამე, სხვას თავის დღე-  
ში არ დაუთმობდა.

— მე ვაძლევ ასიათას სესტერცის! — წამოიყვირა გაბე-  
დულად ახალგაზდამ და აქეთ-იქით ცქერა დაიწყო: უნდოდა  
გაეგო, ხომ კიდევ ვინმე არ წამოედავებოდა;

მეტი ფასის გამლები აღარავინ აღმოჩნდა და კოლხეთის  
შშვენიერება სტოლონს დარჩა.

### III

— სექსტ, როდის მოსულხარ?! — შესძახა გახარებულმა  
სტოლონმა თავის მეგობარს, რომელიც კარგა ხანია სამშობ-  
ლოს გარეთ იმყოფებოდა.

— გუშინ წინ სალამოს, — უპასუხა სტოლონს. სექსტმა  
და გადაეხვია. — გუშინ მინდოდა შენთან მოსვლა, მაგრამ ში-  
ნაურ საქმეებს თავი ვერ დავახწიე. მხოლოდ დღეს გავთავი-  
სუფლდი.

სექსტმა ცნობის მოყვარეობით აათვალიერ-ჩაათვალიერა  
თავის მეგობარი.



ବିଜ୍ଞାନ ପରିଚୟ

სტოლონი თუმცა გახარებული იყო სექსტის ნახვით და სახეც უბრწყინავდა, მაგრამ კუნაპეტ-შავს თვალებიდან დრო გამოშვებით ისეთი ნაღველი გამოუკრთოდა რომ კაცს გულს დაუთუთქავდა.

— კაცო, რა დაგმართვია? — ჰკიოხა სექსტმა. — შენ როგორდაც შენ დონეზე ვერა ხარ... გამხდარი ხარ...

— ეჭ, არაფერი. — სთქვა ხელის ჩაქნევით სტოლონმა და გვერდზე თავი მიიღო.

— არა, შენ თავს რაღაც ამბავია. უნდა მითხრა. ჰა, შენ გულში ამურმა ხომ არ დაიბუდა?

სტოლონი გაწითლდა.

— აჰა!.. ეხლა კი მივხვდი, — სთქვა სექსტმა. — კაცო და, მერე რომელმა რომაელმა ქალმა გაბედა შენ სიყვარულზე უარის თქმა?.. შენისთანა თვალადი, ტანადი ვინ მოიპოვება მთელს რომში? აპოლონს ჰგევხარ. ამასთანავე მდიდარიცა ხარ.

სტოლონმა უნებლიერ გაიღიმა და თვალწინ მზიელას სახე წარმოუდგა.

— ნეტავი როდის დამნებდება ჩემი კოლხია? — სთქვა თავის გულში ყმაწვილმა ფიქრს მიეცა.

სრული სამი თვე იყო რაც კოლხია იყიდა ამაყმა პატ-რჩეციმ და თავის სახლში მოიყვანა. სამი თვე იყო რაც სულ იმას ცდილობდა ქალის გული როგორმე მოეგო და ვერაფერი კი მოახერხა რა. სტოლონს, რაღა თქმა უნდა, შეეძლო ძალა ეხმარა და ისე მოეტეხნა ურჩი, მაგრამ ამას განვებ არ სჩადიოდა. კოლხია ლმობიერებით უნდოდა მოებირებინა. უნდოდა ვნებით აღსავსე ნებაყოფლობითი სიყვარული აღეძრა თავის მხევალში და ისე დამტკბარიყო იმისი სხეულით. თავის ვნების ამგვარი დაკმაყოფილება სტოლონს ერთნაირ სილამაზედ მიაჩნდა. პატრიცი მოუთმენლად ელოდა იმ წუთებს, როცა კოლხეთის ასული გულს ჩაეკონებოდა.

მაგრამ ეს არა ხდებოდა: მზიელა ლამაზი რომაელის ალქრსზე მხოლოდ წითლდებოდა, რომაელის მოქარგულ სიტყვების გაგონებაზე მხოლოდ თავს ჰლუნავდა. ბატონი საჩუქრებს სთავაზობდა, მხევალი არ იღებდა. როცა პატრიცი წელზე ხელსა ჰქვევდა, ქალს ციებ-ცხელება ემართებოდა, ში-

შითა კრთოდა და შველივით ფრთხებოდა, ან კიდევ, თუ რომაელი საზღვარს გადადიოდა, მოთმინებილან გამოსულს თვა- ლები ცეცხლით უნათდებოდა და შურის ძიებას ლამობდა. ვნებით გატაცებული რომაელი კი ამას ვერ ჰქედავდა და თა- ვის მუდმივ იერიშებს განაგრძობდა.

ხშირად მზიელა თავის გარშემო არაფერს ამჩნევდა, გონება სულ სამშობლო მხარეს უქროდა თვალწინ სულ კოლხეთის მწვანეჯ მოლალანე არე-მარე ეხატებოდა; აშკარად ჰქედავდა თავის ქვეყნის ზღვასა, ხან ლურჯად მობიბინეს, ბრწყინვალე მნათობის მოალერსეს, ხან კი მქუხარეს, აბობოქრებულს, სი- ბრაზისაგან მკერდამოძრავებულს; ხედავდა მწვანე გვირგვინა კოპწია მთებსა, ხედავდა ჭალარით შემკულთ ბუმბერაზთ გუნდ- სა. ხშირად ქალი სტოლონისათვის გაუგებარ ენაზე, ვილაცის სახელს იხსენიებდა და ჩურჩულებდა: სადა ხარ ჩემო აჩწივო, სადა ხარო? თან კიდევ მდუღარება გადმოსდიოდა...

ახალგაზდა პატრიციმ გონების თვალი გადაავლო ყვე- ლაფერს, რაც კი სამი თვის განმავლობაში გადაჰდომოდა და სახე დაეღვრიმა.

— რა დაგემართა, კაცო! წაჰარა ჩელი სექსტმა. — რა- ტომ ეგრე ცხვირი ჩამოუშვი.

— ეჲ, არაფერი. — უპასუხა უგულოდ სტოლონმა. — წა- მო ტრიკლინიუმში, პატარა შევნაყრდეთ და ლვინო დავ- ლიოთ. ჩემ ამბავს ნუ კითხულობ, შენი მიამბე.

#### IV

— აბა, ჩქარა! მოცეკვავი ქალი მოიყვანეთ! — უბრძანა ტრიკლინარხს ფალერნის 15 წლის ლვინით. შეხურებულმა სტოლონმა.

— მაშ ეგრე ჰე? ვილაც მხევალით უინი გინდა დაიკმა ყოფილო და ვერ მოგიხერხებია. შენ კი რა გითხრა! — უთხრა მეგობარს სექსტმა. — მეცინება. ვფაცავ იუპიტერს, მეცინება! სად გაგონილა, რომ რომაელი პატრიცი, თავის მხევალს. სა- თუთად ეპყრობოდეს?!

სტოლონმა ყური არ ათხოვა.

— ეედ! ჩქარა მოცეკვავ! — გაუმეორა კიდევ ტრიკლინ- არხს. — ოქროს სინზე დასვით და ისე შემოიყვანეთ. ულაშაზესი გამოარჩიეთ, ულაშაზესი!

ტრიკლინარხი გავიდა და რამოდენიმე ხნის უკან ისევ შემობრუნდა. თან ორი ჯან-ლონით სავსე ზანგი შემოჰყვა: ხელში ვეებერთელა. ოქროს სინი ეჭირათ და ზედ მზიელა იდგა. ლეჩაქივით თხელი ნარმის კაბა ეცვა, წელზე ოქროს სარტყელი შემოეკრა, თმები ძირს ჩამოეშვა და თავთან აბრე-შუმის ზონრით შეეკრა; მაჯებზე ძვირფასი სამაჯურები გაეკე-თებინა და ხელში წყვილი ოქროს ტარიანი პატარა ხანჯალი ეჭირა. რაღაც არა ჩვეულებრივი აღგზნებული სახე ჰქონდა. თვალები ბოროტად ულიმოდა, ნაპერწკლები სცვიოდა: ნამ-დვილს, ბრძოლის ღმერთ ქალს წააგავდა. ეტყობოდა, მზიელა თავის დონეზე არ იყო. მაგრამ მოქეიფეთ ეს არ შეუნიშ-ნავთ.

სექსტი გაშტერებული იყურებოდა: ამგვარი არა ენახა-რა:

— როგორ გაბედე შენ და კოლხიას ხელი შეახე?!

დაუჭირივლა ტრიკლინარხს აღშფოთებულმა სტოლონმა.

— ჩემი ბატონი, მინდოდა შენთვის მეამებინა. თვიოო-ნაც უარი. არა სთქვა. — მიუგო ხმის კანკალით ტრიკლინარხშა.

სექსტმა სტოლონის ყვირილი რომ გაიგონა, გამო-ირკვა.

— სუ, კარგი! ნუ უჯავრდები. — სთხოვა წყნარის კილო-თი მეგობარსა. — ჩემი გულისთვის მაინც აცეკვე ეგ მხევალი. სტოლონი დაშოშმინდა.

ზანგებმა ბატონის თანხმობით ოქროს სინი ქალიანათ მაგიდის შუაგულში მოათავსეს:

ტრიკლინარხმა ანიშნა მეკრეს. კარი გაიღო და ტრიკ-ლინიუმში მემუსიკენი შემოვიდნენ.

ოთახი ნარ-ნარი ხმებით გაივსო.

მზიელა შეირხა, ჯერ უცნაურად გადიხარხარა და მერე ნელ-ნელა მუსიკას აჰყვა. თანდათანობით ფეხს აუჩქარა... პა-ტარა ხანჯლები აათამაშა.

მეგობრები მოცეკვავე ქაღლს მოჯადოვებულნი უცქერო-დნენ. მზიელა ისე დასრიალებდა, რომ კაცს ეგონებოდა სინს ფეხს არ აკარებსო. ძირს ჩამოშვებული თმა მზესავით უელ-ვარებდა და მკერდზე და მხრებზე ტალღებად ეფინებოდა.

უცბად ქალი შეჩერდა და სიცილი ასტეხა... სიცილი შეს-  
წყვიტა: ახლა თვალები დააბრიალა.

— მაშ შენ გინდა რომ ჩემი სამშობლოს ზღვა და ბუმ-  
ბერაზი მთები და ჩემი არწივი დავივიწყო? — შეეკითხა ბორო-  
ტის კილოთი სტოლონს რომაელისათვის უცნობ ენაზე.

არწივის გახსენებაზე კოლხეთის მშვენიერ ასულს თვალე-  
ბი გამოუთქმელი სევდით მოეცვა, მაგრამ სახე ისევ მაღე შე-  
ეცვალა.

— არა, არა, არა! — იკივლა მზიელამ. — შენ ვერ მოეს-  
წრობი მაგას!.. ვერა, ვერ დასტკბები ჩემი სხეულით!

მეგობრები ვერ მიხვედრილიყვნენ, კოლხის რა უნდოდა.  
ისინი მხოლოდ სილამაზის ეშხით და ლვინით ითვრებოდნენ.

მზიელამ ისკუპა სინიდან და ნახევრად წამოწოლილს სტო-  
ლონს მკერდზე გადაეჭდო.

სექსტმა ტაში შემოჰკრა: მთვრალ რომაელს ეგონა, კო-  
ლხია თავის ბატონს სიყვარულს უცხადებსო.

მაგრამ მზიელა ერთის თვალის დახამხამებაზე ისევ სინზე შე-  
სკუპდა და ხარ-ხარ-კისკისით ხელმეორედ ცეკვას შეუდგა.

ქალს ხელში ერთი ხანჯალი-ლა ეჭირა. მეორე ხანჯალი  
სტოლონისთვის გულში გაეყარა.

გაცოფებული წამოიჭრა ზეზე სექსტი და მეგობრის  
მკვლელს მივარდა, უნდოდა შური ეძია, მაგრამ ხელში უსუ-  
ლო გვამი და შერჩა. ჭკუაზე შემცდარმა მზიელამ თვითონაც  
თავი მოიკლა.



ଶ୍ରୀକନ୍ତି—ଶାନ୍ତିଜ୍ୟାମଦିଲ୍.



სალენო უანგიაშვილი.

გერდო ზეანია.

8 ၉ ၈ ၅ ၃ ၁ ၄ ၆ ၀ ၃ ၀ ၄ ၆ ၀

დე-დია—სული დედამიწისა.

ბერდო ზმანია—დე-დიას ვაჟი.

ბედია—ბერდოს მეგობარი.

ცისია.

ტურთა.

ვნებო.

მზეონა.

შური.

სიკვდილი.

დე-დიას ამალა და ხორო.

ქარი, გრიგალი, ცეცხლი და სხვა ბუნების ძალნა,  
შექდარნი და ჯარისკაცნი.

## მოქმედება პირველი.

მოსჩანს ზღუდე, რომელიც ჰყოფს მიწიურს და ზეციურს. ზღუდის შესავალთან ორსავ მხარეს სდგას ორი მცველი: ცეცხლი და გრიგალი: შემოდის ბედია. ხელში დიდი ბედის-წერის წიგნი უჭირავს.

**ბედია.** მანდ ვინ სდგას?

**დარაჯნი.** ჩვენ ვართ!

**ბედია.** თქვენი სახელი?

**გრიგალი.** შენ თვითონ ვინ ხარ?

**ცეცხლი.** პირველად გხედავ, შენ თვითონ ვინ ხარ?  
წალი, მოჰშორდი ამ შიწის ზღუდეს თორემ...

**გრიგალი.** განანებთ!

**ორივენი.** ჩვენს მფარველს ვფიცავთ.

**ბედია.** მაგ უკმერ სიტყვას თვით განანებდით  
რომ მე ამ უამად თქვენთვის მეცალოს. შესჭდას აპი-  
რობს. დარაჯნი შახვილით წინ გადაედობდიან.

**გრიგალი.** შესდექ, ჭაბუკო!

**ცეცხლი.** ნება არა გვაქვს გადაგიშვათ ამ ზღუდის იქით,  
თუნდაც სახელად ოდითგანვე ბედია გერქვას.

**ბედია.** ჩემი სახელი გცოლნიათ კიდეც.

და მიკვირს, კიდევ რამეს მიბედავთ,  
თვით კაცის ბედსა და უბედობას!

**გრიგალი.** ჩვენ არ ვეკუთვნით მოდგმას კაცისას,  
რომ გვქონდეს შენი შიში და კრძალვა,  
მე ვარ გრიგალი!

**ცეცხლი.** მე ცეცხლის სული!

**გრიგალი.** დარაჯად ვსდგევართ ჩვენ დე-დიას სასტიკ ბრძანებით!

**ბედია.** ბუნების ძალნო, მეც ვეკუთვნი თქვენებრ ბუნებას,  
მსურს ბერდო ვნახო, ვაჟიშვილი დედამიწისა.

**გრიგალი.** სწორედ რომ მისმა დედამ გვიბრძანა

არ გადაგიშვათ ამ ზღუდეს იქით  
და არ გიჩვენოთ მისი ძე ბერდო.

**ბედია.** ეგ ბედი იმ ყრმას არ, უწერია!  
იმას უჩემოდ ყოფნა არ ძალუს!  
ვინ გადაუვა განგებას ძლიერს?  
მე მისი გზა ვარ და ხელმძღვანელი!  
ვარ მეგობარი აღნიშნულ დრომდე.  
ვარ მისი სულის მეორე სახე:  
ხან შევყრი შვებას, ხან მწუხარებას  
და განვეცლები სხვის შესახვედრად,  
როცა დაჭკარგავს თვის ხილულ ყოფნას,  
როცა სიკვდილის ხელი ზოხვდება!  
მისმა მშობელმა იცის ეს კარგად,  
იცის მას შემდეგ, როცა პირველად  
ხორცი შეესხა და არსად იქცა.

**გრიგალი.** შენი ბაასი, ვგონებ, უნდა მართალი იყოს,  
მაგრამ არ გვესმის არც სიკვდილი და არც ხორცშესხმა.

**ბედია.** რადგან ჩემსავით ნაწილი ხართ უკვდავებისა!

**გრიგალი.** გაინც ბერდოსთან ვერ გაგიშვებთ!

**ბედია.** მაშ თვით მომნახავს

**გრიგალი.** დედა არ მისცემს მაგის ნებას!

**ბედია.** ნება თვით არის!

**ცეცხლი.** დედამ სასახლე აუგო და შიგ მოათავსა,  
ეს ზღუდეც მისთვის ააგო, რომ მაცდურმა ხილვამ  
არ წარიტყუოს, არ მოჰველიჯოს მის გუდის მოყვა-  
რულის.

**გრიგალი.** გამიგონია საუბარი ერთ-ურთის შორის,  
ვითომდა ბერდოს წასვლა ჰსურდეს ამ სოფლის იქით,  
ვითომდა მისი გული, გრძნობა და ლალი სული  
ვერ ისვენებდეს, დაეძებდეს რაღაც იდუმალს,  
რაღაც შორეულს, ნათესაურს და მიუწიდომელს;  
გამიგონია ისიც, ვითომც დედა უშლიდეს  
და არა ჰსურდეს განშორება თვის ბერდოსაგან!  
მიტომ უკრძალავს! — — —

**ბედია.** მაინც ბედია ვერსად წაუვა!

**ცეცხლი.** მისი მოხუცი დედა ვითომც შენ ვაბრალებდეს,  
რომ ვაჟის სული მოგეხიბლოს, რაღაც ჩვენებით,

რომელიც თურმე ყოველ დილით განთიადისას  
ამ ზღუდის გარე სოფლის ახლოს გამოიქროლებს  
და თან იტაცებს ყრმის ნაზ გრძნობას და სპეტაკ  
სულსა.

დღეს ჩვენ დარაჯად დაგვაყენა თვითონ დედიამ  
რომ მისმა შვილმა ის ჩვენება ვეღარ იხილოს!  
**ბედია.** მართალი არის, რასაც ამბობთ: განთიადისას,  
ქალი ცისია მშვენიერი, სხივმოციალი,  
ტანად შიშველი, თმა გაშლილი და მოლიმარი  
გაუვლის ხოლმე გვერდით სოფელს, ტურფა ქვეყანას.  
მართალი არის ის ბერდოსაც ხშირად უნახავს  
და კვლავაც ჰნახავს, რადგან იგი თვასტომი არის,  
თვისტომი ვნებით გადაფურჩქვნილ სიყვარულისა,  
რომელს თან მოაქვს სულისათვის. მშვენიერება  
და გულისათვის სიტკბოება დაუშრეტელი!  
მართალი არის, მაგრამ თქვენ რა? ან იმის მშობელს?

**გრიგალი** იმ ქალს თუ შეჰვდა, არ ყოფნასაც გზად შეჰვდებაო!

**ბედია.** მაგას სიკვდილი ეწოდება!

**ცეცხლი.** ეგ არ ჰსურს დედას!

უნდა თავისთან იყოლიოს შვილი ხილული.

**ბედია.** მაინც ჩემს წიგნში რაც სწერი — გარდუვალია.

აგერ ხმა ისმის. იგი მღერის. ბერდო აქ მოდის!

არ მოსულიყო — არ იქნებოდა.

**ბერდოს ხმა.** უნდა გავიჭრა, წავიდე, სად იგი ნორჩი ქალია,  
ვერ შემაკავებს უბსკრული, ვერც კლდე მაღალი სალია.  
გული მიიწევს, მიმაფრენს მნახველი მისი თვალია,  
ვერ შევხვდე სოფლის გადაღმა, ვაჲ ჩემთვის ცოდო  
ბრალია!

**ხორთ ბუნების ძალთა.**

მოდის ბერდო, მოიმდერის გულის სევდას, მწუხარებას!

ეგ ხმა დედას აფრქვევინებს. ორივ თვალით მდუღა-  
რებას,

მაგრამ შვილი არას ნაღვლობს ის საკუთარს ეძებს  
შვებას!

არვინ. იცის რას მიახწევს, დამხობას, თუ გამარჯვებას!

მაგრამ, ვაი, დედის ბრალი! რად იღწვოდა რისთვის  
ზრდიდა!?

დაგვარჩის ბუნებაში, ჩვენ აქ მისთვის მოგვიზიდა,  
მას ელხინა, ენავარდა, მის საამოდ ყველას გვთვლიდა!  
ის კი ელტვის მიუწდომელს, ჩვენ აქ მყოფნი მო-  
გვირიდა.

**ბერდოს ხმა.** აღახვეთ ზღუდე, გააღეთ კარი!

**ბედია.** ბერდო გიბრძანებთ!

**გრიგალი.** ჩვენ ნება არ გვაქვს...

**ბედია.** უარს აკადრებთ თქვენს მეფე-ბატონს.

**ბერდო.** შენი ხმა მესმის გადაღმით, ბედო!

**ბედია.** ჩემთან ახლოს ხარ, სულ ერთს ნაბიჯზე!

ქვა დაჰკარ ზღუდეს, დალეჭე კარი

და შენს თანამგზავრს მიგულებ შენთან!

ბერდო ზღუდეს ანგრევს და გამოდის ახალგაზრდა  
ჭაბუკი. შაშვილ ტას მხთლოდ წელზე შემორტყმუ-  
ლი ტევი ჭიარავს. მხარზე შვილდისარი ჭკიდა.

**ბედია.** ეგ მაგრე უნდა მომხდარიყო. — სალამი, ჩემო!

**ბერდო.** ჩემო ძვირფასო მეგობარო! ჩემო ბედიკო!

**ბედია.** ვის შეუძლიან შეაკავოს შენი სურვილი,

ან შენი ნება; როცა ამას მე თანაგიგრძნობ?

**ბერდო.** ა, მეგობარო! შენი სიტყვა გულს ახალისებს,  
მინდა მურამ უამს ყურს გიგდებდე და შენთან ვიყო,  
რადგან შენ თითქოს გარდამექეც გამოძახილად  
და რაც გულს უნდა სანატრელი, შენ მასწრობ.


ხოლმე.

ვერ გამიგია, სიზრმად სურვილს შენ შთამაგონებ  
და მომიწოდებ მოვიპოვო ძლიერის ნებით,  
თუ შენც იმას ჰერძნობ, რასაც შემდეგ გულსა ალუძრავ  
და მაინც მამხელ წინადმგრძნობელ გულთმისანივით:  
ეს ასე იყო, ასე არის, ასეც იქნება!

**ბედია.** მაგ სულის ტბაში შენი სახე არ დაგინახავს?

ხომ შეამჩნევდი, თუ ერთმანეთს რა რიგად ვგევართ,  
რომ ჩემი თავი გვინებია შენს საკუთრებად —  
და მაშ სურვილი რადად უნდა განსხვავდებოდეს?

ოსუას გონიერებები — «ბერძნობა» ზემოთ დანარჩენ 1.



**ბერდო.** ნუთუ შენც ჩემებრ იტანჯები ჩემივ ტანჯვებით?  
იცი მიზანი ჩემის ლტოლვა-მისწრაფებისა?  
იცი რა წყლული ღასჩნევია ჩემს გულს მგზნებარეს?  
მე ვიცი მხოლოდ რა არის და რა უნდა მქონდეს,  
მაგრამ მოხდება, თუ არა, ეს მარტო შენ იცი.

**ბედია.** ეგ, მეგობარო, არის ჩემი დანაშაული  
და კიდევ, რომ შენ ხორცხსმული ხარ, ხოლო მე  
სული,

რომლის მეორე სახეს ჩემსას შენ თვით ატარებ  
და რომლით იგებ თვისტომობას ერთმანეთისას!  
მე ვცდილობ შენში ჩემი მსგავსი ვანთავისუფლო,  
მაგრამ რაც მოგდგამს დედიშენის, მიწის სულისა,  
იგი მაკავებს, იგი მებრძვის - დრომდე შენს სურვილს:  
ჩემსავ სურვილად გარდაქცეულს ვმორჩილობ ხოლმე,  
ორ იავენი კი შეთანხმებით ისე ვმოქმედობთ,  
როგორც განგებამ ჩამიწერა ცხოვრების წიგნში.

**ბერდო.** ერთხელ რომ ვნახეთ აქ მოსული ტურფა ასული,  
ყოველ დღე ვხედავ მე მას შეშდეგ განთიადისას!  
წამიგვა აქეთ ნელის რხევით, ტკბილის გალობით,  
თმა გადაშლილი, ფეხშიშველი, სხივად ელვარე ...  
გვერდით მოსდევენ სხვა დობილნი ეთეროვანნი.  
ისინიც იმ ერთს სინარნარით ხმას შეუწყობენ  
და ასე ვვერდით აშივლიან, ყვავილს მესვრიან  
იგი თამამი გამილიმებს, ნაზ ხელს დამიქნევს  
და ისევ მწყობრად იმ მაღალ მთებს ეფარებიან!  
ვინ არის იგი? —

**ბედია.** რომ წარილო გრძნობა გულისა?

**ბერდო.** ჩარილო ჩემი მოსვენება და ჩემი ფიქრი!  
ჩემი ბუნება ორ ნაწილად გაყოფილია,  
ერთი აქ მრჩება, ოცნება კი მას უკან მისდევს!  
ჰსურს დაეწიოს, მაგრამ იგი არ უცდის, მიპქრის  
მას მოშორებულს ჩემი თვალი ყოველს წუთს ჰხედავს,  
ხელებს გავიწვდი შესაპყრობად, მაგრამ ამაოდ.  
მის ნაცვლად ჩემ წინ სივრცე არის არარაობის.  
და ვსდგევარ მარტო გაბრუებულ-გულდაწყვეტილი;

### შოწუქიალი

მიწისეული ყოველივე შავია შავი!  
მხოლოდ იქ მნათობს სანუგეშო გულის ვარსკვლავი  
ატარაფერი მიზიდავს მე ამ ქვეყნიური,  
ყველა მომბეჭრდა, ვარ ყველაზე გულაცრუებით!  
აღარც ვნადირობ, აღარც ზრუნვა მაკმაყოფილებს!  
არ ეკარება ჩემს თვალს ძილი, ტკბილი სიზმარი!

**ბედია.** ეგ ასე უნდა ყოფილიყო...

**ბერდო.** და არის კიდეც...

მაგრამ სადღაა გამოხსნის გზა-საშუალება?  
ხან მოომინება მეკარგება და რაღაც გრძნობა,  
ჯერედ უცნობი, უცნაური გულში თავს იწევს,  
ამბოხის მსგავსად ზემალლდება, ტალლებრ მქუხარებს;  
მზად კარ ამომხდეს წყევლა კრულვა, გმობა მშობლისა,  
რომ დავიბადე და ვიგრძენ მე ჩემივე ტანჯვა,  
მაგრამ მე ამ დროს მაგრანდება იგი ასული  
და მოწყვეტილი ვურიგდები შენს განჩინებას,  
ჩემო ბედიკო, მეგობარო თანამავალო!

**ბედია.** ეგ აგრე უნდა ყოფილიყო.

**ბერდო.** და არის კიდეც!

მაგრამ ძვირფასო, მიპასუხე, იგი საღ ვპოვო.  
სადა აქვს ბინა? ჩემს ახლოს, თუ ჩემს დაშორებით,  
მსურს სულის შფოთვით, მსურს მსურს ღელვით  
მასთან წავიდე,  
თუნდ მართლაც შევხვდე ჩემს არყოფნას... მსურს  
მეგობარო!

მაგრამ მითხარ თუ საღ წავიდე? გზა საით არის?  
მე ორივ თვალით ბრმად ვიქეც და შენ არას მშველი,  
მე ორივ ყურით დავყრუვდი და შენ ცივად მიმზერ!  
ლონე წამერთვა და შენ ნებას არ მიძლიერებ,  
რომ თუ ამ საზღვარს მოვაგენ მე ჩემი წყურვილით,  
ის წყაროც ვნახო, დავეწაფო...


**ბედია.** მოვა და ჰნახავ!

**ბერდო.** გამიმეორე, მითხარ კიდევ... მითხარ, რომ მოვა:

ო, ნუ ხარ, ნუ ხარ სიტყვაძვირი, მოკლეპასუხა,  
როცა მოველი ვრცელ საუბარს იმ ჩემს მიჯნურზე!

- ბედია.** მოვა და ჰნახავ ...  
**ბედრო.** მაგრამ შემდევ ხომ ისევ წავა?!  
 იგი თამამი გამილომებს და ისევ წავა,  
 თუ აქ დარჩება? თუ წავა და მეც თან წამიყვანს?  
 მე მინდა იგი ჩემთან იყოს! ჩემს სულს წყურიან  
 ვით უკვდავება — როგორც თვითონ შენ იტყვი  
 ხოლმე —
- ბედია.** მწყურიან-მეთქი ჩემთან იყოს, ანუ მე მასთან!  
 სთქვი, ესეც ასე უნდა იყოს, ანუ იქნება..
- ბედია.** შენში რაოდენ მიწიური ძლიერი არის,  
 რომ გსურს უთუოდ ხელში გყავდეს, გულზე მიიკრა,  
 შენს საკუთრებად სთვლიდე მის თავს და თუ სთქვა  
 ბედმა,
- შენმა ერთგულმა მეგობარმა: „მეც მინდა იგი!“  
 ისარს მესროლი, ხორციელი შენებრ რომ ვიყო  
 და მომისპობდი თვით სურვილის საშუალებას!..
- ბერდო.** უბედურობის ჩანასახსა, აი, აქ ვხედავ  
 და შენი მოდგმაც ანავარდებს სიკვდილს მაგ გრძნობით  
 მაგვარი აზრი არის ჩემთვის გაუგებარი!..
- ბედია.** მე მესმის მხოლოდ ერთად ერთი: ქალი ცისია.  
**ბერდო.** საცაა ისიც გამოჩნდება, რადგან თენდება!
- ბედია.** ის დღეს პირველად დიდ წყალობას მოიღებს შენზე.
- ბერდო.** ადტაციებულა
- წყალობას? ჩემზე? მითხარ რა გვარს, ანუ რა სახით?
- ბედია.** რა სახით გინდა? იქნებ გინდა რამე გაჩუქოს,  
 რომ იმ წყალობას შეეხო და ხელი მოჰკიდო?
- ბერდო.** თუნდ მაგრეც იყოს!..
- ბედია.** ან შეიტკბო. როგორც საგანი,
- რომ იგრძნოს გულმა და მოიმკოს ტკბილი ნაყოფი!
- ბერდო:** მაშ, აბა სხვათრივ ჩემს საამოდ რა. უნდა მოხდეს?
- ბედია.** ვას თუ უკვარხარ შენ იმდენად, რაოდენადაც  
 ის პპოვებს შენში სულიერსა ნათესაობას  
 და ამის გამო გაგილიმა საამო ბაგით,  
 მოგცა სალამი საოცნებო თვალთა ციალით  
 და გაგეცალა? —
- ბერდო.** არა, არა გულს ნუ მიტანჯავ!

განა. ძვირფასო, დიდ წყალობას მაგას უძახი?  
 არ მინდა იგი იყოს მარად მიუწდომელი!  
 მსურს ჩემთან იყოს, ჩემთან ჩემი! ჩემს გვერდით ახლოს  
 ვისმენდე იმის ნაზ საუბარს! ვსჭრეტდე თვალებშა,  
 რომ იმ თვალების დაბლა დახრით მარად მამცნობდეს:  
 შენი ვარ მარტო, შენ ერთს გეტრფი! ერთი მიყვარხარ!  
**ბედია.** შენ, გინდა შენი მიწიური ცას შეუერთო,  
 არც ერთი იყოს დანაკლისში. და არც მეორე!



ბერდო და ბედია.

**ბერდო.** ჩემი ბუნების ხმა სწორედ რომ მაგას მოითხოვს  
 ნამდვილად ზეოს, რასაც მივსწვდი ჩემის ოცნებით!

**ბედია.** დაცინებით

შენი ბუნება მეტად საღა, ბუნებრივის,  
 თუ მას თვით მევე არ ვუწოდებ ზებუნებრივსა.

**დარაჯნი.** ნიაღაგი ჩვენი შეინძრა — დე-დია მოდის!

**ბერდო.** გესმის, გარემო ახმაურდა.

**ბედია.** გარიერაუია...

- ბერდო.** ისიც აქ მოვა — ის! — კისია!..
- ბედია.** დედა რას გეტყვის?
- ბერდო.** თაყვანს ვსცემ — — მიყვარს დედაჩემი, მაგრამ ის  
უფრო — —  
არა, ის მიყვარს სულ სხვა გრძნობით!..
- ბედია.** და სხვა ალლოთი — —  
მაგრამ დედა შენს რომ არ ესმის ეგრეთი ალლო?  
სიტყვა: ციური შენ რომ იშვი, მაშინ გაიგო...  
გამოჩნდება დედამიწის სული დე-დია, უკან ბუნების ძა-  
ლთა ამაღა მოსდევს. დე-დიას შეფი ტანისამოსი აცვია,  
ხელში უდირჯენი უჭირავს. მისი ლაპარაკი მჯგეთრი,  
მარტივი და დარბასლურია. ამაღა ზღუდესთან წეობად  
დასდგიბა..
- დე-დია.** აქ ვინა სდგანან, სალამიც რომ არ ემეტებათ?
- ბერდო.** მუხლს უერის  
სალაში შენდა დედაჩემო!
- დე-დია.** ბერდო! ბედია!  
ბერდოს უახლოვდება
- ახ, შვილო ჩემო, საყვარელო, ჩემო არსებავ!  
ას რიგად მწყდება გული კრული განგებისაგან,  
რომ შენ ჩემ გულსა, ჩემს წიალსა კვალად დაჰშორდი  
და კვლავ აქ გხედავ, სად ციური საზღვარი არის — —  
ახ, შვილო, შვილო! ნუ თუ მართლა უნდა ალ-  
სრულდეს,  
რაც უკვე. მითხრა მეგობარმა შენმა თანმყოლმა,  
როცა შენს რავსა გამოვსთხოვდი ზენაგანგებას?  
შვილო, აღგიგე სრა-სასახლო ჩემსა კალთაზე,  
შვილო, მოგეცი რაც მებადა ჩემი სიმდიდრე:  
ზღვა და ხმელეთი სანაღიროდ და სავარჯიშოდ,  
ტყე-მთა და ბარი ნიადაგით ნაყოფიერი,  
პაერი სუფთა, მოციალე ფრინველთა გუნდით  
და რაღად, რაღად გამირბიხარ სხვა უცნობ მხარეს?  
რად სტოვებ ოხრად დედის გულსა და შენს საკვე-  
ბელს!
- ბერდო.** დედავ ძვირფასო, სანატრელო, სხვა რამე მითხარ!  
არა პირველად ჭისმენ შენგან მაგვარ საუბარს!

**დე-დია.** ბედია! შენ ხარ ჩემს შვილსა რომ ჰეთბლავ აცნებით  
და რას შეამთხვევ - მე ამ ჯამად მხოლოდ ვჭრეტ  
ბუნდად

და განჭვრეტილი მიკარნახებს ნაკლებ სიხარულს!

რად დააშორე აღმზდელ ძუძუს, თავის ნიადაგს?

**ბედია.** მაგ საყვედურის ლირი არ ვარ სულ მცირედაც კი,  
არც თუ რამ ბრალი მიმიდვის მე ბერდოს წინაშე,  
რომ იგი დიადის თავის ნაცნობს მიესწრაფება!  
ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან თვით /მასში  
ნაწილი არის ჩასახული იმ დიადისა,

რაიც მის ყოფნას ასულდგმულებს, ამშვენიერებს.

და თუ შენ მასში შენს სახებას შენკენ იზიდავ,  
იგი დიადიც თავის ნაწილს თვისკენ იტაცებს!

სწარმოებს ბრძოლა და ჩალდება ამით ცხოვრება!

რომლის ფერხულსაც მე განვაგებ დასასრულამდე.

**ბერდო.** აგერ, გამოჩნდა!

**დე-დია.** წინ ეფარქება

ნუ შეპხედავ! შვილო, ნუ გინდა...

თავისკენ აზიდავს, ჭისურს მთაშორის სსნახაობას.

ნელის რხევით, თითქას რითშიულის ციკვით, ასულვ-  
დება ცისია. ტანზე გთერივით გამსჭვირვალე სამოსი  
აცვია. უკან წუებით ასელნი მოსდევენ, რომელნიც  
ბუნების ჭარმიჩნიასთან შეხმატებილებუ ჯნი გალობენ.

**დე-დია.** ხელს ჭერდებს ბერდოს და გვიდავ თავისკენ აზიდავს

შენს გულსა მტაცებს ის ჩვენება .. შვილო. ნუ

უმზერ!

**ბედია.** ეს ასე უნდა მომხდარიყო...

**დე-დია.** მეც შემიბრალე...

გულზე მომეურდნე... მოიგონე რა დღით გაგზარდე.

ჩემს სამფლობელოს ნუ აობლებ შვილო ბერდიავ!

**ბერდო.** არა გამიშვი... გეხვეწები, მინდა ვუმზირო...

**ბედია.** ხელს აშეებანებს. დე-დია პირს იბრუნებს.

ბედს ვერ წაუვა... გარდუვალი უნდა ასრულდეს!

**ბერდო.** დედას გაუცლება. რამდენსამე ნაბიჯს ცისაასკენ წრსდგაშის  
და აღტაცებული უმზერს).

შენ, შენ იტაცებ, მშვენიერო, ჩემს სულს და  
გრძნობას?

ოცნების ტკბილო სატრაფიალოვ, კვლავ ჩემთან გხედავ!  
 იცი, რა რიგის აღტაცების მოუთმენლობით.  
 მოგელი ხოლმე ყოველ დილით, განთიადისას  
 და როს მაგ სახით გამოსჩნდები, მაშინ მუხლს გიდრეკ  
 და სასოების წმინდა ლოცვით გემუდარები:  
 ან დარჩი ჩემთან, ან წამიყვა სადაც თვით შენ ხარ!  
 მე მინდა ვსჭრეტდე განუწყვეტლივ ნათლის ბნელ  
 თვალებს,  
 სხივლსან სახეს, ბაგის ლიმილს, შენს წყნარსა რხევას!  
 მინდა ვუსმენდე შენს ფერად ხმას, ოცნების სიტყვას,  
 რომ სული ჩემი შენ, მხიარულს, ქებას გიძლვნიდეს,  
 უკვდავებაში პერძნობდეს შვებით თავდავიწყებას!

### ხოროს პირველი წყება.

სოფელს ზე დავფრენთ,  
 ჩვენს თვისტომს ვალხენთ!  
 სპეტაკი გული,  
 ჩვენგნით ალძრული,  
 ოცნებით გველტვის,  
 შორიდან გვეტრაფის!

### ხოროს მეორე წყება.

ჩვენთაგან ყოველს,  
 ნაზ სხივთა მთოველს,  
 ვინც კი მოგწვდება,  
 უკვდავი რჩება!  
 ქალი ცისია  
 მარად მისია.

- ბერდო.** ქალი ცისია ჩემს ბუნებას შენათვისია!
- დე-დია.** ვიშ რა ვილონო, რომ ჩემს კალთას არ დაგაშორონ!
- ბერდო.** ბედიას ხელს უჭერს, აღგზნებული მუდარით  
 უთხარ, ნუ მტოვებს!.. უთხარ-მეთქი, ჩემო ბედია!  
 გადამიშალე შენი წიგნი ბედისწერისა,  
 თუ აქ რაოდენ ძლიერი ხარ... რად-სდუმხარ? რად?  
 რად?

ცისია გაუღიშებს და ნელ-ნეფა ჭროდება  
აგერ მან ერთხელ გამიღიმა... ხელი ასწია...  
მხიარულ რხევით ნიშანს მაძლევს... თავისთან მიხ-  
მობს —

ეთეროვანო! სად გაქვს ბინა? საით გამოგყვე?  
ჩემის ოცნებით მარად შენთან ვიმყოფებოდი...  
შენს ნაზ ხატებას სულით ჩემით ვუალერსებდი...  
დარჩი, ნუ მიხვალ... შენს ასულთაც ვემუდარები...

იმ დროს, როდესაც ცისია უკვე დაჭრდა და ბუნ-  
დად და სჩანს, ცისია ერთხელ გადავ შესდგება, ხელს  
სდაპყრობს, თითქას თავისთხნ იხმობსთ. ბერდო მის-  
კენ გასწევს. დედა წინ გადაედობება და გულში ჩა-  
იკრავს. ბერდო იძრძვის, ჟიურს გაეცალოს და ცისიას  
კვალს მიჰუვეს.

**დე-დია.** შვილო, გონს მოდი!.. არ გაგიშვებ.. აბა, სად უნდა  
წახვიდე, შვილო! განსაკლელში რად აგდებ შენს თავს?  
მოპხედე ჩემს ცრემლს... ჩემს მუდარას... გულს ნუ  
მომიკლავ..

**ბერდო.** არ შეიძლება, დედა ჩემო! უნდა წავიდე..  
არა, გამიშვი! ბრძოლით გაეშვება და მსწრაფლ გადის  
ვაი ჩემს თავსა! ვაი საბრალოს! მოსთქვამს.

განა არ სჯობდა ისევ ჩემში განხოდა ბინა?  
გადაშლილავ ნორჩ ყვავილად, კვლავ დამჭკნარიყავ,  
ან მსუბუქ ღრუბლად გესრიალნა ჩემს ველ მინდორზე,  
ვიდრე ხორცსხმული მეც მტანჯავ და შენც იწირები?

**ბერდოს ხმა.** მგონაა, თითქოს ჩემს დიღ მიზანს მოგიახლოვდი!

**დე-დია.** ვინ მოსთვლის დედის მწუხარებას —

**ბერდოს ხმა:** მაგრამ მშორდები!..

**დე-დია.** მეც ხომ მშორდები! უკან ოდეს დაგაბრუნებ-ლა?

მორჩი! აღსრულდა! ჩემი თხოვნა არ შეისმინა

და არ გით გაჰყვა, ვინც ნიადაგს ჩემსას აშორებს!

ურუდ ქვითინებს

რით ვაიძულო, კვლავ მონახოს მან ჩემი მკერდი,  
მკურდი აღმზრდელი და უსაზღვროდ მოსიყვარულე  
ვაი თუ შვილო მოვიმოქმედო, ისეთი საქმე,

რაიც შენ გავნებს; ან მიგიყვანს გაჭირვებამდე?  
 მაგრამ, რომ ჩემთვის ძვირფასი ხარ, მსურს ჩემთან იყო?  
**ბედია.** და კიდევ; უნდა იყოს შენონ!  
**დე-დია** ვისი ხმა მესმის?  
**ბედია.** მოგეპოვება შენ ისეთი საშუალება,  
 რომ დააბრუნო!.. როდის? შენთვის ეგ სულ ერთია!  
**დე-დია.** სიმშილ-წყურვილით?  
**ბედია.** შეიძლება!  
**დე-დია.** მტრობა და შურით?  
**ბედია.** ეგ, ყველაფერი შეიძლება, ეგრეც იქნება!  
**დე-დია.** კიდევ რა დამრჩა? დაბრკოლება! ეხლა კი ვიცი!  
 ჩემი ბუნება აუმხედრო, ესრუმც აღსრულდეს!  
 ქარო, გრიგალო! წადი, ბერდოს გზა გადულობე!  
 გზად აუყენე, გარდუვალი კორიანტელი  
 წყალო, შენ იყავ სიცხისა და გვალვის. მიზეზი!  
 მოიყვა სეტყვა! ელვა-მეხით სჟექლე, გრგვინავდე!  
 ცეცხლო, დაბუგე მისი ბინა, ოდეს ააგოს!  
 ჭირო და სხებავ, მოანატრე მას ჩემი თავი,  
 რომ განკურნებას და სიცოცხლეს ჩემშივ ეძებდეს!..  
 გემუდარებით, დამიბრუნეთ ბერდო ზმანია!  
 ეს სიცუვებთან ერთად მის წინ წარმოდგებაან გრი-  
 გალი, წერალი, ჭარა, ცეცხლი და სხვა ბუნების ძა-  
 ლი, რომელთაც დაუდაა მიტყვის:  
 — წადით მომგვარეთ!  
 ასტყალება საშანელი ხმაურობა, ჭერის. ჭერის და ეფაფს.  
**ბედია.** დრო-უამიც თანვე გააყოლე რომ დაგიბერდეს,  
 რადგან პირობა ასეთია:  
 წაგრის კადაჭმის და ჭათხულობის  
 „იმ დრომდე გყავდეს,  
 ვიდრე შენს ბოროტს ძალებს იგი გაუმკლავდება,  
 ანუ ვიდრემდის ბედი თვითონ არ მოისურვებს  
 და მოკლედ: ვიდრე ბერდო შენი არ მოხუცდება  
 რისთვისაც უკვე მას სახელად ბერდო დაერქვა!  
 და უმოქმედო ოცნებისთვის ბერდო ზმანია.  
 მაგრამ ეს ყველა არაფერი! იგი მონახავს  
 შენის ბუნების წინააღმდეგ საშუალებას,  
 ცოტად თუ ბევრად შენსა ძალებს დამორჩილებს.

აი, რას გირჩევ: შენ გყავს ერთი უფრო ძლიერი!  
და მას სახელად ვგონებ უნდა სიკვდილი ერქვას!  
შენ, აბა, აქ მო!

სიკვდილი წინ წარმოსდგებ.

ეს უფროა შენი ერთგული!

აბა, რას იტყვი, მყუდროების დიდო სავანევ!

**სიკვდილი.** ჩ მი საქმეა მოქმედება, როს ღრო მოაწევს  
და მოქმედების დასასრული მხოლოდ სიჩუმე!

**დე-დია.** შენ შეგძლებია ჩემი შვილის ა ქდაბრუნება,  
რომ ჩემი გული, ნიადაგი კვლავ განიცადოს!  
წალი და იგი დამიბრუნე! - ამას გთხოვ! წალი!

სიკვდილი გადის

მხოლოდ მისმინე! სიკვდილი ბრუნდება

განა თუ შენ რა ძალა შეგწევს,

ჩემი სურვილი აღმისრულო და შვილი ჩემი  
კვლავ დამიბრუნო, კვლავ ვიჲილო ჩემის თვალებით?

**ბედია.** იმდენად იმას ვერ იხილავ, რამდენად იგრძნობ,  
რადგან დე-დიას, ნაცნობ მკერდში ჩაგეკონება!

**დე-დია.** შვილო, კარგს ამბობ! - წალი ნახე! წალი, სიკვდილო!  
აქ მომიყვანე! გევედრები: არა ევნოს-რა!  
ხომ იცი, შვილო, დედის გულსა რა რიგად უყვარს!  
თუნდ ევნოს კადეც, შეისმინე ხვეწნა მშობლისა;  
მომიყვანე ჩემი საყვარელი ბერდო ზმანია!

სიკვდილი კადის

**ბედია.** დედიას

ისმინე ჩემი! შენი შვილი შორს ვერსად წავა!  
აქვე იქნება! - მხოლოდ ფიქრით, თვისის ოცნებით  
დაფრინავს ჩვენთან და ჩვენსასვე ეალერსება  
მისი ნამდვილები ბუნება თუ რასაც მოითხოვს,  
ეს ჩემგან იცის და რაც იცის ოდნავ ახდება.  
მე მას ვუჩვენებ ერთს ასულსა! სახელად ტურფას!  
იგი ცისიას სამეფოდან მეტად შორს არის,  
ცხოვრების ტყეში ცხოვრობს იგი ცისიას მსგავსი.  
იქ შეჩერდება ბერდოს ლტოლვა და მისწრაფება;  
რადგან მის სხეულს რაც სიჭურიან, პლოვებს იმ  
ქალთან!

იგი სიკვდილიც განუყრელად მათთან იქმნება!

**დე-დია.** შვილო, მე ჩემი დამიბრუნე, სხვას არას დავდევ!

## მოქმედება, მეორე

ყვავილოვანი ბორცვი, მის გვერდით ტბა, რომლის ნაპირიც ტირიფის და მუხის ხეებით არის შემოზღუდული. როგორც პირველს სურათში, ისე ეხლაც ცისია თავის ქალწულთა ამალით გაივლის ნელის რხევით. ამალა მღერის. როცა ცისია ოდნავ და სჩანს, თანდათანობით ასტყდება ქარი, მოჰკება ელვა და ქუხილი. შემოდის ბერდო, უკან მოსდევს ბედია.

**ბერდო.** დაღდიდ-დაქან-გული

ვუახლოვდები, მაგრამ იგი სულწინ მიიღოვის...  
როდემდის უნდა ვსდიო უკან ახ, მოვიქანცე!

ბედია ეურდნობა

ნუ თუ აქ დავრჩე; მეგობარო, და ჩემი სწრაფვა,  
ჩემი სურვილი — ჩუ! რაოდენ ტკბილად გალობენ!  
უურს. უგდებს

იგი ცისიას ნაზი ხმაა... აგერ მოჰტარდა.

მოსწუდება, გრძნობა ამომჯდარი

იგი აქ რყო, ამ ადგილის და ვერ მოვუსწარ...

ამ ვარდ-ყვავილებს ჩაუარა, სალაში მისცა.

მიტომაც აგრე მეტის ეშნით მინაზებულან

და სურნელებას მოაფრქვევენ ჩემს დასათრობად.

ნეტამც ამ ადგილსარ დავ ზორდე... მაგრამ ახ, არა...

მიყვარს ის მხარე, სად მან კოხტა ფეხი დაადგა,

მაგრამ უფრორე ძეირთასია ყოფნა მის ახლოს!

ბედიავ! მითხარ როგორ მივსწვდე... ვიცი, არ მირჩევ,

მაინც გავუვები... ეს გრიგალი... ეს ჭექა-გრგვინვა  
თითქოს წინ მისწრებს; წასედას აცილობს, მაგრა მო-

ქნცული წაიბარდაცებს და ძლიერ იმაგრებს თავს. ბედიას უნდა რაღაცა უთხრას, მაგრამ ბერდო აწყვეტინებს

ვიცი, ვიცი თუ რასაც მეტყვი... — —

აა რასაც გეტყვი, არ იქმნება განა მართალი?

ჰედავ, რა რიგად მოჰკან-ცულხარ, სულს ძლიერსა  
ითქვამ!..

**ბედია.**

- ბერდო.** განა თუ სული ჩემთან არის? იგი თან მისდევს...  
 სულის სისწავევი გატაცებული  
 ო, რატომ ფრთები არ მასხია, მასთან გავფრინდე...  
 მას არ მოვშორდე...
- ბედია.** ნახევარი შენი ბუნება
- ბერდო.** ხომ მასთან არის, მაშ სხვა რაღა დარღი გაწუხებს?
- ბერდო.** ნახევარი რატომ სრული არ უნდა იყოს!
- მთელი და სრული! უნდა იყოს! ახ! უნდა იყოს!
- რაო! რას ამბობ? არ იქნება? ნურც მე ვიქმნები!
- ახ, მომეც, მომეც უებარი საშვალება,
- რომ სრულყოფილი მთლად მას ერთსა, მას შე-  
 ვურთდე!
- ბედია.** მეტისმეტს ითხოვ! — —
- ბერდო.** ძალა მიღეული კისერზე ეხვევა და თავს ისე იმაგრებს  
 გამიგონე!.. თუნდ ის სიკვდილი! — —  
 აი, შენ წელან რომ ახსენე და მით მანიშნე,  
 რომ შემაერთებს, მზად ვარ! უთხარ! ჩემო ბედიავ!  
 ნუ თუ ერთგული მეგობარი არ გებრალება!?  
 ძარს დაჟღება გონება მისდილი
- ბედია.** საბრალო იყო, თან ეგ ლტოლვაც არ დაგყვებოდა  
 მაგრამ იქნები — და რა მალე — როს მას დაჟყარგავ!
- ბერდოს აბრუნებს  
 ყური დამიგდე! ადექ ზეზე! აგრე ვით მოსწყდი?  
 თუ კი მაგაზე მეტი ღონე, შენ არ შეგწევდა,  
 მაშ თავს რად იდე, რაც შენს ძალას აღემატება,  
 მათინიდან წეალს ასმევს. პურს აწვდის  
 აჰა, დალიე! მოგაბრუნებს .. აი, ეს პურიც!  
 შენი სისუსტე დღეს სიმშილმა გამოიწვია  
 და ხვალ, ვინ იცის, რა მიზეზით წამოიჩოქებ!..
- ბერდო.** ჭამისგან მობრუნებული  
 რა მომივიღა?
- ბედია.** არაფერი! პეტრობდი მხოლოდ!
- და დაბრუნებას პირებდი უკან უდროოდ.
- ბერდო.** არა! ცილს მწამებ! მე სიმშილი რას დამაკლებდა?
- ბედია.** მართლაც და — აბა, ესდენ ძლიერს რას დაგაკლებდა?
- აკი გითხარ, თუ ჩემთან ისე, პეტრობდი მეთქი,  
 რომ მეც სურსათი მომეწოდნა.

- ბერდო.** დამცინი, ბედო!?
- ბედია.** არა, ძმობილო! დასაცინი დაცინვად არ ლირს!  
ვფიქრობდი, სტომაქს შემდეგისთვის რა სარჩო  
მივსცეთ,
- რომ საზიზლარმა შუა გხაზე არ შეგვაყენოს  
და უნებურად მახე სწორედ იქ არ დაგიგოს,  
სად სულისათვის სახითათო იქმნება მეტად!
- ბერდო.** შენ საგანს უხვევ!
- ბედია.** აბა, აბა!
- ბერდო.** სად არის იგი?
- ბედია.** თურმე რისთვისაც გიხუმრია, ეხლა კი მესმის.  
გამითამამდი შენს მეგობარს... კუჭს დავაბრალე  
იცინის გამკილაგად
- მაგრე იტყოდი... აკი გითხარ, ახლოა-მეთქი!
- ბერდო.** ახლოა? როგორ?
- ბედია.** მოთმინება და მალე ჰნახავ!
- ბერდო.** ეს „მალე“ რაა? ერთი სწრაფი თუ საუკუნე?
- ბედია.** ორივ ერთია! საუკუნეც ეგრევ სწრაფია.
- ბერდო.** ბრძნულ მეტყველებას შემდეგისთვის გამოვიყენებთ.  
შენ იგი მითხარ, იგი, იგი! სად არის, მითხარ!
- ბედია.** რასაც ეხლა იტყვის ცხადდავ ხდება  
აგერ, ხომ ჰხედავ, ტყის ნაპირზე ქალნი ჩნდებიან.  
რა ნაზის რხევით მშვენიერნი ახლოვდებიან.  
აგერ წალკრატში გამოვიდნენ, ყვავილსა ჰკრევენ,  
გესმის, რა რიგად კისკასებენ, მხიარულობენ!  
შენთვის ისინი გაპმართავენ ლხინს, ღლესასწაულს...  
ყველა მათგანი გარეგნობით ჰგავს შენს ცისიას.
- ბერდო.** მაგრამ მათ შორის — — ჩემი ხვედრი რომელი არის?
- ბედია.** რომელსაც უფრო შენი სული მიეთვისება!
- ბერდო.** სახელდობრ, მითხარ, რომელია?
- ბედია.** თუნდ ყველა ერთად!
- წინააღმდეგი არ იქმნება შენი ბედია!
- ჟძახის
- ჰეი ასულნო, მშვენიერნო! არ შეიძლება  
ჩვენც მიგვიწვიოთ თქვენს ფერხულში?

ქალები.

დებო, ვინ გვიხმობს?  
დავბრუნდეთ უკან! — ხმას ნუ გასცემთ! — ჩქარა წა-  
ვიდეთ!

ბედია.

ასულო, ტურფავ!

ტურფა.

ვინ ასწავლა ჩერი სახელი?

ბედია.

ქალო, მზეონავ!

მზეონა.

ჩემ სახელსაც იძახია იგი!

ბერდო.

მაგრამ ცისიას არ უძახი?

ბედია

ის შენს სულშია —

როს ერთერთს მათში შეიყვარებ და სულს მიუძღვნი,  
მას შენი ძლვენი თვით შენშივე ცისიად აქცევს.

ტურფა.

ბედია, შენ ხარ?

მზეონა.

ის ყოფილა! ჩვენი ბედიკო!

ბერდო.

სიღან გიცნობენ?

ბედია.

ქალი მუდამ ჩემს კითხვაშია!

უმეტეს მაშინ, მოსაწყვეტად ოდეს მწიფლება!  
ცნობის მოყვარეთ მოუსმინე!

ქალები.

კარშემო შეშორტებიან

— სიღან მოსდახარ! —

— ჩემსას რას იტყვი!

— სად ჰყოფილხარ?

— რას განმიმზადებ?

— ჩემს მომავალზე აღარ ზრუნავ!

— მე ვის ვუყვარვარ?

— ჩემი მიჯნური ვინ იქმნება?

— ჩემი სთქვი, ჩემი

— ვის შემახვედრებ?

გედია.

ჭიროს თაქიდან ძოიცილოს

კოჭლს.

ერთი ქალი. მე?

ბედია.

ბრმასი

მეორე ქალი.

მე?

ბედია.

შენ? კუზიანსი

მესამე.

ჭირებს ნიშნის მოკუბით

დაგიდგათ თვალი! — მე მითხარ, მე! ჩემო ბედიკო!

ბედია.

შემკულს ყოველგვარ სილამაზით: მახინჯა, და ცერცეტა!

გაბრაზებულად უფელას ჩამთუთფლის.

შენ: ლარიბ-ლატაკს; შენ: ზარმაცს, ლოთს; შენ  
სულ არვის!

შენ გაუთხოვრად დაგაბერებ!.! ეხლა? ხომ გესმით!

ქალები. ჯეთ-იქით შემოეცდებიან

დღეს გუნებაზე არ ყოფილა ჩვენი ბეჭია..

— გაგვრისხებია!

— მე არ მწყალობს.

— გული მომიკლა!

მზეონა. რაზე გვიწყრები?

ტურდა. მითხარ, ჩემო! რა გაწყენინეთ!

ბედია. მოვსულვარ შენთან, თან რჩეულიც მომიყვანია:  
სალამს არ აძლევ!

ტურდა. ბერდოს

შენი მოსვლა მე გულს მიხარებს!

მზეონა. ნება მიბოძე გაგიბედო, ყრმაო შავთვალავ...

შენ თუ პატივით ვერ მოგეპყრენ ჩემნი დობილნი,  
ეს სითამამით აიხსნება.

ბერდო. თითქოს ის იყოს!

ბედია. ბერდოს

ეჭვიც რომ მალე დაგეკარგოს?

ნამგზავრი სჩანხარო!

ბედია. სად არ ვიარეთ!

ბერდო. მზეონას უმზექს

რა ახლო კი ყოფილა იგი!

ბედია. განა არ გითხარ?

ბერდო. მუდამ მართალს მეტყველებ ხოლმე!

ბედია. მაგის ეჭვი კი ძლიერ მალე შეგეპარება!

ტურდა. ნება მომეცით მიგიწვიოთ ჩემს სასახლეში...

ბედია. ცუდს რას ისურვებ?--თანახმა ვარ—ვგონებ შეგობარს...

მზეონა. უკვე ვუცვნივარ... მე ვუყვარვარ, არა, ბედია?

ბედია. მეც ეგრე ვგონებ, მაგრამ, გირჩევთ, თვით მაგას  
ჰკითხო!

მზეონა. ბერდოს,

ჩვენს სასახლეში სიხარული და შვება მეფობს...

ჩვენ წინ ბალია, შიგ ფრინველნი ტკბილად გალობენ.

იქ ყოველ დილით სიყვარულის ვარდი იშლება  
და სულს იტაცებს ოცნებისთვის ნაზ სურნელებით.  
იქ გიმლერ — — —

**ტურფა.** აწევეტინებს მზეონას და თვით განაგრძობს  
ტრფობას! ჩემს ძახილსა თუ გამოჰყვები!  
ჩემი სიმღერა დობილისას სრულებით არ ჰგავს!  
ჩემს სასახლეში თვით შვებასთან განცხრომაც მეფობს!  
**ბედია.** აწ შენი გრძნობა სუფეს ქალთა სამფლობელოში  
და ჯერ არ იცი...

**ბერდო.** ვიცი, ვიცი ჩემს გრძნობას ვკარგავ!

**ბედია.** კიდევ კარგია, სულ მთლად თავიც არ დაგიკარგავს!

**ბერდო.** ესენი, მითხარ, ვინ არიან?

**ბედია.** ცხოვრების ლანდნი!

**ბერდო.** რომელთ პნახავ, როს ცხოვრების ტალღაში შეხვალ!

**მზეონა.** მე ის მინდოდა..

**მზეონა.** ვინ ის?

**ბერდო.** ტურფა!

**ბედია.** იქნებ ცისია?

ვგონებ შეცდომით ამბობ ტურფას, გულში სხვა  
გიძევს.

### აჯავრებს

„ახ ის აქ იყო, ამ ადგილას.., და ვერ მოვუსწარ.

„ამ ვარდ-ყვავილებს ჩაუარა, სალამი მისცა...“

„ჩემი ცისია ჩემთან ერთად შენათვისია!

გარწმუნებ, იგი აქ ყოფილა! — ჩემი ცისია!

ჰო, როგორ არა!

კვლავ დაჩცინი!

**ბერდო.** შენს რწმენას ვფიცავ!

**ბედია.** ჩემკენ ისწრაფე!

**ვნებო.** ჩემთან წამო!

**მზეონა.** ჩემს გულს მიენდე!

**ბერდო.** მაგრამ თვით ჩემში უცნაური ბრძოლა სწარმოებს:

— „დაჲყე მათს სურვილს!“ — „არა! სხვაა შენი მიზანი!“

მითხარ, ვინ მებრძვის? ვინ მაკავებს? ან ვინ მამხნევებს?

აქ თუ იმსჯელე, ღრო ხელიდან გაგეპარება!


**ბედია.** იქ მიხმობს! გესმის?

**ბერდო.** იქ მიხმობს! გესმის?

**ბედია.** მე კი მხოლოდ აქ მყოფებს ვხედავ!

**ბერდო.** ჩემს სულს ჩაჰედე! მას ვერ ამჩნევ? — არა, არ მინდა! თქვენთან საერთო არა მაქვს-რა! ვერ წამოგყვები! — — — მოიცა ქალო! ო, შენს სახეს, მშვენიერ თვალებს არ ძალმიძს გულიზ თან არ ვსდიო! ბედიავ უთხარ!.. უთხარ, ძვირფასო, ნუ მსტოვებენ! ის მომაშორე!

ან აქ ჩამყოფე, ან წამიყვა... ჩემს თავს რა ჰედება! ვინ არის ჩემ წინ, ჩემის სახით რომ მეცხადება? ერთხელ წყალში რომ ჩავიხედე ეგ იქაც ვნახე! ნუ თუ გაიყო ორ ნაწილად ჩემი არსება?



### ბერდო-ზორბენია.

ბერდოს წან სდგას თავასაფე : ჩრდილის ებური მსგავსება  
ნუ თუ შენც მე ვარ?

**ზმანია.** მე ცისიას მოტრუიალე ვარ!

**ბერდო.** მეც მას ვეტრუოდი, მიველტოდი — — იგი აქ ვპოვე...  
და მას არსებულს ტურფა ჰქვიან!

**ზმანია.** ტურფა არ მესმის!

**ბერდო.** არც მე — ცისია! მე მას ჯერვარ, რაც ნამდვილია!  
რასაც მე ხელით შევეხები — სხვა აძალა!

**ზმანია.** მე კი მას ჯერ ვარ, რასაც სული მიესწრაფება!

აქ სამუდამო სიცოცხლეა და უკვდავება!

**ბერდო.** ჩემს ხორცს სწყურიან სულ სხვა გვარი მშვენიერება!

მომბეზრდა მუდამ განყენებულ სიტკბოს ძიება!

უნდა წავიდე!

**ბედია.** საღ?


**ბერდო.** არ ვიცი!

**ზმანია.** ჩემს ცისიასთან!

**ბედია.** საღაც შენ მიხვალ, მას არსებით ცხოვრება ჰქვიან!

გასწი, წავიდეთ! ვნახოთ მისი ტალღების სრბოლა!

**ზმანია.** საღ? საღ მისდიხარ? თავო ჩემო, უკან დაბრუნდი!



## მოქმედება მესამე.

მოშორებით სდგას ქოხი. გლეხი—ბერდო ბალში მიწას ამუშავებს.  
მის გვერდით ატუზულია შური.

**ბერდო.** ეს იყო განა ტკბილი აღთქმა? — რა სამოთხეა?  
ის მპირდებოდა ნეტარებას — წამება ვნახე!  
როდემდის უნდა ვზიდო კისრად ტანჯვის ულელი?  
**ჭმანია.** ჭბარავს,

ბედი მბატონობს — — მე კი უნდა მიწა ვაბრუნო,  
ვიდრე თვით მიწად, შავ-მიწად არ გარდავიქცევი.

**ჭმანია.** შენ მას ელტვოდია — — — კიდეც ჰნახე მისი მსგავ-  
სება!..

**ბერდო.** თავს ნუ მაბეზრებ... ჩემი ლტოლვა განა ეს იყო?  
მე სხვა მწყურიან!

**ჭმანია.** ჩემო თავო, ბედს ვერ წაუხვალ!

**ბერდო.** რით ვერ გაიგე: ჩემის წერის აღარა მწამს-რა!  
ჩემთვის თვით მე ვარ! — მისი წიგნი დახიე! დასწვი!

**შური.** სხვა ნეტარებით და სიამით უნდა სცხოვრობდეს,  
სხვა უნდა შენზე ბრძანებლობდეს, შენ მუნჯად იყო...  
და ვინ ბრძანებლობს?

**ბერდო.** ნუ ამიშლი გულის ძარას!  
**ჭმანია.**

ვინ არის იგი, რომ დაგტოვა ამ ჯოჯოხეთში?

ვინ არის იგი, კისია რომ თან წარიტაცა?

**ჭმანია.** იყუჩე გოლო! ნუ აჲყვები ბოროტ ცდუნებას!

ჩემი ცხოვრების გამგებელი — — —

**ბერდო.** ახ, არა, არა!

ამოიშალე, რაც კი წმინდა გულს გაბადია!

რის გამგებელი? მეგობარი? — მტერია. ჩემი!

მან მე ჩამაგდო ამ ყოფაში, თვით განიხარებს!

განა რას ვაჭნევ მე ასეთს ბედს, ბედს ჩემს მოსი-  
სხლეს?

თვითონ სახელი თავადისა მიისაკუთრა,

მე აქ დამტოვა გლეხის ტანჯვა-მწუხარებაში — —

**შური.** აწყვეტილებს

და თვითონ ბედი იკანონებს ბედნიერებას!

**ზმანია.** განაგდე შური! ნუ აჰევები, გულო, შავს ზრახვას!

**ბერდო.** შური

ახ, გამეცალე!



შური და ბერდო,

**შური.** ერთგულის დასჯა, დიახაც რომ ხელობად გახდა!  
მოსაწონია, მორჩილმა რომ ბატონს მიჰპაძოს!

**ბერდო.** ჩემს ბატონს? არა! არ მივბაძავ — — მეც მისებრ  
მინდა — —

მეც მისებრ მინდა, მინდა-მეთქი ბატონი ვიყო!

**შური.** განა შენს სურვილს მე ოდესმე ავტედრებივარ?

მე დედაშენმა შენს გზას მისოვის გამომაყოლა,

მარად მონურად გემსახურო და რჩევა მოგცე!

განა პირველად მე შენს გულსა არ ვაგრძნობინე,  
რომ შენი სატრფო ბედიას ჰყავს — — დიახ, — შენ  
ბატონს!

განა პირველად მე შენს ბრმა თვალს არ დავანახვე,  
რომ ის სასახლე, ის ცხოვრება და ის განცხრომა,  
რაიც შენს ბატონს — —

**ბერდო.** კმარა! — ბატონს?! რის ბატონია?!

მე მძულს ეგ სიტყვა! დღეს ბატონი თვით ჩემი მე ვარ!  
არ ვარ? — ვიქმნები! უნდა ვიქმნე — — გულში ვარ  
უკვე!

ყველა ჩემია, რაც კი მას აქვა, რაც აბადია!

ჩემია მხოლოდ — —

**შური.** მომწონს, მომწონს თამაში სიტყვა!

უახლოედება და შთაგონებით კიჭოთი

წარმოიდგინე: რა კარგია, გარს გეხვეოდნენ

მრავალნი ყმანი, რჩეულნი და შენი ერთგულნი,

შენთვის შრომობდნენ, განაგებდე იმათს სიცოცხლეს,

შენი ბრძანება მათთვის იყოს ბედნიერება,

შენს ძლიერებას და შენს რისხვას ყველა უკრთოდეს,

შენსა მეტოქედ თუ კი საღმე ვინმე გამოჩნდა,

სთქვა ერთი სიტყვა: „მოსპერ იგი“, — უმალ ალს-  
რულდეს!

**ბერდო.** ბარს გადააგდებს. წარმოდგენილ ბედნიერებით დამთვრა-  
და შურს გულში იხუტებს.

მინდა! გამიძებ! გზა მიჩვენე' ნულარ მაყოვნებ!

**შური.** მე არ გაყოვნებ! შენს თავს თვითონ შენვე აყოვნებ!

ეგ შენი მეა, შენ რომ ასე ხელ-ფეხს გიბორკავს.

მოჰკალ, რაც გულსა შუა გიყოფს! — მოჰკალ ზმანია!

შენ იყავ შენად და გაშალე ნება ძლიერი,

მაშინ მისწვდები შენს სურვილსა დღეს მიუწვდო-  
მელს!!

**ბერდო.** მას რალა ვუყო?

**შური.** ვის?

**ბერდო.** მეუღლეს!

**შური.** ერთს რამეს გეტყვი — —

თვალებში აცქერდება

ბავშვი ჰყოფილხარ!

აჯავრებს

„მას რალა ვუყო“.

ვიღა დაეძებს სულ პაწაწას, ოდეს დიღს ჰპოვებს? განა არსებობს რაზ სხვა შენთვის, რაც შენა გზღუდავს?

ტურფა ბატონის მოახლეა, შენის ბრძანებლის და კვლავ მოახლედ უნდა დარჩეს — და რომელს დარჩეს?! რომელს! — სულ ახალსა უფრო ძლიერს — ბერდო ზმანია!

გინდა, გაჰყიდი! გინდ აჩუქებ შენს ერთგულ მონა! დაასჯევინებ თუნდ სიკვდილით, რადგან — — — უყვარდი!!

**ბერდო.** ოხ, არა, არა! ნუ ვიქმნები ესდენ სასტიკი!

**შური.** მაშ აცქერინე, თუ შენ სხვა ქალს ვით შეეტრუობი. და თვით დაიცემს დანას გულში —

**ბერდო.** არა, არც ეგრე!

**შური.** ზიზღით და სიმკაცრით თვალებში ჩასცქერის; თავისკენ იზიდავს, თითქოს ბრჭყალებს გულში ასვამდეს.

შენ, ჩემო ძმაო, გულჩვილობას თუ არ დასტოვებ, აქედან ფეხი არსად დასძრა და —

შკაცრად

მონად დარჩი!

**ბერდო.** მაშ, აბა, რა ვქნა?

**შური.** იყავ მკაცრი! იყავ გულცივი!

თუ შეგაფერხებს, უენს თავსაც კი ნუ შეიბრალებ!

ეძიე შენთვის სასურველი წარბშეუხრელად!

ლოცვად სთქვი ხოლმე: „უნდა მსხვერპლად მეწი- რებოდნენ!“

თუ ამას ასე არ მოიმოქმედ — აქ დარჩა მონად!

**ბერდო.** ჩუ! ვიღაც მოდის!

**შური.** ეს ხომ მისი მეუღლე არის! — —  
ხელს არ შეგიშლით!

ბეჭედზე ათტეზება. ლაპეს გარედ გამოჩნდება  
გნება, უკან მთახლეები მოსდევენ. ზოგიერთს მათ-  
განს ხელში სურა უჭირავს.

**ქალები.** შედერიან  
ბალში ვარდი იშლებოდა!  
ვაუსა გული ენთებოდა!  
სიყვარულით ხელდებოდა!  
ვაუო, გმართებს სითამამე!  
ის მოგელის დღე და ღამე!  
შენია და შენად ღამე!

**ვნებო.** ქალებს.

მე აქ დავიცდი! თქვენ აავსეთ წყალზე სურები...  
თქვენ კი მოკრიფეთ უვავილები ფერად-ფერადნი!  
შემთდის ბალის კარებთან ჩერდება. ბერდის აჩერ-  
დება. ბერდოც შინდაპირ თვალებში უმზერს.

შენი პირობა?

**ბერდო.** სიხარულო!

**ვნებო.** თავს ვერ იმართლებ! — —

სჩანს, არა გსურდა! მე თვით მოველ, გისაყვედურო!  
უახლოვდება. საჟადეურო.

რად გამირბიხარ? ხომ განიშნე, მოგელი-მეთქი?!  
იქ მსურდა მეთქვა — — არა, არა! სიტყვა ფუჭია  
იქ მსურდა შენ წინ გრძნობა ჩემი გარდამეშალნა — —  
მე ალარ ძალმიძს, გესძის ბერდო — — მე ალარ ძალ-  
მიძს,

დაგუბებული სიყვარული კვლავ გულში ვმალო!  
ურუდ, იდუმალად.

**ბერდო.** იქ შეგვამჩნევდნენ... ჩემი ცოლი თვალყურს გვა-  
დევნებს.  
თითქოს მიგვიხვდა! — —

**ვნებო.** მე აკი გითხარ: ტურფა ნუ გყავს მისახლედ — მეთქი!  
თანდათან უახლოვდება და თანდათან ვნებით გატა-  
ცებული.

შენთან ვამყოფო? შენი გრძნობა გაუნაწილო?

მერე, მე რაღა? რაღას ვაქნევ მოსრესილ ყვავილ  
ბარემ გამოტყდი, — პირში მითხარ: არ მიყვარხარ-თქო!

ხედს დაუშერს და თვალებში ჩისტექოს

გულის რჩეულო! შენი ვნებო რად დაგავიწყდა?

**ბერდო.** ახ, ნეტამც მართლა, ავრე იყოს!

**ვნებო.** ნუ თუ ჰნატრულობ?

**ბერდო.** ჩემი ბატონი... შენ თვით ძრი... შენი მეუღლე — —

**ვნებო.** ის შინ არ იყო! სანადიროდ იყო წასული!

ჩვენ მარტო ორნი ვიქმნებოდით!

**შური.** თავისთვის.

მეც მაგრე ვუთხარ!



**ბერდო, ვნებო და შური.**

**ბერდო.** ახ! სადაც უნდა, სადაც უნდა არ იყოს იგი,  
მე მაინც თან მსდევს, სვინდის მიმხელს —

**შური.** თავისთვის.

მოჰყვა ძველებურს!

**ბერდო.** შენი ბედია სულში მიზის. — — შევუბოჭივარ!  
გაძრაზებული თავდაფიწებით.

ნეტამც შემეძლოს მოვიშორო იგი თავიდან!

ნეტამც შემეძლოს სამუდამოდ განვთვევისუფლდე!

რომ შენთან ერთად მარტო დავყო — ჩვენ ირნი  
ვიყვნეთ — —  
შენ ხომ ჩემი ხარ, მაგრამ არც ხარ! შენ მას ეკუ-  
თვნი...

გრძნობით აფსავსკე.

შენ მხოლოდ ჩემთვის, მხოლოდ ჩემთვის იყავ ალ-  
თქმული!

**შური.** რომელიც აქამდე გულხელაკრეფილი ზედად დაჭუშ-  
რებდა ორივეს.

დრო მიჰქრის და საქმე ჭრ რჩება — — სთქვი, აღა-  
სრულე!

**ვნებო.** ამ, ჩემო ბერდო! შენს ხმას ვისმენ გულის კანკალით!  
თითქოს მასებენ საამბორებლად გადიდერება.

უნდა ასრულდეს შენი ნატვრა... უნდა ასრულდეს!  
თავისკენ იზიდავს.

ყური დამიგდე, საყვარელო! მო, ჩემკენ მოდი!  
შეორე მხრიდან შეუმჩნევდად, თდნავ ბარბარით შე-  
მოდის ბედია და მათ უკან ჩერდება

ჰერდავ ხეივანს? აგერ, იმ ხეს? იქ არის იგი!  
მთელი დღე-ლამე დაუცხრომელს ლხინს ეძლეოდა:  
დღეს დაქანცულსა ჩრდილს ქვეშ სძინავს... არავინ  
იცავს...

იღუმალურის შიშით ანშინებს  
იქ პნახავ! წადი! — —

**ბერდო.** ბერდოს მხრებზე ხელს დაჭურავს. ფაპარაკში სიმთვრა-  
ლე ეტება.

შორს ნუ წახვალ! მე თვითონ აქ ვარ!  
ერთმანეთს შემგრთადნი უურებენ.  
სალამი ჩემი!

სიჩუმე.

რად შემკრთალხართ? მეც ხომ თქვენთან ვარ?  
იქმნებ გვონიათ, საუბარი თქვენი მესმოდა?  
გარწმუნებთ, არა მხოლოდ ბერდოს სტუმრად ვეწვიე!

**ბერდო.** ბატონო ჩემო!

**ბერდო.** დაგავიწყდა? მეგობარო-თქო!

**ბერდო.** დიდო ბატონო! თქვენი მოსვლა საამო არის!

- ბედია.** ღიღაღ საამო! გეფიცებით, ღიღათ საამო!  
მე ასე ვფიქრობ!..  
გულში რა გიძევს, ჩემმა მზემ, რომ არა ვიცი რა!  
ცხოვრება. ისე კარგია, რომ მუდამ დღე ვლხინობ!  
მართალს არ ვამბობ?
- ბერდო.** სრულ სიმართლეს!  
**ბედია.** შენგან ეგ მომწონს!  
სწორე სოჭვი, შენც ხომ ამ ცხოვრებით კმაყოფილი  
ხარ!?
- ბერდო.** ღიახ, ბატონო  
**ბედია.** ეგ სიმართლეს აღემატება!  
ოფალებში უმზეს.  
მხოლოდ ბოროტნი, გულმრუდენი მემდურებიან;  
ვითომც მე ტანჯვა განმემზადოს! არა სცრულებნ?  
**ბერდო.** გაფიარებული თავს იქნევს
- ბედია.** აი, ასეონი უმაღურნი ცხოვრების შვილნი,  
რომელთ მე მავეც ცხოვრება და მევე წავართმევ,  
აღიძვრებიან მწირის შურით ჩემს წინააღმდეგ  
და მოკვლასაც კი მიპირობენ — ხომ მართალს ვამბობ!  
**ბერდო.** დიდხანს უხერხულ მდგრადაშია. შემდეგ გაიძვერულის  
დიმილით
- შენ ხარ თავადი! ძლიერს ბატონს რას დაგაყლებენ;  
**ბედია.** რას დამაყლებენ?  
აცქერდება. ჭისურს, თითქოს გულში ჩასედოსთ.  
ერთს თავხედს ძალუძს სხვა და სხვა გვარ საშვალებით  
ჩემი ღიღება, სიმდიდრე და ჩემი უფლება — —  
მაგრამ ამაზე შემდეგ იყოს — — განა მთვრალი ვარ?!  
გულმა აქეთკენ გამომწია! — ტურთა სადა გყავს?  
ის შენს მეულლეს ეხლა და ეხლა წყალზეა!
- ბერდო.** მე... მინდა მასთან....  
**ვნებო.** წინ წამოდგეგა  
როგორ?? შენ მას...  
**ბედია.** შენ აქ რა გინდა?  
**ვნებო.** მოვსულვარ შენის საზიზლრობის დასანახავად!  
**ბედია.** ჰო, როგორ არა, ჩემის... ღიახ! მართალს არ ამბობს?  
აი, რაოდენ დაცემული ვყოფილვარ თურმე...»

ლვინის ბრალია! ერთგულობა მქ შენი მჯერა!  
შენ რომ გიყვარვარ, ამ ჩემს მონას — არა, მეგობარს —  
ჰო, რას ვამბობდი?

### მდერის

ისმინეთ ჩემი! ეს ცხოვრება ცვალებადია!  
ბევრიც ეცადო, ვერ დაიჭერ, რაც გაბარია!  
იმხიარულე, გამოსცალე ლვინით ბარია! —  
კარგად არ ვმოქრი? ჩინებულად — ძილი სჯობია!  
იმ ჩრდილ ქვეშ მინდა დავიძინო! მომეც მარჯვენა!  
ხელს ართმევს და თვალებში უმზენს  
რას მოიქმედებს ეს მარჯვენა — სხვამ რალად იცის?!  
იცინის

მხოლოდ გაფრთხილდი — — და გახსოვდეს: ბედის  
მონა ხარ!  
უცბად ხელს უშვებს და მიღის. ბერდო თვალს გააუთლებს —  
გულჩათხრობილი სდგას. ისმის ქალების სიმღერა: „ბა-  
ღში ვარდო იშლებოდა.“

**ვნებო.** მძიმე ნაბიჯით უახლოვდება. დიღხანს უმზენს, შემდეგ  
ხელს უჭიენს.  
„შენი ნაღველი ჩემს გულს სტანჯავს!

**ბერდო.** თავისთვის  
„ბედის მონა ხარ!“

**შური.** თუ შეგაფერხებს, შენს თავსაც კი ნუ შეიბრალებ!  
ლოცვა სთქვი ხოლმე: მსხვერპლად უნდა მეწირე-  
ბოდნენ!  
თუ ამას ასე არ მოიქმედ — აქ დარჩი მონად!

**ბერდო.** დატანჯულის ხმით  
ახ, ვიცი, ვიცი! არა ერთხელ გამიგონია! —

ბოროტი არ მსურს! მომასვენეთ! — მან უკვე იცის!  
თითქოს ჩემს გულში ჩამდერალიყო, სვინდისს მიმ-  
ხელდა!

**შური.** „ბედის მონა ხარ!“ მან ასე სთქვა!

**ბერდო.** ო, სულო ჩემო!  
სახეს იფარავს

ო, გამეცალე! ნუ, ნუ მტანჯავ! სულს ნუ მიხუთავ!

**ვნებო.** წელან ჩემს გულთან ახლოს იყავ, ვგრძნობდით ერ-  
თმანეთს!

ეხლა კი ასე რად დამშორდი, ჩემო სიცოცხლევ!

**ბერდო.** ო, სანატრელო! — — მომეც ხელი! ახ, აღმაღვინე!  
გნებო ხელს გაუწვდის. შემთდის ტურფა და ჭიშკართან  
გაჩერდება.

**ვნებო.** მზად ვარ, ძვირფასო!

**ბერდო.** შვება არის შენი ალერსი!  
ახ, გამილიმე! სიხარულის სხივი მომფინე!  
შემეხე გრძნობით! დაიშალე შენი თმა შავი!  
გნებო თმებს გადააფენს. ერთმანეთს ეამბორებიან. ტურ-  
ფა შინს არადებს და გულსაკლავად ურუდ ქვითინებს.

**შური.** ციჟად.

ვნებო სხვისია! შენც ბატონის მონა ხარ მხოლოდ!!  
არა! ჩემია! — — —

**ბერდო.** გნებოს მსწრაფლ გაეცლება. ბარს წამთავლებს ხელს.  
ხმა უკანკალებს. სჩანს, შინაგან შიშს განიცდის. გახელუ-  
ბუღი შიდის, საითაც ბედია წავიდა  
და აღსრულდეს! — — აღარ ძალმიძა — — შორს  
ჩემგან შიში!

იმას იქ სძინავს! მოვსპობ — — მოვკლავ!

წინ აჩრდილი ზმანია ელობება

ჩამომეცალე! — —

ჩამომეცალე! გესმის! ? იქით! თორემ ბარს დაგკრავ!

ჩემს სულს სწყურია, ჩემს სულს უნდა — — — იქით!  
შორს ჩემგან;

**ტურფა.** მჟღალებით უახლოვდება გნებოს, ქვითინით ფერხთა  
წინ დაუცემა

ჩემო კეთილო მბრძანებელო! — — გემუდარები!

**ვნებო.** შინს იპრენებს მისი უურადღება გარედ არის მიშერობილი  
რად შემომეცერ საკუთარსა სამფლობელოში?

და რად წამართვი ერთად-ერთი ჩემი ნუგეში?

ჩემი სიმღიღრე და სიცოცხლე მხოლოდ ის არის!

ნუ მეცილები — — დამიბრუნე, გემუდარები!!

ტირილით ქალთას ეამბორება.

**ვნებო.** ბედნიერების კარი მხოლოდ ეხლა მეღება!

**ტურფა.** ფეხი დამადგი და გამსრისე!

გარედ ისმის მომავლების ჭინესა.

**ვნებო.** აღელვებული.

განვთავისუფლდი!

ო, სიხარული! დღეის შემდეგ იგი ჩემია!

**ტურფა.** ჟეწამთიჭრება, მის სახეზე რისხეა და თავგანწირება აღბეჭდილი. ხელში პაწა დანა უჭირავს

არ გაგახარებ მრუში, გულქვა ადამიანი!

შენ დაგავიწყდა ჩემი თავი — —

იმ დროს, როცა გულში დანა უნდა დაარტყას, უცხად შერი ხელს სტაცებს, მთატრიალებს და თავის წინ გაართხობის. შემთხბის ბერდო. თან უკან ისედება. სახე შემკრთალი და შეშინებული აქვს.

**ბერდო.** ის უკვე მოვყალ! — — ნამძინარევს ბარი დავარტყი!..

თავი შუაზე გავუჩეხე! წითელი სისხლი!

წითელი სისხლი შემომესხა სახეს და ხელებს!

ო, გადამბანეთ!

**ტურფა.** ერუთ მთხელამი!

ბერდო, ბერდო, ჩემი სიცოცხლევ!

რისსთვის მოისპე მყუდროება, ან მე რად მომკალ?!

**ბერდო.** ეს ვინ დამტირის? ნუ მასმენთ, ნუ სამგლოვიაროს! დღეს ბატონი ვარ! მბრძანებელი! დღეს მე მეკუთვნით! ჩემზე უფროსი თქვენ აღარ გყავთ! მე ერთს მმორჩილობთ!

იმხიარულეთ და აღიდეთ ჩემი სახელი! — —

ვინ დამხარხარებს, ვინ დამცინის? — — სასტიკად დავსჯი!

**მთხოობელი გარედან** იძახის

ხალხო, მიჩვენეთ სადა ვპოვო თქვენი ბატონი?

შემთხდის

**ბერდო.** ვისაც დაეძებ, მის წინ სდგევხარ! მითხარ რა გინდა?

**მთხოობელი** მდაბლად თაუფანს სცემს

დიდო-ბატონო! მცფე შენი სასტიკად ბრძანებს

შეჰყარო ჯარი და ორ ზღეში მის კართან გასჩიდე!

გისაყველურებს, რომ ამდენ ხანს დააგვიანე

და მიაყენე მით საქვეყნო საქმეს ზიანი,

რის გამოც იგი დიდად არის განრისხებული!

უკანასკნელად ამ ფირმანით გითვლის ბრძანებას,

ორ გამოსცხადდე, — დაისჯები სასტიკ სიკვდილით!  
**ბერდო.** დიდხანს გაშტერებული სდგას  
 მე მიბრძანებენ? ჩემზე მეტი კიდევ ვინ არის?  
 ვინ არის მეფე? მეფეც მე ვარ და მბრძანებელიც! —  
 რა არის მეფე?

**მთხოვნელი.** თვითმპყრობელი ამა ქვეყნისა!


**ბერდო.** ეს მე ვარ! გესმის! — ის იყო და დღეს აღარ არის!

**მთხოვნელი.** უკმაყოფილოდ.  
 ბატონი ჩემო! თქვენა წინა სდგას მეფის ერთგული!

**ბერდო.** ბრძანების ქადალდს არც კა დაჭვედაგს. დაჭვეგს და  
 შირში აურის.

წალი და ვიღაც მეფე არის, ეს მოახსენე!  
 გნებოსთან ერთად წასფლას აპირებს

**ტურფა.** ფეხთქვეშ ჩაუვარდება.  
 ბერდო, რად მტოვებ! ჩემო ბერდო! ჩემო სიცოცხ-  
 ლევ!



## მოქმედება მეოთხე.

დარბაზი ბერდოზმანიას სასახლეში.

სცენის უკანა ნაწილი რამდენიმე საფეხურით მაღალია. იქ თაღებ შორის სუფრაა გაშლილი. სცენაზე ბერდა. შემოდის შეზფოთებული თავადი ბერდო. მას მოსდევს ვნებო და შური.

**შური.** დიდო ბატონო!

**ვნებო.** საყვარელო ჩემო მეუღლევ!

**ბერდო.** ჩემ წინ ვინ იდგა? — — ვიღაც ყელში რკინის ხელს  
მიკერს!

აანთეთ ჭრაქნი! აქ მოვიდნენ ჩემი მსახურნი!

ამ სიბნელეში ჩემი სული ძრწის შიშისაგან!

ჰერის ძლივს ვსუნთქავ! რაო რა სთქვი? მოდის? ვინ  
მოდის?

ჩემ წინ საზარი სისხლიანი აჩრდილი სდგება!

ცეცხლის თვალებით გულს მიდაგავს — — წადით,  
გამშორდით!

არა, აქ დარჩით!

იმ სარკმლის გარედ — — ჰედავ? ჰედავ? — ვინ ხარ?  
რა გინდა?

სდუმს... ხმას არ იღებს... მემუქრება! — გაეც პასუხი!!

აანთეთ ყველგან მაშელები და — — ნურსად წუ წა-  
ხვალ!

მსახურნი მაშადებს ანთებენ

**შური.** დიდო ბატონო! შენს თავს სძლიე, ყველა გაჰქრება!

**ბერდო.** ვინ არის ჩემ წინ? ვინ საუბრობს? ა, შენ ხარ ჩემო?

ყური დაუგდე! ჩუ! ამ კარებს ვინ არაუნებს? — —

არ გესმის? აგერ! ეს ის არის! ვინ სთქვა მოვაო?

უთხარ ჩემს მცველებს, გალავანთან ლამე აოიონ!

დარბაზის კარებს გაუყარეთ ურდა მაგარი!

ყველამ იფხიზლოს! ყველამ! ყველამ — — ა, სუ-  
ლო ჩემო!

ერთგულ ხელქვეითთ დამიძახე, ჩემთან მოვიდნენ!

გაშალონ სუფრა! იქეიფონ! იმხიარულონ!

**ვნებო.** სუფრა, ძვირფასო, ჯერედ არც კი ალაგებულა!

შემთდიან მსაზურნი ქალნი და ვაჟნი

**ბერდო.** შენ რას ამბობდი?

**შური.** ერთს ძველს ზღაპარს, დიდო ბატონო!

მაგრამ შეშფოთდი, გამოიჭერ ამ დარბაზისკენ!

**ბერდო.** ჰო, დაათავე! კარგი იყო! — — ის მომაგონდა!

შეწუხებული

ჩვენ რომ მოვსწამლეთ და წამებით ჩვენ წინ კვდებოდა!

მაშინ მე მხოლოდ ვიცინოდი, ვსტკებოდი კიდეც!

მეხვეწებოდა: ბერდო, ნუ მკლავ! გაგშორდებიო!

შენ შეაპარე ტურფას შხამი! დღეს მე მაბრალებ?

**შური.** დიდო ბატონო! თუ კი წარსულს გადაჰყე ფიქრით, ხელიდან აწმყო და მყობალი გაგეპარება!

შენ უნდა მტკიცედ, შეურყევლად სულ წინ იარო და რა ბრალი გაქვს, თუ გზად ვინმე გაისრისება?

**ბერდო.** შენ ეგ კარგად სთქვი!

**შური.** მოწოდება შენი სხვა არის!

აქ მყოფთა შორის ხარ რჩეული ადამიანი!

სხვა ყველა შენის მიზნისათვის დაბადებულა!

შენ ისე უნდა იმოქმედო, როგორც შეგფერის!

**ბერდო.** განა გაიგეს, რომ მე წელან შიშმა შემიპყრო?

მოსპე, დასაჯე, ვინც კი ჩასწვდა ჩემს საიდუმლოს!

**შური.** ბრძანება ასრულდება განთიადისას!

სუფრას მთესხდებან..

ან როდის იყო, ორგულისთვის მე გზა მიშეცეს?

და უმალ ბოლო არ მომელოს? — ეს სხვა დროისთვის!

ამ უამად გვმართებს შევსვათ ღვინო, ვიმხიარულოთ!

სფამენ

**ბერდო.** შენ ზღაპარი დაათავე! საამო იყო!

**შური.** დიახ, ბატონო! როგორც გითხარ, ის აგრე სცხოვრობს;

სახელ განთქმული ძლიერი და განგებიანი!

მისი ბრძანება ყველასათვის კანონი არის,

რამდენად გული მოწყალე და ლმობიერი აქვს,

იმდენად იგი სურჩისათვის სასტიკი, არის!

მას ჰყავს მეუღლედ თვალწარმტაცი მშვენიერება! კამკამა ნამი არ იქნება ისე სპეტაკი, როგორც იმ ქალის გრძნობა არის, გრძნობა ნარნარი! ზაფხულის დილა არ იქნება ისე ნათელი, როგორც იმ ქალის სახე არის, სახე მღიმარი! ვინც მას იხილავს, უმალ იპყრობს ლრმა სიყვარული, გულსა, გონებას წარიტაცებს, მოუსპობს შვებას ისმის კარის რაკუნი, ბერდო შეკრთება.

**ჭნებო.** მაგ ზღაპრის ოხრობას რომ შესწყვეტდე, ჰკუას იზამდი!

**შური.** რად მემუქრება ქალბატონი?

**ვნებო.** მე ვიცი, რაც გსურს!

**ბერდო.** მომხიბლელია! კვლავ განაგრძე! — ის ყრმა ვინ არის?

**შური.** ის ყრმა, ბატონო — — —

**ვნებო.** მე გიკრძალავ! ბერდოს.

სხვაფრივ გაგართობ!

ყურს ნუ ათხოვებ — — აი, თუნდა შენოვის ვიცეცვებ!

გჩებო წამოდგება საცეკვად. ისმის უფრო ძლიერი რაკუნი.

**ბერდო.** შემგრთალი.

იქ ვიღაც არის!

**შური.** ეს იმ ყრმისგან მოგზავნილია!

**ბერდო.** როგორ? — რა უნდა?

**შური.** ვგონებ ბატონო, საკეთილოს ვერაფერს გეტყვის! მას მეფე ჰეზავნის!

**ბერდო.** მეფე? მეფე?

შემუსიგებს

შესწყვიტეთ ულერა!

წადით დარაჯებს დაუძახეთ... განა თუ სძინავთ?

**შური.** მათ ვერა ძალა, ბრძანებელო, ვერ შეაკავებს!

ბერდო ფარსა და ხმალს იღებს კედლიდან. გარედან გარებს შემთამტკრუებენ. რამდენიმე კარის მცველი მოსულთ შეებრძოლება, მაგრამ შერით და ისრებით განგმირულნი უსულოდ დაცემიან. ბერდო გაფითრებული სდგას. შემინებული გნებო ბერდოს ეფარება.

**სარდალი** აი ეს არის, ჩვენს მეფეს რომ ურჩობას უწევს!  
შებოჭეთ მაგრა!

**ბერდო.** შესდექ! ვით ჰბედავ!

**სარდალი** შეჰკარით ურჩი!

მან მეფის მონამ მეფეს უწყო მეტოჭეობა!

**შხედარნი** { შუბზე ააგეთ! არ დაინდოთ მეფის ორგული!  
**ჯარისკაცი**

ბერდოს აქეთ იქიდან რკალიგით შემთერტყმან.

**ხმები** გარედან მეფე! მეფე!

შემოდის მეფე-ბედა. გვერდით ქალი მზეონა მოსდევს.

**ბედია.** ჩამოეცალეთ! — — მე თვით მაგას გავასამართლებ!  
მზეონას

აი, ლამაზო! მე ხომ გითხარ, გაგართობ-მეთქი!

ამას მე ეხლავ გალიაში ჩავამწყვდევინებ,

დიღი მხეცია, თუმც ჩვენსავით ორ ფეხზე დადის!

— აბა, თავადოს ხომ იცი, რომ დაპყრობილი ხარ-

გეგონა, რაკი საყმო ცრხით შემოიზღუდე

ძლევამოსილი შენი მეფე ვერ მოგნახავდა!?

**მზეონა.** დიღი მეფეო! ჰხედავ, მაინც ამაყად გიმზერს!

**ბედია.** მაგას ჯერ კიდევ თავი თვისი სიზმრად ჰგონია!  
— რა პასუხს გამცემ?

**სარდალი** რად უწევდი მეფეს ურჩობას?

**ბედია.** სიტყვას ვინ მართმევს? ხმას ვინ იღებს, როს თვითონ  
აქ ვარ?

— კარგად იცოდი, მეფე შენი მე ვიყავ ერთი!

ჩემს ხელში იყო შენი ბედი და უბედობა!

რად ამიმხედრდი? ჩემს ბრძანებას რად გადაუხველ?

**ბერდო.** შენ არ ყოფილხარ ჩემი მეფე და არც იქნები!

**ბედია.** მაშ ვისი გქონდა, მითხარ, შიში? — ის მე არ ვიყავ?  
შენს სულს დახურულს და აღსავსეს ბოროტზრახვებით  
ვინ, ვინ ამხელდა? — —

**ბერდო.** ჩემი თავი! შენ კი ვინა ხარ?

რად შემომეჭერ ჩემს სჯულთარს სულის წიაღში!

მეფე ხარ? ვისი? ჩემს მეს იქით არაფერი მრწამს!

ჩემის თავისითვის მეფეც თვით ვარ და ბრძანებელიც!

**ბედია.** ჩემნო სარდალნო და მსაჯულნო! გესმით რას ამბობს?

**ბერდო.** შუბზე ავაგოთ! — დაისაჯოს! — შუბზე ავაგოთ!

**ბედია.** დახარეთ შუბნი! — თქვენ ეს უნდა გაისამართოთ!

**ბერდო.** და კარგად მოიფიქრეთ, აწონ დაწონეთ,

თუ რა სასჯელი მივუძლოთ მას, მას მეფის მემობელი!

მე აქ დაგიცდით! სასჯელი თუ მკაცრი არ იქმნა,

თვით თქვენ გაგგზავნით ჩემს ჯალათთან!

უფერანი მძიმე-მძიმედ გადიან შზეონას.

**შენც** მოისვენე! აი, ეს ქალი,

ვწებოზე უთითებს.

შენი მონა მოსამსახურე!

შზეონას ვწებო მუხლს უკაის. შემდეგ ადგება და წინ  
მიუძღვის. სიჩუმეა. ბედია და ბერდო ერთმანეთს შეჭხდავენ,  
ჩვენ ორნი დავრჩით!

**ბერდო.** მე ერთად ერთს ჩემს თავს ვგრძნობ მხოლოდ!

**ბედია.** ჩემს თავსაც მალე გაგგრძნობინებ!

**ბერდო.** თუ არ ვისურვე?

**ბედია.** სურვილს მე გაძლევ და შენს ყოფნას ბედი განავებს!

ერთმანეთს თვალებში უუურებენ. შემდეგ ბერდო თანდას  
თან ეშვება, თითქოს ნებას სწერებათ.

**ბერდო.** მიბრძანე, რა გსურს?

**ბედია.** არათერი!

**ბერდო.** მე ეგ არა მაქვს:

**ბედია.** ეგ თვითონ შენ ხარ! — — რად გარდიქეც ეგრე  
არარაზ?

განა ცხოვრების ამაღლება მაგას გიქადდა?

რამდენი მონა დაგისჯია, განა თუ მოსთვლი?

რა უყავ შენი მგრძნობიერი სპეტაკი გული?

შენს ხელებს, შენს შუბლს სისხლის დალი რად ამჩ-  
ნევია?

**ბერდო.** მე მკითხავ მაგას? — ნახე წიგნი ბედისწერისა!

**ბედია.** შენ ხომ შეგეძლო, რაც მოგეცა, კმაყოფილიყავ?

**ბერდო.** მაშინ სურვილი ძიებისა უნდა მოგესპო!

**ბედია.** მოგისპობ!

**ბერდო.** ვერა! ჩემი სული შვილს გარდაეცა!

**ბერდო.** სულ ყველას მოვსპობ! შენც, შენს შვილსაც და  
შენს მოდგმასაც!

**ბერდო.** შენ თუ მეფე ხარ, გამგებელი—ვიღასთვის იყოს?  
შენ თუ არსებობ,—სჩანს, არსებობ ჩემის. გული-  
სთვის!

შენ ჩემს გარეშე რაღა დარჩე?—არარაობა?!

**ბედია.** უკმერთ, ძრწოდე! დაგავიწყდა, მსაჯულთ ხელში ხარ:  
იქ, იმ ოთახში შენს ბედს სწყვეტენ—მხოლოდ მე  
ძალმის

გიხსნა და მათი განაჩენი მთლად გავაუქმო,

მეკამათები? მოწყალებას უნდა ითხოვდე!

**ბერდო.** შენ უფლება გაქვს! ტყვედ შემიპყარ შუალამისას!  
მე შენ ურჩობა გაგიწიე ჩემს უნებურად,  
განა არ ვიცი, არ ამცდება მწარე სასჯელი,  
მაგრამ ვის ვსთხოვო?—  
მონურის, გაძვერული გრძნობით აღვსიდა—  
გულკეთილო აღამიანო!

შენ დამამდაბლე მათს წინაშე, ვინც მე მსახურებს  
ამაყი გული პატიებას მაშინ ვერ გთხოვდა,  
ამპარტავნება ჩემს ბუნებას თან დაჰყოლია...  
გემუდარები მუხლმოყრილი, სიკვდილს ნუ მიმცემ!  
გემუდარები!

მუხლს მოუყრის. კალთას ეხვევა. სიჩუმე.

**ბედია.** შემინდვია დანაშაული!

**ბერდო.** რა კეთილი ხარ! მოვალედ მხდი სამარადისოდ!  
გახარებული ბერდო მძიშე-მძიმედ სდგება; თითქას მაღ-  
ლობის ნიშნად მკერდში უნდა ჩაეხვითსა, უცბად ხახვალი  
იძრობს და კულში ჩასცემს. შეფე გულზე ხეჭს იტა-  
ცებს, დაიკვნესებს, წაბარბაცდება და კვდება. ბერდო ნა-  
ხევრად შემქრთალი და ნახევრად გახარებული დაჰურებს.

**შური.** ან კი აქამდისა რად აყოვნე? ხომ განიშნებდი?  
აპა, გვირგვინი! აპა, სკიპტრა! აპა, პორტირი!

დღეს შენ ხარ მეფე!

კილვით იცინის.

ბერდო გვირგვინს იდგამს. სკიპტრის ხეჭთ იშერობს და  
შორთიონს წამთასხამს. შერი თავის შავს. წამთასხამს  
მეფის გვამს აფარებს. შემთდრან მეფის მხედარნი და  
მსაჯულნი. უკან მეომრები მოსდევენ.

**პირველი მსაჯული.** დიდო მეფე! ვითათბირეთ, ავწონ-დავა  
წონეთ,

მაინც ყველანი ვერ შევთანხმდით! მე მათ ვუმტკიცებ:  
მეფის ორგული, მეფის ურჩი ისრით დავხრიტოთ!

**მეორე.**

არა! ხმლით უნდა მოეკვეთოს მას ურჩი თავი!

**მესამე.**

ჩემის აზრით კი, რომ მოვაბათ ცხენის ძუაზე — —

**მეოთხე.**

აწყვეტინებს.

ან ცეცხლში დავწვათ, ან საჯაროდ ხეზე დავკიდოთ —

**ბერდო.**

ეგ არის თქვენი დიად სიბრძნის შემოქმედება?

რატომ ერთერთმა პატიება არ გამომთხოვა?

თქვენ მე მასწავლით სისასტიკეს, დე, აგრე იყოს!

ის ურჩი უკვე თვით დავსაჯე, მაგრამ თქვენც დაგს-  
ჯით! მგაცრად.

გაიტათ გვამი და საკირე აანთეთ თქვენთვის!

სუდარა გადათვარებული გვამი გააქვთ.

ეხლა ვიღაა ჩემზე დიდი? — — —

ისმის ხარხარი.

რაო? რას ამბობ?

იქ ვინ ხარხარებს? ვინ დამცინის? შეიპყარ! მოჰკალ!

შემკრთალი შერს ხელს ჭკიდებს.

**მური.**

ლოცვა სთქვი ხოლმე: მსხვერპლად უნდა მეწირე-  
ბოდნენ!

აბა, ვის, ძალუძს შენ დაგცინოს? შენა ბრძანებლობ..

შენ გმორჩილებენ დლეის შემდეგ დიდნი მთავარნი!

დლეს შენ რო იყავ, მისთანანი მსახურად გყვანან!

შემოდის შეშფოთებული და ბერდოსკენ გამოეშურება.

ჩემო მიჯნურო, იქ არ ძალმიძს! იქსუნთქვა მიმძიმს!

ერთმანეთს აცქერდებან. მზეონა შემკრთალი თდნაგუგან

იხევს კვლავ ერთმანეთს უმზერენ. სიჩუმე.

სად არის მეფე?

მეფე! შენი სდგის შენს წინაშე!

მზეონა შეშინებული კინილით გარბას. ბერდო და შერი

ერთმანეთს ხელს გაუწვდიან, შემდეგ გადაეხვევიან და

ხარხარებენ.

**ბერდო.**

## მოქმედება მენუთე.

დარბაზი შეფის სასახლეში.

სანში შესული, ჭარარა შერთული მეფე ბერდო  
სწრაფით გამოდის და კარებს მიაჯახუნებს, სახე დაქან-  
ცული და გაფითრებული აქვს. აღულვება ეტუფბა. კარის-  
კაცის ტანისამოსში უკან შერი შისძევს. გარედ ისმის  
არეგ-დარევით უკმაყოფილო ფარარავი, რაც თანდათან  
ძლიერდება და შემდეგ თანდათან წენარდება.

**ბერდო.** კარებს მიახლის.

დახურე კარი!.. მათს საჩივარს აღარ მოვისმენ!

რა უნდათ ჩემგან? რატომ თავს არ დამანებებენ?

**ბრძანება** გაეც: ვინც კი მიცდის, უკან დაბრუნდეს!

ის ერთს თხოულობს, ის მეორეს, სულ წინააღმდეგს!

კართ უხუცესი ებრძვის სარდალს, ჩემს წინ ამცირებს!

ხოლო სარდალი დალატს სწამებს ჩემს კართ უხუცესს.

დაუხშე კარი!.. აღარც ერთი მოუშვა ჩემთან!

საფარძელში ჩაეციმა.

**ახ,** მეგობარო! მყუდროება ჩემს სულს სწყურიან!

როგორ არ გესმის? მყუდროება, სულის სიმშვიდე!

**შური.**

დიდო მეფეო, მაშ რა ვუთხრა ტაძრის მშენებელთ?

**ბერდო.**

წამოდგება, თითქოს რაღაცა აგონდებათ. შემდეგ მკაცრად.

უნდა თავები დაიხოცონ და რაც ვუპრძანე,

დაუყოვნებლივ შეასრულონ — — დაუყოვნებლივ!

უნდა აშენდეს იმ ადგილას დიდი ტაძრი — — —

უზარ-მაზარი, თვალუწვდენი — — რაო? რას ამბობ?

ეგ განზრახვა ზომ ხალხისთვის სასარგებლოა?

მაშ რაღა უნდათ? რად დრტვინავენ? რისთვის ღე-  
ლავენ?

**შური.**

დიდო მეფეო! შიმშილია შენს ქვეყანაში,

ხალხს ჰირი ჰმუსრავს, ამ დროს ტაძარს აშენებინებ!

**ბერდო.**

იმათს ხმას ასდევ? რის შიმშილი, რის გაჭირვება?

შენს თავს კედელში კალატოზებს დავატანინებ!

ჩემს წინააღმდეგ თითქოს განგებ ამხედრებულან! —  
ო, ღმერთო ჩემო! — არა, არა! უნდა აშენდეს!  
მეფის, დიდება ჩემს სულს აღარ აკმაყოფილებს!  
რა ბედენაა, რომ დავიპყარ ურიცხვი ერი?  
ეს ყველაფერი სიზმარივით წავა, გაჰქრება...  
მსურს მომავალიც მეკუთვნოდეს! მსურს უკვდავება!  
მოდგმას არ უნდა დაავიწყდეს ჩემი სახელი! — —  
ჩემი სახელი! — —

ეგ ტაძარია მომავალი ჩემი დიდება!  
მაგას გრიგალი ვერ დაანგრევს, ვერც წვიმა წარეცხს...  
შემდეგ ოდესაც იხილავენ — მომიგონებენ!..

**შური.**  
**ბერდო.**  
არა, მეფეო! სოფლად ყველა წამავალია!  
მაშ რაღა არის უკვდავება? მე დღეს ეგ მინდა!  
წაიღვ ჩემი სკიპტრა, ტახტი, ოქროს გვირგვინი —  
ოლონდ კი მომეც უკვდავება! — — რაო? რად სდუმხარ?  
არ შეგიძლიან? მომაკვდავი ჰყოფილხარ ჩემებრ?  
წადი, გამშორდი! გამეცალე!.. ო, სულო, ჩემო!  
აღეჭვებული სავარძელში ჩაეცემა. მის წინ ჩნდება ზმა-  
ნია. გადაწალიალი ბერდო დიდხანს უმზენს.  
სულში რად მიმზერ? ვინ ხარ? რა გსურს? — —

**ზმანია.**  
**ბერდო.**  
რა საბრალო ვარ, ჩემი თავი ვეღარ მიცვნია!  
ან კი როდისმე მას იცნობდი, მას გზაარეულს?  
რა ვიყავ? ვინ ვარ? რა ვიქნები? — მცირე რამ ნივთი  
გარემოების სათამაშო — სხვა არაფერი!!  
მწუხარედ.

დიდებულ ზრახვის დაუცხრომლად ვესწრატებოდი,  
დროთა ტალღაში მივსცურავდი ღელვილის სულით,  
ვსძლევდი ყოველგვარ დაბრკოლებას ჩემს ცხოვრებაში,  
ბედკრულს მეგონა, მივახწევდი იმ სამფლობელოს,  
სად ვიხილავდი ჩემ სურვილსა დაგვირგვინებულს —  
მაგრამ რა შემრჩა? — მოქანცული გული-გონება,  
და მწუხარებით დაფლეთილი სულის ოცნება!

**ზმანია.**  
შენ მისცურავდი ბოროტების მლვრიე ტალღებში  
და არ აქცევდი ყურადღებას ჩემს მოწოდებას!  
გახსოვს, შენ მითხარ: აღარ დავღვრი უმანკო სისხლსო,  
მაგრამ არ შესდექ, მოგეწონა მონის მეუღლე.

მონა გაჰებულებ და მტერს განვითარებ მოაკვლევინე  
ცოლი წაართვი... რად ჰქენ! — — —

**ბერდო.** აშ დამდგომია უამი მხოლოდ სინანულისა!

**ზმანია.** ან ის არ გახსოვს — — —

**ბერდო.** გემუდარები ჩემს შავს წარსულს ნუ გამახსენებ — —

**ზმანია.** რა მოგავონო, რომ სვინდისი არ აგიშფოთოს?

**ბერდო.** რა გინდა ჩემგან?

**ზმანია.** სისხლის დაღი რად დამამჩნიერ?

**ბერდო.** წამოიწევს და უელში სწევდება.

ნუ მამხელ მეთქი! მეშინიან ჩემის თავისა!

**ზმანია.** მე შენგნით ისეც არარა ვარ, რაღას დამაკლებ!

**ბერდო.** ო, მომასვენე, მომასვენე, გემუდარები!

შეწუხებული მკლავებში სახეს იმაღავს.

აშ გვიან არის, გვიან პრის შენი მხილება!

თუ კიდევ შველა შესაძლოა, გზა, გზა მიჩვენე!

მე, ბრძანი, მეგონა, ყველაფერია კარგს ვსჩადიოდი.

და ყველაფერი იმ დიღს მიზანს მაახლოვებლა! —

მოიყვათ ჩემი მწიგნობარი, დააწერინეთ:

„ამაოება ამაოთა!“ — ო, სულო ჩემო!

**ზმანია.** უმან კოების ნეტარი დრო სულს კიდევ ახსოვს!

წმინდა მიზანი შეიპყრობდა მოელს ჩემს არსებას,

წამოვიდოდა ნელის რხევით, ტკბილის გალობით,

თმა გადაშლილი, ფეხშიშველი; სხივად ელვარე...

გვერდით მოსდევდნენ სხვა დობილნი ეთეროვანნი,

ისინიც იმ ერთს სინარნარით ხმას შეუწყობდნენ

და ასე გვერდით ამივლიდნენ, ყვავილს მესრობდნენ! ..

ვიდრე ზმანია ამ სიტუაციის დათავები, გამოჩენდება ცო-

ნია ისეთისავე სასახადით, როგორც შირველ სურათში.

ჭიშილეთ.

**ქალთა ხორო.** სოფელს ზე დავთრენთ,

ჩვენს თვისტომს ვალხენთ!

ვინც კი მოგვწვდება,

უკვდავი ხდება!

ქალი ცისია.

მარად მისია!

**ბერდო.** აღელვებული წამოდგება: რამდენსამე ნაბიჯს გადასდგამს და შესდგება. დამწუხებული უურს უგდებს. ცალი ხელი გულში ჩაუბლუვავს, ცალს ხელსაც შებლზე ისვამს. წაბარბაცდება.

მისი ხმა მესმის! ნაცნობი ხმა! — ჩემი წარსული!

ჩემს მოგონებას ფრთა ესხმება და მკვდრეთით სდგება! ვინა სთქვა იგი მომხიბვლელი ზღაპარიაო?

ჩემი მიზანი... ჩემი ლტოლვა და მისწრაფება!

დაქანცული გამაგრდება, თმთქოს მთელის არსებით სადღაც უნდა გადაფრინდესო, პაგრამ უმაღვე მოსწყდება.

ნუ თუ მე ძალა აღარ შემწევს კვლავ. მას მივსდიო? შეწუხებული მუდარით.

ჩემი გარდაქმნა ახალ-გაზრდად თუ ვისმე ძალუძს, მივცემ ჩემს სახელს, ჩემს სიმდიდრეს, სკიპტრას და გვირგვინს!

გულამობჭდარი, გამწარებული.

ო, დამიბრუნეთ სიჭაბუკე! ახალ-გაზრდობა!

**შური.** გამბზარავის ხმით.

დიდო მეფეო! შენი ნატვრა ამაო არის!

**ბერდო.** მასკენ წაიწევს.

გულ-ქვა ყარყუმო! ეხლა არის ნატვრა ამაო?

ეხლა დამჩხავი ყორანივით? წინად სად იყავ?

წინად ყოველგვარ განზრახვისთვის თუ მაქეზებდი, რად უნდა იყოს ჩემი ნატვრა ეხლა ამაო?

წყეულიშუ იყავ ჩემის სულის უნდო ჯალათო!

მისი საამო ხმა მესმოდეს და მე კი ბედკრულს აღარ შემწევდეს, ფრთა ჩემს სურვილს გავაშლევინო? რომელმა ძალამ ასე რიგად დამაუძლურა?

რომელმა ძალამ ჩამაგდო მე ამ წამებაში?

სად გაპერა ჩემი მზიანი დღე, იმედით სავსე?

სად გაპერა ჩემი სიხალისე დაუდეგარი?

სად გაპერა ჩემი ყმაწვილური ალფროვანება? —

განა მე ბედი ასეთს ტანჯვას განმიმზადებდა?

რად დავიბადე, რა მიზანი ჰქონდა ჩემს ყოფნას?

ის, რომ დასასრულს გზად შევყროდი ამაოებას?

ო, დამიბრუნეთ, დამიბრუნეთ ჩემი წარსული!

ის ჩემი ყრმობა განაიახლეთ, ყველაფერს დავთმობ — —  
საბრალო მონად, უკანასკნელ მონად დავრჩები!  
გამწარებული ქვითანების. შემოდის შეედარი. მდაბლად  
სალაში აძლევს.

**მხედარი.** დიდო მეფეო! კარზედ ერთი გლახა მოგვაღტა.  
მოითხოვს იგი შენსა ნახვას — ნება არ დავრთეთ —  
გაძალიანდა, იარალით გვსურდა გაგვეგდო,  
მაგრამ დარაჯნი ისე რიგად მოაჯადოვა,  
რომ თვით უბრალო სიტყვასაც კი ვერ უბედავენ.

**ბერდო.** ვინ არის? რა ჰსურს?

**მხედარი.** მოწყალება იუკადრისა!  
გვითხრა: თქვენს მეფეს მოწყალებას მე თვით მივ-  
ცემ!

აგერ, თვით იგიც!

**ბერდო.** სად მინახავს? თითქოს მეცნობა!

**ბედია.** შემოდის გლახის ტანისაშოსში. მხარზე აბგა ჭყიდია,  
შიგ წიგნი უძევს.  
მშვიდობა მეფეს!

**ბერდო.** ვისგან?

**ბედია!** ჩემგან!

**ბერდო.** შენგან? შენ ვინ ხარ?

**ბედია.** თვალებში აცქერდება.  
რა რიგ ტანჯულხარ სულ უმიზნოდ და უმიზეზოდ!  
შენ პნატრულობდი მყუდროებას, სულის სიმშვიდეს...  
მე ვნატრულობდი სიჭაბუკეს, ახალ-გაზრდობას!

**ბერდო.** ეგეც ვიცოდი — —

**ბერდო.** ვითომც დიდი რამე გცოდნია!!

ეგ ყველამ იცის, მაგრამ — — შენ სთქვი, რისთვის  
მოსულხარ,

და გამეცალე —

**ბედია.** რაც გწადიან, მე აგისრულებ!

**ბერდო.** აცქერდება.

შენ ამისრულებ!

**ბედია.** რას მივიღებ სამაგიეროს?

**ბერდო.** თუ კი ესოდენ ძლიერი ხარ, ნატვრას ასრულებ,  
შენთვის სხვა აბა საკვირველი რა უნდა იყოს? —

- ვინ მოგცა ნება, რომ შენს მეფეს მასხარად იგდებ?  
**ბედია.** სხვა ძალმიძს მხოლოდ ბედსა ვწიო! სთქვი, რას მივიღებ?  
**ბერდო.** ჩემს სკიპტრას, გვირგვინს!  
**ბედია.** ფასი არა აქვს, რადგან იგი შენ სხვას ჭართვი!  
 ბერდო შეკრთება.  
 ეგ საჩუქარი შესვრილია უმანკო სისხლით.  
 ერთმანეთს აცქერდებან.  
 სხვა რამე მითხარ!
- ბერდო.** სულ არ მომწონს შენი ხუმრობა!  
**ბედია.** სხვას რას მივიღებ?  
**ბერდო.** აცქერდება თითქოს არ უნდა ჟთხრას,  
 ჩემს სიმდიდრეს!
- ბედია.** შენი სიმდიდრე  
 ერთი სუდარა, ერთი კუბო და მიწა არის,  
 რაიც სხვამ უნდა გაგიმზადოს,  
 ვინ მოთრეულხარ!
- ბედია.** ის, ვის წინაშეც დიდებული მეფე მათხოვრობს  
 და არ კი ძალუძს შესაფერი რამ ჯილდო მისცეს!  
 ვის რაში უნდა ეს გვირგვინი?  
 მოჭხხინის, ძირს ანარცხებს და ამსხვრევს  
 ჰერიტაჟ, დაიმსხვრა!
- ან შენი სკიპტრა  
 სკიპტრას ართმევს, დაჭკრავს დაბლა  
 ჰერიტაჟ, იგი შეა გადატყდა!
- ბერდო.** გაიყვათ გარედ! გაათრიეთ!  
**ბედია.** ტყუილად სჩქარობ!
- რადგან აღმოჩნდი შენ იმდენად ღარიბ-ღატაკი,  
 არ შეგიძლიან ჩემი შრომა დაჯილდოვო,  
 მაინც მოვიღებ მოწყალებას — —
- ბერდო.** დადგხნს უმზენს, სიჩუპის შემდეგ აღტაცებით  
 ისევ ყრმად მაქცევ?
- ბედია.** იდუმალობით  
 განა არ იცი, დღეს ის უნდა მოვიღეს შენთან!

- ბერდო.** უნდა მოვიდეს?! ვინ? სახელი?
- ბედია.** იცნობ! არც იცნობ!
- უნდა დაუხვდე ზეიმითა და სიხარულით!
- აბა, მუსიკა და სიმღერა!.. მეფეს ჰსურს ლხინი!
- ისმის შესიგა. აიხსნება უკანა ფარდა და გამოჩნდებან
- მოცეკვავე ქალნი და ვაჭნი. არას დაზინი და ზეიმი.
- მე შინდა მიგცე შენ სანატრელს თავდავიწყებას!
- ჰედავ სიცოცხლე შენს გარშემო რარიგად სჩედავს!
- ბერდო.** ვინ ხარ? — ზეიმი. ვინ მოაწყო ჩემს სასახლეში!?
- ბედია.** ის ვარ, რაც არის, რაც იქნება, რაც უნდა იყოს!
- ბერდო.** ჩემი ოცნება მიმაცურებს ნეტარებისკენ!
- აი, ცხოვრება რა ყოფილა!.. — — აქ დარჩი, ჩემთან!
- ჩემს სასახლეში! კარისკაცად! ნუღარ დამტოვებ! —
- შენს ახლოს თითქოს იფურჩქნება ყრმობის ყვავილი!
- რა კარგად ცეკვავს! — — რატომ უწინ ასე არ ვგრძნობდი? —
- გულიც ზეიმობს, მაგრამ ამდენ შშვენიერებში — —
- ბედია.** უნდა მოვიდეს!
- ბერდო.** სიხარული —
- ბედია.** და მყუდროება!
- ო, რომ იცოდე, რა სამო სანახავია!
- ბერდო.** ნუ თუ ჩემს მიზანს, ჩემს შშვენიერს დღეს უნდა შევხვდე?
- ბედია.** მისი ალერსი კაცს აერთებს უკვდავებასთან!
- ბერდო.** მისი ალერსი მე გარდამქნის —
- ბედია.** სხვა ცხოვრებისთვის!
- ბერდო.** ჩქარა მოვიდეს!
- ბედია.** ახლოვდება!
- ბერდო.** გარედ დავუხვდეთ!
- შური.** დიდო მეფეო! უცნობ სტუმარს ნუ შემოუშვებ!
- ბედია.** აგერ, ის უკვე შემოვიდა ვრცელს გალავანში!
- ბერდო.** ნუ თუ ის ასე ახლო არის? რალად იყოვნებს!
- ამ ჩემს სიხარულს მხოლოდ ერთი ის ღა აკლია!



სიკვდილთან ცეკვა — «ბერდო ზმანია» მოქმედება V.

**ბედია.** გესმის შრიალი მისი კაბის? — — საცაა მოვა! — —  
ერთი პირობა: ვინაობა არ გამოჰყითხო,  
არცა იხილო მისი სახე ჩამობურული!

**ბერდო.** როგორ? ის სახეს არ მიჩვენებს? — მე ისეც ვიცი!  
ვიცი რა რიგად ელიმება სულის მეგობარს!  
ვიცი ყოველი მისი ზრახვა, იღუმალობა!

**ბედია.** გულს წარგტაცებს — სახელს ნუ ჰკითხავ!

**ბერდო.** ჩემი ცისია!

**ბედია.** უკვე მოვიდა!

უცბად იფება დარბაზის დიდი კარი. ცეკვით შემთდის გა-  
რეგნობით მშეგნიერი და თვალწარმტაცი ქალი. სახე ჩა-  
მობურული წაქვს, ბერდა დიდხანს უურებს. მისგან მო-  
ხიბლული აამდენიამე ნაბიჯს გადასდგამს და ისევ შეჩერ-  
დება. ქალი ცეკვავს. მისი ფეხაქისებური კაბა ბერდას  
ეხვევა.

**უცნობი** ქალი ჩემთან იცეკვებ — ჩემი იქნები!

**ბერდო.** ბელნიერების კარი ნუთუ ახლა მეღება?  
შესდექ ასულო!

**უცნობი.** ვმხიარულობ ქამი ჩემია!

**ბერდო.** შენი ხმა რამდენს სიამესა ამიშლის გულში!

**უცნობი.** ახალ ცხოვრების დასაწყისი ჩემში მდინარებს

**ბერდო.** მე მწყურს ცხოვრება სულ ახალი! თან წარმიტაცე!  
ბერდო სელს სტაცებს და ცეკვით გაჟიგება.

**ბედია.** სამეფო ტახტზე ადის და ჯდება. მოცეკვავეთ დიმილით  
გადაჭურებას.

**ბერდო.** ქალს შეაუენებს

აკრძალული მაქვს ვინაობა შენი გავიგო,  
მაგრამ არ ძალმის მოთმინება! მითხარ სახელი!

**უცნობი.** არ შეიძლება!

**ბერდო.** შენი შშვენება დამანახვე, ლამაზო ქალო!

**უცნობი.** არ შეიძლება!

**ბერდო.** ერთხელ მომაპყარ შენი თვალი, სახე მიჩვენე!

**უცნობი.** არ შეიძლება!

**ბერდო.** მე თვითონ შევძლებ!

ცალის ხელით გულში ჩაიკავას და ცალის ხელით პირბა-  
ღეს ჩამოახევს. მის წინ გამოჩენდება სიკვდილი. ბერდო  
შესკრთალი შეჭყიფლების. უცბად ცეკვა ჩერდება და მუსი-  
კა სამგლოვიაროს უკრავს, რომელ საც ცისიას შორეული  
სიმღერა ერთვება

**ბერდო.** ვინ წარმოგეზავნა?

**სიკვდილი.** დედაშენმა!

**ბერდო.** ამიშვი ხელი!

არა, არ მინდა! ცხოვრებასთან ყოფნა მწყურიან!..  
ახ, ნუ მაშორებ! მომიწოდებს — — ჩემი ცისია!..

1916 წ. 23 თებერვალი  
ღამის 5 საათი.



შერის მაძიებელი.

## შიორ მღვიმელი.

\* \* \*

მუდამ სევდიანს, მუდამ ნალვლიანს  
თვით კვნესაშიაც მიცინის პირი;  
ვის რა საქმე აქვს, მე უნდა ვზიდო,  
ჩემი ვაება და გასაჭირი!


მზის ცელქ სხივებშიც რომ ვთამაშობდე  
იცი, ილიავ, რა მავალალებს?  
რომ ვეღარ ვხედავ შენს ზვიად სახეს,  
და უფრო მეტად გონიერ თვალებს.

გონიერ თვალებს, შენ ქვეყნის ირგვლივ  
ცეცხლის რგოლივით რო ატარებდი.  
და შეუქმნიდი მედგარის ბრძოლით,  
რასაც კი გულში გაიტარებდი...

შენს ლხენას კაცი ვერ გაიგებდა,  
ვერც მწვავე ტანჯვას მიგიხვდებოდა;  
ქედ მოუხრელად გადაიტანდი,  
თუ რამე გრძნობას ლახვრად ხვდებოდა;  
გული ქარ-ცეცხლში გამოწრობილი  
ეგრე ადვილად არ გლოვდებოდა;  
კარგად იცოდი, რომ რწმენის გულში  
ქვეყნის სიკეთე იქსოვებოდა...

მუდამ სევდიანს მწარე ნალველი  
სხვა ფიქრით ბევრჯელ დამიძლევია,  
თითქოს ერთხანად გალალებულსა  
ზღვის ტალღასავით უკუ მქცევია.

მაგრამ დასწყევლის ღმერთმა ნალველი,  
დაბრუნებულა ისევ მწვევია,  
და როგორც შავი გიშერ-ნაწნავი  
გულზე ნისლივით შემომხვევია.



ମ୍ୟାନିକୁ  
ପାତ୍ର

### 3. հԱՅԵԱԾ.

ડ ડ ઓ બ સ ડ ડ બ એ ક ન.

## ၆. ပေါက်တာဆွဲဝါဒ ပြည်နယ်

მეც მინახავს, ვით აჩრდილი,  
მოწყენილი არე,  
თავს რომ ნისლი ეხვევოდა,  
გლოვის ზეწრად შლილი,  
ვერცხლის თმებად გადმოყრილი  
დაჰყურებდა მთვარე,  
პუჩქიც კი არ ირხევოდა,  
იდგა თავდახრილი.


# ვნახე ქალი.

1.

ვნახე ქალი, ვნებით მთვრალი გზა-გზა დაგოგავდა.  
ტურფა, ლალი, ბროლ-ფიქალი, თვით ვენერას ჰგავდა.  
ჰქონდა ხალი, ლურჯი თვალი სხვაგან უცეცავდა.  
ვსოდე: საწყალი! მომავალი ამან უნდა შექმნას,  
ოჯახს ბურჯად ექმნას!!

2.

ვნახე ქალი, ფერმიმკრთალი, შრომის ოფლსა ღვრიდა.  
მისი თვალი, გიშრის რკალი, ნაპერწკლებსა ჰყრიდა.  
საქმით მთვრალი, დაუმცხრალი, მამულიშვილს ზრდიდა.  
ვსოდე: ჰა, ქალი! მომავალი ამან უნდა შექმნას,  
ოჯახს ბურჯად ექმნას!!



## ღამე ნატეხი.

უძილობისგან მოქანცული, სახე ტანჯული,  
გარინდებული, ფერ წასული ვწანწალებ გარედ;  
კვნესის ნიავი და ამ კვნესით შეწუხებული  
გული ქვითინებს, ნიავივით ქვითინებს მწარედ.

ოჰ, ეს გლოვის ხმა, ეს ზარმცემი კაცთა სიჩუმე,  
დამძიმებული, მოქუშული გულშავი სივრცე...  
სადა ხარ, სადა, საქართველოს მზეო ჩახახავ,  
სადა ხარ, სადა მექარგება სულის სიმტკიცე...

## პ ე რ ც ხ ლ ე ბ ი.

შორით მომესმა ჭიკჭიკი გუნდ-გუნდ მერცხლების სტვენისა,  
დამიფერადეს ფიქრები, ხმა გამაგონეს ლხენისა!


სჩანს მალე გაზაფხულდება, მთები ასტეხენ ქუხილსა,  
ამღერდებიან ლრუბლები, სიცოცხლე იწყებს დუღილსა,  
ყვავილნიც აჰყვავდებიან, მზეც გაიშლება ცაზედა,  
კლდეს მოევლება არწივი, ირემი ავჭა მთაზედა,  
აღუღუნდება ქედანი, ია იტეთქებს ნამზედა,  
დაჰყეფს, დაუსტვენს ბულბული ჭალებში მწუხრის ქამზედა,  
მეც მათი მოძმე მკობელი დავძახებ ციურ ხმაზედა!

მოდიან! მოისწრაფიან მერცხლები გაზაფხულისა!  
წინ მივეგებოთ! მოდიან! ისმის ხმა ურიამულისა!

## ღ ე ლ ვ ა.

ზღვა ქანაობდა.. თეთრი თოლია  
ხან აჰყვებოდა, ხან ჩაჰყვებოდა;  
ტალღა ქოჩორა, ტალღა ლივლივა  
ხან ირხეოდა, ხანა სცხრებოდა.

ზღვა ლელდებოდა,  
იფაფრებოდა,  
ზვირთი სდგებოდა,  
ზვირთი სქდებოდა,  
და ჩემი ნავი,  
ობლად მფრინავი,  
კუნძულისაკენ ეშურებოდა.  
ზღვა წყნარდებოდა. მზე ჩამავალი  
სნეულ ნისლებში იკარგებოდა.  
ვიღუპებოდი... ჩემი ძახილი  
მხოლოდ თოლიას ეყურებოდა,



## მუხა და ორითი.

გუძღვნი გ. კ—ს ასული.

გაზაფხული იყო, და სიხარული სუფევდა ქვეყანაზე!  
დილის მზეს ვერცხლოვანი განთიადი ოქროთ მოევარა-  
ყებინა და დედამიწაზე სამეჯლისო ზარი დაერეკა!!

მთა ყურთმაჯინ კაბაში მოკაზმულიყო, ტყე ნაირფერის  
აბრეშუმით მორთულიყო და გულლია ველს მწვანე ხავერდით  
მოექარგა თვისი მკერდი...

მთის ერთ კალთაზე ახალგაზდა ძლიერ მუხას ახლად იფე-  
თქილი წვერ-ულვაში მზის სხივებით დაევარცხნა და თავზე  
ზურმუხტი გადაებნია.

თავმომწონეთ გადაპყურებდა მუხა მშვენიერ წალკოტს.—  
ერთის მხრით მხარ-ბეჭიან მთის სიმაღლე და ძლიერება იტა-  
ცებდა მის გულის ყურს, მეორე მხრით კი-მობიბინე ველი,  
რომელსაც გულმკერდზე სირმის მსგავსად გადაჰკროდა ვერ-  
ცხლის ფერად მოვარეარე ტანცვიტი მდინარე.

მუხის სურვილი იყო სიმაღლით მთისთვის გაესწრო, ხო-  
ლო სიგანით ფართოდ გაშლილ ველს გასწვდენდა. ახალგაზ-  
და მუხის ეს სურვილი უანგარო იყო: მას არ უნდოდა ამით  
მთა დაეჩაგრა, ან ველი დაეჩრდილა—ჭაბუკური გული ერ-  
ჩოდა მუხას და სრული ბედნიერება სწყუროდა.

— რა დიდია მაინცა და მაინც შენი სიმაღლე? — ეუბნე-  
ბოდა მუხა მთას.— მე შენზე უფრო მაღლა ავალ!.. მე ცის  
გუმბათს მივწვდები!.. ცის გუმბათზე ვარსკვლავებია! ვარსკვლავთ  
შორის კი ჩემი სატრფო მეგულვება!.. იგი მე მომელის, ჩემი  
სატრფო!! აი, ცოტა ხანიც და ნახავ, რა ბედნიერი ვიქნები!!.  
მაშ!! რა არის მაინცა და მაინც შენი სიმაღლე!!“

ველს ეტყოდა;

— „ჯერ კიდე არ გამიშლია სრულად ხელები! როცა გავ-შლი, მაშინ მთელს ქვეყნიერებას მოვაჭრევ ჩემის მძლავრის ტოტების ფარგლებში!.. ზღვასაც კი დავჩრდილავ!.. შენი გა-შლილობა რა არის?..“

ახალგაზდა მუხას სწამდა, რასაც ავბობდა. ტოტებს ჰშლი-და, ტანს ივსებდა და სულ მაღლა და მაღლა მიექანებოდა!

გაზაფხული სიცოცხლის ცეცხლს აფრქვევდა მუხას და მის ალალებულ გულში ვნებას ალვივებდა!..

იქვე, მუხაზე ცოტა დაშორებით, მდინარისკენ, ობლად იდგა ნაზი ტირიფი!.. გაზაფხულის პირზე მას თავისი ხშირი თმა ათასად დაუწინა და თეთრ შერხეულ ტანზე გადაეყარა!.. მორცხვი იყო ტირიფი და თვის მშვენიერ სიშიშვლეს ჩამოშლილ თმის კულულებით, იფარავდა... სახეც დამალული ჰქონ-და. — მხოლოდ ფირუზისფერი თვალებს მოკრძალებით ახელდა და უჩინრად გამოიყურებოდა უხვ წამწამთა შორის.

ტირიფს ესმოდა მუხის ფიქრები. გულის ფანცქალით უგ-დებდა ყურს მძლავრი ლტოლვით ატანილს მეზობელს და გა-მოუთქმელის დარღით ითუთქებოდა. იგი მთელის ტანით გადა-ხრილიყო მუხისკენ და დანამული თვალები მიბნედით მალუ-ლად მიეკურო მისის ჭალოვან ტანისა და ტოტებისათვის!

მუხას კი ვერ შეემჩნა ტირიფი!.. გულისთქმა ძალიან შორს მიაფრენდა მუხას და ამიტომ ახლობელ არეზე მას ჯერ თვალიც არ შეეჩერებინა!

— „ღმერთო ჩემო, რა ძლიერი და რა ღამაზია იგი!.. ნეტავი, რატომ ეძებს ასე შორს ბეღნიერებას?.. რატომ სულ მიუწოდელ ცას შესკერის და იმ დიდს მთას ექიშპება?.. მისთვის, იქნება, ადვილიცაა ცამდის ასვლა და მთაზედაც გა-მარჯვება, მაგრამ... — “ ფიქრობდა გულში ტირიფი. ხოლო გულშიაც ვერ ბეჭავდა თავის იდუმალი ფიქრის გამოთქმას, — მორცხვად დახრიდა თავს და მწარედ ამოიკვნესებდა!..

მაშინ წყლის ჩაქროლებით აფრენილი მდინარის სიო რგო-ლად წამოფარფატდებოდა და ტირიფს ტანზე შემოეჭდობოდა! ტირიფიც შებოჭავდა სიოს, სიყვარულით მიიხუტებდა ღელვიო გულზე და შემდეგ ხელებისა და თმის უცები გაშლით მუხისუ-

კენ გააფრენდა, რათა ჩუმი სალაში მაინც მიეძღვნა საყვარლი-სათვის.

სუსტი მოციქული ოდნავ შეარხევდა მუხის რომელიმე ტოტის ფოთოლს... მაგრამ ძალოვან ხის შორეულ ბედნიერებით გატაცებულს გულს ვერაფერს შეისმენდა

ტირიფი შეხედავდა და გული დაეწოდა. ცრემლის მარგალიტი თვალთ მოსწყდებოდა მას და მღულარედ ჩაჰყვებოდა მოლივლივე ტანზე!

აღაგზნებდა, აღანთებდა იგი ცრემლი დახშულ სურვილებით მთიალვარე ტირიფს, მაგრამ მაინც გამოუხმობელი რჩებოდა მისი ობოლი სულის კვეთება!!

კანთიადის სუნთქვას ღამის ბნელი განეფანტა, და ქვეყანას სინათლის სვეტი დასცემოდა.— დედამიწა ამდგარიყო ძილით და ლოცვის თქმად გამზადებულიყო.

გაისმოდა ნელი საგალობელი დიადის მსხიერპლის შეწირვის წინ! სურნელოვანი კომლი გართხულიყო ირგვლივ არეზე და ცად წარემართა ქვეყნის საგანთიადო დალადისი!

წამის ოცნებას დაეთრო ახალგაზდა მუხა. სატრფო ვარსკვლავის შორით ჭრეტითა და ტრფიალით, ღონემიხდილი იგი ახლა შფოთსა და დუღილს განიცდიდა.— სწუხდა: საყვარელი ვარსკვლავი ცის წიაღში ლამობდა დამალვას და მთელის დღით მასთან გაყრას!

უძილობით მოქანცული მორცხვი ტირიფი კი მთელის ტანით კრთოდა, ცახცახებდა. იგი ცრემლით იყო დანამული!.. ტირიფი დღის მოახლოვებას შეეკრო, რაღვანაც სინათლე შის ცრემლს დაანახვებდა გარემოს და მით საიდუმლოს გაუმჯდარნებდა. აკანკალებულის ხელებით საჩქაროდ შეეგროვებინა მას თმის კულულები და ცრემლს იმშრალებდა თვალზე და ლაწვზე!.., მაგრამ დაკოდილის გულის იარით ჩუხჩუხით მოსდიოდა ცრემლი, და ტირიფს ვერ დაეშრო მისი ღვარი!..

მალე საკვირველებათა სკივრის კარი გადაიხსნა და იქიდან გადმოიშალა ათასის ფერით მოფენილი ზრწყინვალე კალთა ჯერ კიდევ პირუჩინარი მზისა.

მიწის მსხვერპლი შეიწირა ზეცამ, დაკმეულ გუნდრუკის

აღმამავალ კომლზე ცად წარგზავნილი ლოცვა ქვეყნისა შეუ-  
ერთდა ზესკნელისას!

გათენდა.

პირველი სხივი მზის პირისა ციალით მოსწყდა ზეცას და  
ნავარდით წამოვიდა დედამიწისკენ!

აღტაცებით შეეგება მას ქვეყანა.

ტირიფმა თვისი დანამული თვალები მიაპყრო მზის საუნ-  
ჯეს.

სასწაულებრივი ძალით მიიზიდა ტირიფის თვალთა ცრემ-  
ლის მარგალიტმა ცად მოელვარე სხივი მზისა და უმალესად  
სინათლის გაკრთომისა ჩაიქარგ-ჩაიქსოვა იგი თავის სპეტაკ  
ცვარში.

გაუბჟყვრიალდა თვალები ტირიფს. თითქო შუქურა ვარ-  
სკვლავი მოსწყვეტოდეს ცის კამარას და ტირიფზე დასვენებუ-  
ლიყოს, ისე გაშუქა არე გრძნობათა ფარულ დუღილში ნა-  
ლესმა სხივთენილმა ცრემლმა.

მთელმა მიდამომ ამას ყურადღება მიაქცია!.. შეამჩნიეს.  
მორცხვი ტირიფი.

მუხამ ტოტები შეარხია. ფოთლები გაკვირვებით შეაშრი-  
ალა! — შორეული საბედო ვარსკვლავი მან ეხლა ასე ახლო  
დაინახა, განცვიფრებით მიაპყრო მუხამ თვალები ტირიფს.

ტირიფს კი მეტის სიხარულით სულთქმა შეუჩერდა. ნე-  
ტარების ბრწყინვალე შუქი მთელს ტანზე შემოეხვია და ბედ-  
ნიერების ფრთიანი ალი სახეზე აუვარდა.

„ამდენს ხანს რად ვერ დაგინახე, ნაზო მეზობელო? საი-  
დან ხარ ასე მშვენიერი? ჰკითხა ტირიფს მუხამ.

ტირიფმა მას პასუხი ვერ გასცა. მხოლოდ შეპხედა ერთი  
და წამსვე თვალები ძირს დახარა! ის ძლივს იდგა თავის, ადგილ-  
ზე. მაგრამ განთიაღმა შეამჩნია ტირიფის გასაჭირი და თავისი  
ნიავი გამოუგზავნა მისახმარებლათ... ნიავმა კი წამოუქროლა.  
მორცხვს მცენარეს, მოსტაცა გულის ცეცხლის სითბო და მუ-  
ხას შეაფრჩქვია!“

— „ვფიცავ, შენისთანა ოცნებაშიაც ვერ წარმომიდგენია!  
შენ სრული სახე ხარ ჩემი ძიებისა!.. შენის ხილვით ამიერი-  
დან ბედნიერი ვარ! . გამაგონე შენი ხმა, რომ უფრო ვიქნე  
ბედნიერი! — ამბობდა აგზნებული მუხა. ხოლო ტირიფს მაინც

ვერ ამოელო ხმა, რადგანაც დიდი იყო მისი ბეღნიერება და  
სიტყვის უნარი დაპირისაც.

მუხა კი შფოთავდა ნიადაგს აზანზარებდა და ტოტების  
ხეთქებით ჰაერს ქარად აბორიავებდა!!!

...დიდის დიდებით ამოსული ოქრო-ფრთოვან რაშე შე-  
მჯდარი მზე უხვად განაბნევდა მაცხოველებელ სხივებს დედა-  
მიწაზე!.. ედემის მსგავსი მწვანობი სიცოცხლის სიხარულს ჩის-  
ცემოდა, და ამ სიხარულს დღეს ობოლი ტირიფიც ინაწი-  
ლებდა!!

მუხა მთელის თავის ძალონით ილტვოდა ტირიფისკენ.  
ტირიფი კი ქალწულებრივი გულისძერით მოელოდა მუხას,  
მაგრამ შეუვარებულების განმყოფი მანძილი შაინც არ ილეოდა.

ვნებათალელვით გულაფორიაქებული მუხა ხელებს ფარ-  
თოდ ჰშლიდა, განმყოფს სივრცეს ეომებოდა და დაუშრეტე-  
ლად ეალერსებოდა სატრფო ტირიფს

როცა ქარი დაპირავდა, ტირიფის გულს იმედი ფრთას  
გაჰკრავდა, იმიტომ რომ ტანი მას კომლის რტოსავით ნაზი  
ჰქონდა, და ჰაერის სუსტი გაქროლებაც კი საკმარისი იყო  
მუხისკენ გადაეხარა: ამიტომ ტირიფს უყვარდა ქარი. მის მფრი-  
ნავ ტალღებზე დააწყობდა იგი თვის თმის კულულებს და სა-  
ყვარლისკენ წაატანდა ყელზე შემოსაწილებად'.. მაგრამ მიზანს  
მაინც ვერ ახწევდა ტირიფი — თმაც და ხელებიც მას ჰაერში  
გაშვერილი ურჩებოდა! ეს გარემოება გულს სწვავდა ტირიფს!  
მით უმეტესად სწვავდა გულს ეს ტირიფს, რომ მუხა არ ინ-  
ძრეოდა მისკენ, და ერთხელაც არ მომხდარა, რომ იგი ტირი-  
ფის მიერ გაწვდენილს ხელებს თავის მძლავრი ტოტებით მოჰ-  
გებებოდეს!

თვით მუხაც კი გრძნობდა ამას და სჯავრობდა თავისთავ-  
ზე, რომ იგი ბუნების მიერ ასე მოუხეშავი და ტანმოუქნელი  
იყო გაჩენილი! სამაგიეროდ მუხა ცეცხლებ მწველს სიტყვებს  
ეუბნებოდა ტირიფს და აიმუდებდა: მალე მოვალო! ამისთვის  
იგი ხარბად სწოვდა დედამიწის ნიადაგს, ღრმად უშვებდა ფე-  
სვებს, იგძელებდა ტოტებს, იმალლებდა ტანს!

„-- აი, მალე!.. მალე დადგება სანეტარო წამი ჩვენი შე-  
კრისა, საწადელო ჩემო! ეუბნებოდა იგი ტირიფს!

ტირიფსაც სწამდა მუხის სიტყვები და ჩმელი დღითი დღე  
ეზდებოდა ძალოვან სატრუოს შემყურეს!

დრო კი თავის კვალიბაზე ბრუნავდა.

კეკლუცი მოკლე-კაბიანი ქალწული გაზაფხული, რა გაივ-  
სებოდა და დაასაკდებოდა, გათხოვდებოდა. იგი მაღე დაპკარ-  
გავდა ქალწულობის იერს და გრძელს კაბას ჩაიკვამდა. ახლა  
იგი გაზაფხული არ იყო, არამედ ტანგასრულებული დედა-ქა-  
ლი—ზაფხული, რომელსაც გულის პირი გადახსნილი ჰქონდა  
და რძით სავსე ძუძუს უხვად სთავაზებდა თავის შვილებს...

მაღე ნელის ნაბიჯით, უჩინარის მოახლოვებით წამოეპა-  
რებოდა ზაფხულს დალეულობისა და მოლლილობის სახიერე-  
ბა — შემოდგომა და გულის გამწყალებელის სისინით გაძარცავ-  
და მის შნოით აღვსილს დიდებულს ტანს!..

გაეცლებოდნენ შვენებანი ზაფხულს და სიბერის ნაოჭები  
დაუღარავდა სახეს.

მაშინ კი ზამთარიც აღმოიჭრებოდა უამის უჩინარის კიდის  
კარით! ფართოდ გაჭმლიდა იგი თავის ზეწარს, გადააფარებდა  
ლონემიხდილს მოხუცს და მკერდზე მიიხუტებდა.

განსასვენებელისა და სასწაულებრ აღმაღორძინებელის  
ძილის ტახტზე დაესვენებოდა ბუნება!

მუხისა და ტირიფის ურთ-წრთი სიყვარულის ცეცხლი  
არა ქრებოდა.. ჩოგორუც თვითონ სიცოცხლის შეუძლებელი ძა-  
ლა, იგი ყოველს გაზაფხულზე გაგანია ალის მსგავსად ავარ-  
დებოდა და მზესავით ძალთ-მომნიჭებელი შეყვარებულთ სასი-  
ცოცხლო სისხლს უდუღებდა:

მუხა ახლობელის ბედნიერებისა და შვების ლექსებს თხზავ-  
და: ტირიფი კი თვისი სულის ქნარის სიმებს შეუწყობდა ჯა-  
ლო გრძნობათა გამომთქმელს, და ქვეყნად გაისმოდა დიადი  
ჰიმნი სიყვარულისა!..

„შენ არ იცი, რა მშვენიერი ხარ! — ამბობდა მუხა.  
შენ არ იცი, რა მშვენიერი ხარ, მახლობელო ჩემი!! მე კი  
სავსებით ვსჭვრეტ შენს სილაშაზეს, ჟენს მშვენიერებას! შენი  
თვალების ეში უფრო მათრობს, ვინემ მაღლით ცეარად ნოე-  
ჟული ლაშვარტი ცისა, და ოცნება ჩემი უფრო შენის ნარნა-  
რობის წყალობით დაპკრის ცის წიაღში, ვინემ ჭარსკვლავის  
ციალისა, რომელიც თვალის მომჭრელია!

„შენი სუნთქვა უფრო მათრობს ვინემ თითონ მზე, რო-  
მელიც სითბოს წყარლა!.. შენი სინაზე უფრო იმორჩილებს.  
ჩემს უდრეკ ძალასა და ნებას, ვინემ დიადობა მთისა. რომე-  
ლიც მხრებით ზეცას მიბჯენია!.. და შენი ფშვენა უფრო ძლი-  
ერად აქანებს ჩემს ტოტებს, ვინემ ტეხილობა და გიური-  
ქროლა აღმოსავლეთის ქარისა!

„შენი თვალების ხედვის ერთი ისარი უფრო მრატებს მე  
ცხოვრების შნოსა და ლონეს, ვინემ მზის ყველა სხივები დი-  
ლიდან სალამომდის ჩემზე გადმომდინარე! და შენ მიერ მოძ-  
ლვნილი სალამი კი ჩემთვის უფრო მეტი წყალობაა, ვინემ  
მთელის ქვეყნის თაყვანისა და პატივის ცემა!

„შენი ერთი სიტყვა ჩემს ყურს უფრო მოქარგულად ჩა-  
ესმის, ვინემ ცისა და ქვეყნის ყველა ლექსები, რაც ითქვა და  
კვლავად ითქმება!

მე კი შენ საკუთარ თავს მირჩევნიხარ! — ნელის წა-  
ჩურჩულებით, თმის გაშლითა და წამყამთა შერხევით ეტყოდა.  
მუხას ტირიფი. — მე კი შენ საკუთარ თავს მირჩევნიხარ!!

— შენი თმა ცათ დაშვებულ შუქთა კონა!.. მთვარის.  
შუქთა კონა, რომლის თვითიული ლერიდან იმდენი ნეტარება  
გამოდინდება, რომ ქვეყანა მცირეა მის დასატევად!

„შენი წამწამი კი დაჩრდილავს ლამის ფრთასაც, რომე-  
ლიც დოის დაძრდილავია'!

„შენთან ახლოს ყოფნა უფრო დიდი ბედნიერება იქნება,  
ვინემ შემოქმედეს გვერდით ჯდომა, და შენი მოხვევნა უფრო  
მწვავე, ვინემ სიცოცხლის წყურვილი! შენი კოცნა კი თვით  
შვება იქნება, რომელზედაც მხოლოდ ოცნებობს ქვეყნიერება!

— მე ეს არ ვიცი!.. მე არაფერი ვიცი!.. მე მხოლოდ  
შენს მოსვლას ვუცდი!.. შენ ძლიერი ხარ და მოხვალ!

— „მე მოვალ შენთან, საყვარელო ჩემო, და ჩვენ ვიქორ-  
წინებთ!.. ჩვენ ვიქორწინებთ და ჩვენს ქორწინებას თვითონ  
ლმერთი დაესწრება!..

„ქორწილს გავმართავთ! ზეცა მაყრად დაგვესწრება!.. და  
ჩვენს ქორწილზე ყველა წყალი ლვინოდ იქცევა! სადღეგრძე-  
ლოს იტყვის მთა და მთელი ქვეყანა კი „მრავალ-უამიერს“!

— ვიშ ბედნიერებავ!

— „ჩვენი ქორწინება შემოქმედების დასრულება იქნება!..

მიხტეული იქნება მიზანი, განსრულებული იქნება ქვეყანა! ძალოვნობა და სილამაზე, სიმაგრე და სინაზე შეითხო-შეზავდება ჩვენის დაქორწინებით და მოსცემენ ჯერ კიდე მიუხშეველს გვირგვინს სრულყოფობისას!

„დიახ, მე მოვალ შენთან, სასურველო ჩემო, მახლობელო ჩემო, და ჩემის მოსვლის დღე იქნება უფრო დრადი, ვინემ იყო ქვეყნის გაჩენის პირველი დღე!

„მე მოვალ შენთან და იგი მოსვლა იქნება გამეფება უღამო დღისა და განსუფევება უსიკვდილო ცხოვრებისა

„მე მოვალ შენთან, და კოცნა ჩვენი პირველი აღდგომა იქნება წარსულ საუკუნეთა და სწრაფი, ერთდროული მოვლინება მომავალთა და გაერთიანება მათი!

„მე მოვალ შენთან!!

— შენ მოხვალ ჩემთან!.. შენ მოხვალ ჩემთან, რადგანაც შენ ძლიერი ხარ, შენ ძლიერი ხარ და მეც მწამს შენი სიტყვები!!!.

ტირიფს ეგონა, რომ დამტყვევებული სიტყვები დედა-მიწის გულს სწყდებოდა და მუხის პირით აღმოდიოდა, ეჩვენებოდა, რომ მთის ზრახვაც იყო ჩაქსოვილი ამ სიტყვებში და მდელოს იდუმალი ფიქრიცა, ზღვის ნააზრევიც და მდინარის დაუსრულებელი ნატვრაც! — ქვეყანა ტირიფთან ერთად ხარობდა, მუხის სიტყვების გაგონებას, რადგანაც ქვეყანას სწყუროდა ბედნიერება!

და რამდენად მეტის სიცხადითა და ძალით გამოსთქვამდა მუხა თავის სულის ვნებას იმდენად მქმნელი იყო სიტყვა მისი და ნება მისი შემძლებელი!

მუხისა და ტირიფის ნდომა ოწინარისებრ ამოსდებოდა პირველდებულს წესს ქვეყნისას და დამხობას უპირებდა მას...

ოცნების საზღვარს გასცილდა მუხა. იმედების ხანა გადალახა მან და ამბოხების ფრთა-ფაფარი მეღგრად გაშალა. — ტალ-ლებად გადაეცნენ შორს და ახლო ჯანყის მწველი ალები!..

ახლა. კი ზენამ სახე შეკუმშა... მზის ფასკუნჯას. ისარი სტყორცნა და სისხლით შეღება იგი... წყვდიადის კედლები მიეკრა. ცას და შავად დაიხურა იგი!

ერთს კიდეზე გრგვინვამ საშინლად გაირახახა. ბანი მისცა მას საზარის აღმოძახილით ცის ოთხთავე კუთხეშ, და შეინ-

ძრა ზესკნელის სვეტი. გაგველეშაპებულმა სამყარომ გასრი კბილი გამოაჩინა. დაიკლაკნა იგი, — მიწას კუდი გაჰქრა. შუა გადატყდა ზესკნელის ბიჯგი და ყოველივე აირია. სვეტზე მიბმულმა წყვდიადის ქარმა თავი აიშვა და გიუჟრის აღტყინებით დაიზუზუნა ძლიერ ფრთიანმა... შეზანზარდა ჟედამიწის ნია-დაგიც! —

უძრავი მთა შექანდა. მდინარე კალაპოტიდგან ამოვარდა... ველი დაიხა.

მუხა თითქო ჰაერში აფრინდა. ტირიფი კი კომლივით გაერთხა დედამიწაზე შეიშით შას სული გაენაბა.

— აჲ, ალსოულდა, სატროვოვ! დადგა წამი ჩვენის ქორწინებისა!... მოვდივარ! — ქარის ზუზუნს აყოლებდა ხმას მუხა. — ეს დღე უფრო დიადი იქნება; ვინემ იყო გაჩენის პირველი დღე!

ზეცის გუმბათი გაიპო: ცეცხლი მოსწყდა ცას. წაშით განათდა ქვეყნის წყვდიადი, — ეს ცეცხლის ბორზალი დაეცა მიწას... და კვლავ დაბნელდა! ბნელს წინ უსწრობდა სიკვდილის მიერ მოქნეულ ცელის აჩრდილი და მომაკვდავის უკანასკნელი აღმოკვნესა...

თითქო წყვდიადიც შეაკრთო ამ აღმოკვნესამ, ყოველივე მიყუჩდა.

წვიმის ღვარი გადმოსკდა მაღლით. წარდგნის წყალი დადინდა ქვეყნად. — თითქო ვიღაცას ამით საშინელის დანაშაულობის კვალის წაშლა სწადდა...

მეორე დღე მზიანი გათენდა.

გონება დაკარგულმა ტირიფმა პირისახეზე ჩამოშვებული სველი თმის ნაწნავები მხრებზე გადიგდო. — თვალები გაინთავისუფლა:

გაკვირვებული იყო ტირიფი, რომ მოლოდინი არ გაუმართლდა და სატრფო კიდე არ მოსულიყო. იქით მიაპყრო თვალები, სადაც მუხა ეგულებოდა. — მუხა თავის ადგილზე ალარ იდგა. ორის გრძნობით გაიმსჭვალა ტირიფი — შიშით და სიხარულით! თითქო სიხარული სჭარბობდა.

მიმოიხედა.

მისგან სულ ახლო, თითქმის მის ძირში, ეგდო მუხის.  
შერუჯული ტოტი...

„— მოსულა?!—“ გაუბედავად გაიფიქრა ტირიფმა და  
მთელის ტანით საყვარლის ტოტს დაეკონა. მთრთოლვარე  
ტუჩით სწვდა მას!

მაგრამ მისდა უნებურად გულის ცემა უცებ შეუჩერდა:—  
ციჭი აღმოჩნდა სატრფოს ნაშთი.

ჭკლა დაბნეულმა ტირიფმა თვალები სწრაფად მაღლა ას-  
წია. ნახა, რომ მზე ძველებურის კისკისით აფრქვევდა სხივებს!. .  
მაღალი მთა მორჩილის სახით თავის ადგილზე იდგა... მდინა-  
რეც ისევ მიაქროლებდა ძირს ცელქს ტალღებს და საამოდ  
რაკრაკებდა... ველის მდელო მხიარულად გამართულიყო და  
თვის ნაზს ხავერდს იმშრალებდა...

თითქო არაფერი მომხდარიყოს!! თითქო არაფერი გამო-  
ცვლილიყოს!!

შიშმა შეიპყრო ტირიფი... თავზარდამცემი მარტოობა  
იგრძნო.

„— სად არის?“ — წაიჩურჩულა და კვლავ ძვირფას ტოტს  
დაეკონა! კვლავ უსიცოცხლო და ცივი იყო იგი!!

ახლა კი აგრძნო ტირიფის გულმა მოელი საშინელება.  
თავი მაღლა აღარ ასწია. როგორც იყო ტანწახრილი ისე  
უძრავი და გაშეშებული დარჩა.

მთელი მისი არსება უკანასკნელ კითხვას გამოსახავდა:—  
„სად არის“? — იგივ კითხვა დაპკვდომოდა უსიცოცხლო ტუჩ-  
ზე...

1913 წ. ოქტომბერი.

ქ. უნევა.

## ნ ვ ი რ ღ ვ ა.

ესკოზა.

(ძლენათ იაკ. ნიკოლაძეს)

I.

... მთვარის სერენადებით გაბრუნებულს, არე-შარეს მათ-რობელა სიზმრებისთვის შიეცა თავი. ვარსკლავები წყნარად დასთინათინებდნენ მსოფლიოს გულს. სულნი დაჰქროდნენ. ლამის უვავილნი გაშლილიყვნენ და სურნელის ფრქვევით უხ-მოდ ცელქობდნენ, ჩურჩულობდნენ.

ქვეყანას ეძინა!.. ზმანების ყურთუკზე ისვენებდა.

— სსსსს!.. სსსსსს!.. სსსსსსს!..

დაისისინა საიდგანლაც ცელქმა ნიავმა, გიუმაურად ჟე ინავარდა და ლამის მყუდროების სიმი შეაკრთო. მთიდან და-ქანებული გამმა ფერდოებთა კლავიშებით გამოგოგმანდა, კორ-ლიდან კორდს მისწვდა, ლელელან ველზე გაიცქრიალა და ნელ-ნელ ბუჩქნარის ჭალწულ ფოთოლთა თრთოლვაში ჩაკვდა. კვლავ ღრმა, გამოურკვეყულმა დუმილმა მოიცა არე-შარე. სივრცე მიყუჩდა, გაინაპა. მთვარემ შესწყვიტა სერენადა. ვარ-სკვლავთა ხომლზე საღმრთო სიზმრების ფერიებმა ოქროს. თი-თისტარი დააბზრიალეს და მთვლემარე იღუმალების. თრთო-ლვით ამოახვიეს მთელი ბუნების სული და გული.

სიზმარი სიზმარს გადაეხვია. რულმა შეიჯრო თვით სიმ-ლერა შუალამისა.

მთვარის ლივლივა ტალღებზე გოლიათა მთის გრეხილი ჰაეროვან ვეშაპსავით გამოსკურდა. ბჭყვრიალა ზურვი ალმა-სით მორთულ უნაგირით მოეკაზმნა. მის კალთებზე ამაყი ჭა-ჩოჩა ფიჭვნი დარაჯად დამდგარიყვნენ, ფერმურთალ წყვდია-

დის რუხი მანდილი მოესხათ და ასე მუნჯად, ოდნავი თვლე-  
მით მისჩერებოდნენ აღმოსავლეთს, საიდანაც დედოფალთა  
დედოფალი ცის ასული უნდა მობრძანებულიყო.

მშვენება თვითვე ჰნეტარებდა მშვენების სუნთქვით, თვით  
ნარნარება ირწეოდა ზმანების აკვნით.

მაგრამ ეს იყო წუთით. ფოთოლთა ქსელში გაბმულმა ნი-  
ავმა მალე თვალთმაქცურად დააღწია ტყვეობას თავი. ხითხი-  
თით ხელიდან გამოუსახლტა და კისკისა აცქვეტილი ფრთებით  
გაბრუებულ ქვეყანას შიგ გაღელილს გულში ეძგერა.

აკურრდი ათრთოლდა. რიურაუმა წამოიწია.

ცრიაგა ლაუვარდზე ნოქტიურნის სიმღერა შესწყდა. მთვა-  
რე გაფითრდა. ვარსკვლავთა კრებული მიიმალა. მფრინავნი  
სულნი აიზიდნენ ლაუვარდ უბში. ვეშაპა გრეხილს წარეშალა  
სასიზმრო სახე. მწვერვალთა რელიეფები ვერცხლის გვირგვი-  
ნად მოიკვეთა. შორს ცის იერზე გამოურკვეველ შუქის ჩადრ-  
მა დაიწყო თრთოლვა. არე-მარესაც გაეღვიძა, ბინდბუნდიანი  
სამოსელი ჩამოიშორა; და საამურ ურუანტელ დავლილმა საღმრ-  
თო ლიმილით შიშველი სხეული დაიბანა ციურ ცვარ-ნა-  
მით.

ცა გაიცრიცა. ლილა კაბა მთლად შეენაცრა.

მკრთოლვარე კაბადონს მოსწყდა ნისლი. კულულ-კუ-  
ლულად წამოსული თეთრი არწივის თოვლიან ფრთებით მოჰ-  
ყვა დინჯ სრბოლას. ნიავსაც ეს უნდოდა. სულელა კისკისით  
დაქურაგებდა და ლიტინით არავის უსვენებდა. ბევრი მოიმ-  
დურა. ბევრნი საყვედურით აუბურტყუნდნენ, რად არ გვეშ-  
ვებიო, მაგრამ გამოფხიზლებისთანვე კალთაში იგორებდნენ და  
ნაზი ხვევნით ალერსის წვიმას აეუფუნებდნენ ხუჭუჭა თმებზე:

— აჲ, რა კარგი ხარ, რა კარგი, შე გიუმაურ, ცელქო,  
კუდრაჭავ!..

თანაც ჰკოცნიდნენ, სულის უბეში ჩაიძვრენდნენ, ალერ-  
სით ჰკლავდნენ.

ზურმუხტის ველზე თეთრ თოვლად მოპენტილი ყვავი-  
ლები კისურსა. და ერთმანეთის ალერსში იყვნენ, დასცინოდ-  
ნენ ზოგიერთ დაიას, ვისაც ზარმაცად თავი ჩაექინდრა. და  
ზმანების ჯადოსნობიდან ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულიყო.  
ერთმანეთს ხელს ჰკრავდნენ, ფოთლებს ისე საყვარლად ათრ-

J.2

გზევრავნი—ნახატი ვლ. ს. ერისთავისა.



თოლებდნენ, თითქოს ახლად დაფრენილი მერცხლები სიხა-  
რულით ფრთებს ავარჯიშებენ ბუდის წვერზე.

ამასობაში გაისმა შორეული მუსიკა. ყველამ ყური სცენი-  
ტა, გაინაბა. ტოროლასაც ალარ დაუყოვნებია. დაიფრიალა,  
გიუმაურად ფრთა-ფრთას შემოჰკრა და ვერცხლის ზართა  
წკრიალით ისარივით გააპო სივრცე. აგერ, ისწრაფვის, ცის  
გუმბათში ჰსურს ლოცვად მდგარ ღმერთებს თავის ვერცხლის  
ხმაც შეუერთოს. აგერ, საცაა შეაღებს ლურჯ კამარის სამ-  
რეკლოს კარებს, მაგრამ... უცნაურად გამოტყორცნილი ოქ-  
როს ისარი დასწრებს და გულს უგმირავს მის სავედრე-  
ბელს.

საღმრთო ექსტაზი აქ დამთავრდა: შესწყდა აკცორდი...

პირი იბრუნა მიწის ელჩა, ცელქმა უღმურტულამ. გულ  
გახეთქილი ძირს დაეშვა, მაგრამ აღლითაც არ დაჰშორებია  
ცას, რომ სისხლის წვეთი დაეცა თავზე. იგი აიგზნო. გადი-  
რია. თვითეულ ფრთის დაქნევაზე ვარდისფერმა ტალღებმა  
იწყეს სრბოლა და აპა, მთელი მსოფლიო მთლად წაჰლევა  
ალ მოდებულ ლალის ზეირთებით.

სიცოცხლემ იფეთქა. სიცოცხლემ სიცოცხლე მოით-  
ხოვა.

თითქოს ამ წუთს ელოდნენო, იამ ლურჯი კაბა აიხასხა-  
სა, ყაყაჩომ შარი-შურით წითელი ქვედატანი გაიკვალთა,  
მთვრალ ხაშხაშს კოცნით ჩააბჟირდა, შროშანს ჰალილა გადა-  
ეხვია და სიხარულით აცრემლებულ ვარდის კოკრებს ანიშნა:

— აგერ, ის მოდის!

მართლაც, გრეხილის თავზე საკვირელებათა ცნაფრებამ  
იჩინა თავი: ასი კელეპტარი, ათასი ჩირალდანი, ათი ათასი  
მაშხალა ამოენთო და ალამპრდა მწვერვალებიდან. გრეხილი  
კოცნად იქცა. აგერ, ცეცხლის ბორბალმა რამდენჯერმე  
გადიტრიალა, ცის დედოფალი ამოსცურდა ტატნობიდან.  
შიშველი ლალად კისკისებდა. ოქროს შვილო მხარზე გადეგ-  
დო. ათას ცეცხლის ისართა ტალღა მოჰლელავდა ვარღათ  
ფურჩნილ მის ღიმილიდან. იგი ჰხარობდა, ჰნეტარებდა, რომ  
მარჯვე შვილდოსნობით ცა დაჰკოდა და მისივე გრძნეულე-  
ბით ღვთაების ცეცხლად იგზნებოდა მთელი მსოფლიო.

სხვის მომხიბვაჲელი თვისმა ჯადომ თვითვე მოჰხიბლა,

მთვრალულ კისკისით მოისურვა ცეკვა-თამაში, შეშველი ხელი გააწოდა ოქრომკედიან მარმაშის სამოსელისკენ, მაგრამ ვერც კი შეპნიშნა, რომ მის ნაცვლად ცეცხლის პერანგს წა-ავლო ხელი, სხვათა დამწველი თვითვე აღში გამოეხვია და მსოფლიო კოცონში კოცონად აღგზნებული ზე ღვთაებრივ სანახაობად აიზიდა ცათა ცის გულში.

ოქროს წვიმა ლალად აჟუჟუნდა. სიგიჟე იქცა აღტაცე-ბის ზე აღტაცებად. .

## II.

ღვთაებრივი დილა მხოლოდ ღვირლვას ვერ აფხიჩლებდა. აგერ მაისა ქალწული კისკისით რამდენჯერმე წაადგა თავზე, ჰაეროვანი ხელით გამოეხუმრა, ბალახთა ზურმუხტოვანი სუ-რით მუჭა-მუჭა ცვარ-ნამი შეასხა, პირისახე აუალმასა, ლალი-თა და იაგუნდით მოჰქარგა ფაფარსავით მოყრილი და ერთმა-ნეთში გადაჯალჯული მისი შავი ჯაგარა წვერ-ულვაში, მაგ-რამ მაინც არა ექნა-რა, ღვირლვა ხვრინავდა, ღვირლვა-თით-ქოს საუკუნეთა ძილს მისცემოდა.

იგი სულ სხვა რამის ფიქრებში იყო. სიზმარშიც კი და-ნადირობდა. რკინის შავ გულ-მკერდზე სქელი ბალანი აქა იქ შესცენოდი, გაზაფხულს ადგილ-ადგილ ახალი აელალანებინა. საომრად მოკუმშული ხელები გრძელი ფრჩხილებით მოჰპასუ-როდა, როგორც ფეხის ფრჩხალები. ტანის კანი ზამთრის ქერქს იცვლიდა, სახე მოჰკუპრობდა, მეტად წითური, მოჭარ-ბებული სისხლიანი მსუქანი ლოყები მოსჭარხლებოდა. ხშირად ხრიალებდა, თითქოს აღრჩობენო სუნთქვა ეკვროდა. როდის როდის დასძლევდა ყანყრატში მორჭობილ ქონს და აჩქარებუ-ლის სუნთქვით, ლოყების ბერვით იბრუნებდა დაკარგულს უნერგიას.

ამისასაში მზე იწევდა. მისი ცეცხლის ეტლი თვითეულ-თავლის გადატრიალებაზე მგზნებარე ბურთებს ისვროდა, ზვირ-თებად ჰშლიდა. სწახაობას ფრინველთა და მწერთა შეერთე-ბული ორკესტრი ეგებებოდა. ფუტკრები ღვთაებრივ და უხმო სამური ზუზუნით ახმატკბილებდნენ, ბულბულნი ციურ სევ-დის ხმებს აკვნესებდნენ გულის ძაფებზე, მერცხლები ჭიკჭი-ჭით, კოდალა და გუგული შეწყობილ ტაქტით, ჭრიჭინები-

ჭიანურის ახმაურებით საგანთიადო მისტერიებს სძლვნიღნენ  
სალაშა.

— უჰუ... ორრჩ... ჰა-ა-ა... უჰუ... უჰუ... ორრჩჩ...  
ნწყ... ჰა-ა ა!..

როდის როდის — გაისმა ლვირლვის ხმა, როდესაც ნიავმა  
წამოუქრ-ლა და აბურძგნულ გრუზა ქოჩორში ნარეკალის  
ლერი აძგირა.



— უჰუ... ორრჩ... ნწყ... ჰა-ა ა!..

ნერწყვების ყლაპვით ოდნავ წამოსჭექა მოგუდული თვა-  
ლები, თავქვეშიდან მოდუნებული ხელები გამოიღო და ცისკენ  
მიშტერებულ სახეზე ჩამოისვა მაჯლაჯუნად მოწოლილ სისხ-  
ლის უკუსაქცევად. მოშვებული კუნთები შეუთამაშდა, აუბურ-  
ცდა. ფართოდ გაშლილ ნესტოებით ხარბად შეისუნთქა დი-  
ლას ჰაერი და ისევ ლრმა ძილის ტალლებს მიჰყვა, ხვრინვა  
განაგრძო.

მზეს ეს ეწყინა. წარბშეკრულმა მკვეთრი ისრები დაუში-  
ნა, შეუწყვეტელი ძგერებით ბოლოს წამწამებს ქვეშ შეუცუ-  
ლა და გუგათა დამძიმებული ორი სარქველი მარჯვედ მოჰვ-  
ლიჯა, აიტაცა ახლა კი თვალები სჭყიტა ლვირლვამ და ზმო-

რებით წამოიწია. გაბრუებულმა მოგუდული თვალები მიღა-  
მოს მიმოავლო. ვერაფერს მიხვდა. ყოველისფერი ჩისლში გა-  
შონვეულად მოეწვენა. უგემურად მკლავები მოიმტვრია, ხელ-  
ახლად გააზმორა, დაამთქნარა. გვერდით რომ დაიხედა, ნანა-  
დირევის გამოხრილი ძვლები შეჰნიშნა. ნერწყვა მოადგა ტუ-  
ჩებზე, კაწკაწით კბილი გააკრაჭუნა. უზომო შიმშილი იგრძ-  
ნო. ძვალს ხელი დასტაცა, ღრღნა, ღრღნა, მაგრავ რო ვე-  
რას გახდა, უგემურად გადააგდო, ზანტად წამოდგა, გაიხედ-  
გამოიხედა. დაბლობზე ჩაქუხი შეჰნიშნა, მისკენ სირბილით  
გაემართა, წამოიჩოქა, დასწვდა პირით და ხარბად დაიწყო ცი-  
ვი წყლის ხვრეპა.

ლვირლვას საამურმა ურუანტელმა დაურბინა, როდესაც  
ალქაფებულმა ზვირთებმა უხილავ ფერის ფიალით რამდენჯერ-  
მე ცივი წყალი შეასხა სახესე. ლვირლვამ გადიხარხარა. შემ-  
დეგ გაყუჩდა, გაინაბა. ზვირთთა ცელქობას ნება დართო.  
რამდენჯერმე თვითონვე ჩაყურყუმელავა თავი, ამოილებდა,  
გადიხარხარებდა და ისევ ჩაყურყუმელავებდა. სულ დაავიწყ-  
და შიმშილი, როგორც ავადმყოფ ბავშს ნატკენი ადგილი ტი-  
კინის ხელში ჩაგდების დროს. ჰერობდა, რომ ჩაქუხი შასთან  
ცელქობდა. თვითეულს ჩაყურყუმლავებაზე თვალები დაჭუე-  
ტილი ჰქონდა, იამებდა, რომ კლდოვან ხავსიან წვეტებს ფი-  
რუზის ფერად ჰქედავდა. საგანთა ასეთი თვალომაქცური ფე-  
რისცვალება ბავშასავით ახალისებდა. რამდენჯერმე ხელიც ჩა-  
ტყა, თითქოს რაღაცის დაჭურა ჰსურდა. ერთხნად თავმა  
დასძლია, თითქმის წელამდე ჩაყირავდა, მაგრამ ფეხის ცერი  
ორთაყვირასავით მოიმარჯვა, კლდის წვერს მოეჭიდა და მარჯ-  
ვედ ამოსცურდა.

მოქნილი სხეულის ასეთმა სიმარჯვემ თვითვე ალტაცება-  
ში მოიყვანა ლვირლვა. რამდენჯერმე ისეთი ხმით გადიხარხარა,  
რომ ტყეში მისი გამოძახილით ფრინველთა გუნდი შეაფრთხო.  
წამოდგა. ნიავმა დაპერა. გააურუოლა, მაგრამ ესეც სიამის  
ძიგძიგი და ნეტარების თრთოლვა იყო. აი, შანთს შანთზე გა-  
დაევლო, ჩაქუხს რამდენჯერმე გადაახტ-გადმოახტა და ველზე  
ხარხარით გათამაშება მოისურვა, რომ უზარმაზარი საყურა გვე-  
ლი შეჰნიშნა. შანთის თავზე. ბაყაყი დაეჭირა. ლვირლვას და-  
ნახვაზე თვალები ცეცხლად აენთო და ერთგვარი ჰიპნოზის.

მოსახლენად შიგ თვალებში დაუწყო მკვეთრი ისრების დაკვე-  
სება. ესეც შეჩერდა, თითქმის გაშტერდა, თითქოს ზომა და-  
უწყო, მაგრამ უეცრივ გიუსავით გადიხარხარა და ნახტომით  
კამარა გადაავლო. გველმა მსხვერპლს თავი არ ანება, ისევ  
იბრუნა სოროსკენ პირი, მაგრამ თავი ძლივს ჩაჰყო, რომ  
ღვირლვა დასწვდა, კუდში წაავლო ხელი და ვიდრე მეტოქე  
მრასწრებდა მოკლაკვებას და ისრის ძგერებას, კლდის წვერზე თა-  
ვი შეუჩეჩქვა, ყელზე მოიგდო და მის საცოდავ გრეხვაზე მოჰ-  
ყვა ხტუნვასა და ხარხარსა.

როდესაც ველზე გამოიჭრა, ღვირლვა ელდა ნაკრავსავით  
გაქვავდა. ანაკვერჩლებული თვალები ტყეს მიაშტერა. რაღაც  
შორეულ კისკისს მოჰყრა ყური. სმენად გარდიქცა. რამდენ-  
ჯერმე ნაციებსავით გაათროთოლა. მომუწულს ტუჩებზე ლურჯ-  
მა ფერმა დაუწყო ელვა. ვნება უფეთქდა. თვალები ცეცხლით  
დაუწითლდა.. გამოთაყვანებულის შზერით ვერც კი შეპნიშნა  
გველი რიგორ ჩამოუგორდა. უზარმაზარი სხეული მუშტისა-  
ვით მოეწურა, თითქო დღნბა დაუწყო. მაგრამ ხმა იგი რომ  
აღარ განმეორდა, სწრაფად აღიმართა, წელში გასწორდა, მთე-  
ლი გულით ამოისუნთქა; თვალი მოავლო არე-მარეს და კვლავ  
ხელი დასტაცა ჯერ კიდევ წამებით ხლაკნია გველს და ისე-  
თის სიამაყით გამოსწია, თითქოს ბუნების მეფე ყოფილიყოს,  
მთელ დედამიწის დამპყრობელი.

### III.

ჰორიზონტიდან შეემ ნელ-ნელ დაიწყო ჩამოწევა. ღვირლ-  
ვა მიჰქოდა. სად? არც თვითონ იცოდა. აღლოს მისდევდა.  
ნაპრალიდან ნაპრალზე ხტოდა, ნაკადულს, ჩაქუხს ზედ თავზე  
ევლებოდა, ხან ტყეში შეიჭრებოდა, ხან ბუჩქნარს მიეცემო-  
და, რომ საშინელი ტანის ქავილი მოეკლა, ძეძვნარს. იჩჩევ-  
და, შიგ ძვრებოდა, ასკილის ტოტებს ეხახუნებოდა, რა არის  
ზამთრის ბალანი გავიყრევინო.

რამდენჯერმე ჩიტის ბუდეს წააწყდა. ყოველგან კვერც-  
ხები ამოსჭამა. ერთგან ლოფულოფი სრულიად ახალ გამო-  
ჩეკილი ბარტყები ერთი ყბის მოსმით გადაჰყლაპა. კალიებს  
დაუწყო დევნა. შემდეგ ნეკერის წვერი წაამტვრია, გემრიე-  
ლად ჩახრამუნა. არც თუ ლოკოკინა დაუწუნებია. სარდაფია-

ნად პირში იდებდა და წერაქვა კბილებით ხელად ჰუქვავდა, უმალ ჰყლაპავდა. ბოლოს ბალახით შეგმწარა პირი და მდე ლოზე გაიკუნტრუშა. ღვირლვა ჰარობდა. ჩედიზედ ყირა-ყირა გადავიდა, წამოწვა, რგორვა, რაღაცას შეჭითხითა, ბოლოს ისევ წამოხტა და თითქმის უმიზნოდ გაეჩვა ფერდობისკენ, აქედან ისევ იბრუნა პირი და შანთებზე მოჰყვა ხტუნაობას.

ის იყო ისევ მოტრიალებას აპირებდა, რომ უეცრივ შესდგა. სუნთქვა შეიკრა, გაინაბა, შემდეგ ისკუპა, უშველებელ ნაპრალს კამარა გადაავლო, ამოეფირა შანთს და მწირდავის თვალით უცნაურს წერტილს შეჰყურებდა.

ციცაბზე ორი თვის ნუკრი გამოსულიყო. განთიადის ეშვენიერებას პიპნოჩით შეეპყრო, გამოექანდაკებინა. ამომავალ მზეს გრძნეული ალით თვალები ასცისკრებოდა და ისე განაბულიყო, თითქოს საღმრთო დუმილში გართული დილის ფსალმუნს ფიქრთა ენით უგალობს ცნაურებათა მცხადებელსაო.

მის გვერდით ორიოდ ადლის დაშორებით დედა მშველი არხეინად წამოწოლილიყო ჭრელ ქათიბით; შვილის მზერით სტკბებოდა, ჰნეტარებდა, რომ ორი თვისა უკვე მოსჩიტა, ასწავლა ყოველი გზა გაფრთხილებისა. ნაზად იცოხნებოდა და ოდნავაც ვერ შეუნიშნია თუ ღვირლვა როგორ გველსავით მოსრიალებდა სალი კლდის პირზე, ან რა საფრთხეს განუმზადებდა იგი მის ნორჩს, ჯერ ცხოვრებით დაუმტკბარს ჩვილსა.

აი, ღვირლვას ოციოდე ნაბიჯილა დარჩა ნუკრამდე მისასვლელად. აქ შესდგა წამით, მკვეთრი თვალები არ მოუშორებია, შანთის წვერს ისე ჩაკვდა, თითქოს შიგ ჩაღნობა ჰსურსო. წამიც და მალე ათიოდე ნაბიჯით მიუახლოვდა. ნუკრი ისევ უძრავად იდგა, მთელი ბუნების მშვენიერებას იმოსავდა, რომ მით მოეხიბლა და თავი შეებრალებინა უწვევ სტუმრისთვის, ვინც კი ვერაგულად მიეჟარებოდა და მოსისხარ ხელს წატანებდა მოსაკვლელად.

ღრილვაშ იღროვა, მომენტი შერჩეულად სცნო. დიდის სიფრთხილით კლდის ნაკვეთს დასტაცა ხელი, შემდეგ უკან გამოაპარა, ნელ-ნელ მოჰწილა, შვილდ-ისარივით მოიკაკვა

მარჯვენა ხელი და ელვის სისწრაფით სტუორცნა შუბლი ცოცხალს ქანდაკა. ნუკრმა დაბლავლება ვერც კი მოასწრო, შუბლ-გახსნილი ბზრიალ-ტრიალით მასწყდა ციცაბს და ნაპ-რალისკენ გადაეშვა.

ხა-ხა ხა-ხა! ხა-ხა-ხა-ხა!

გაისმა ველური ჩარხარი ღვირდვასი. მოკუმშული სხეული ვეფხსავით გაუშალა, მოქნილი წელი ელვის სისწრაფით ასტუორცნა და უშველებელი ნახტომით თვითონაც გაჰყვა მსხვერპლს უკანა. დამფრთხალი დედა-შველი ზარდაცემული შეიჭრა ტყეში. ღვირდვა კი ნუკრს ეძგერა, პირდაპირ ყელში სწვდა, შემდევ იზურგა, მალლობზე ამოარბენინა, ბასრი ფრჩხილებით გამოშიგნა და პირველად გულ-ღვიძლს დაფრინდა.

ღვირდვა უსაზღვრო ბეღნიერებას განიცდიდა, როდესაც ჯერ კიდევ მთრთოლვარე გულს დაუწყო ოდნავ შედედებულ ნელ-თბილი სისხლის გამოწუწვნას. ღვიძლმა და თირკლებმა წითლად მოუგუნგლეს თავ-პირი. ერთხანად მსხვერპლის გამოშიგნულ გვამში თავი შეჰყო და ლოკვა დაუწყო ჩაჭკეულს სისხლს. ეს იყო მისი მათრობელა ნექტარი, ამითი იკლავდა წყურევილის ჭინს.

როცა ჭამით იჯერა გული, ღვირდვა იქვე მდელოზე გაგორდა და დაფლეთილ ლეშის გვერდით მოჰყვა მოუსვენარს ბორგვა-წყვეტებას. უნდოდა ცისთვის მიღმტერებინა თვალები, მაგრამ ვერ შესძლო, სისხლი მოაწვა, მოეგუდა. ეს მაინც და მაინც არ იყო ის, რაც მის ბუნების მოთხოვნილებას შეადგენდა, რაც აწუხებდა. დატენალი ძარღვები ასკდებოდა, სისხლის შადრევანი პირდაპირ საჭოჩრეში სცემდა, სუნთქვა მძიმე ქშინვათ გარდაექცა, ყოველ მხრივ ეტყობოდა, რომ ზღვა ენერგია დაულას თხოულობდა, ვიდრე ასე მოშვებით უმიზნო გორაობას.

— ბლდრრრ... ფუ... უჭუ...

ბლდვინვით ჩახველა ღვირდვამ, ტუჩები გაილოკა, გაგორდ-გამოგორდა და მძიმედ მოჰუქა თვალები, მაგრამ ძილი მაინც არ მიეკარა. დამძიმებული ორი სარქველი დაჭიმულ ძარღვებს მიეფისა...

#### IV.

ბუნების ორკესტრმა ტემპს მოუკლო. ცეკვა-ყიუინი ნელ. დებოდა. ღვირლვას ბორგვას ერთგვარი დისონანსი შეჰქონდა. ღვთაებრივს აკორდში, ჩაგრამ ეს მას ისევე არ ესმოდა, როგორც გახურებულს შანთებზე გაზოლილს ყვითელ მუცელა-ჯოჯოს, რომელსაც ბუნების მშვენიერებათა შორის მახინჯი ზურგი მზას სხივებისთვის მიეშვირნა და აწითლებული თვალების ლულვით თუ ენის ქასქასით ითბობდა შეყინულს ზურგს

უეცრივ ღვირლვა წამოიწია. ეს მეორე თუ მესამე ხელი იყო მისი ასეთი უცნაური შეჩერება და ყურების დალურსვა. განსხვავება ის იყო, რომ ეხლა წამოწევისთანავე ტყისკენ იბრუნა პირი და ფართოდ გაშლილი ნესტოებით ყნოსვა დაიწყო. მკერდი აუტოკდა. გულმა მედგრად დაუწყო ცემა. კუნთები წამოასქდა. ძარლვები დაეჭიმა. ქშინვას მოუმატა. სხეული მოექნა. რაღაცა ნახტომისთვის განემზადა. ფრჩხილების ლესვა დაიწყო. ყველაფრიდან სჩანდა, რომ ვიღასთანაც შესატაკებლად ემზადებოდა.

მართლაც, არ გასულა ორიოდ წუთი, რომ ტყიდან გაისმა შორეული კისკისის ბუნდოვანი ხმა. ღვირლვა ქვად იქცა. ინერციით მხოლოდ სხეული წამოეწია, ფეხები კი ფოლადის სოლსავით დააჭიდა ერთს აღვილზე. კისკისი კი თანდათან ახლოვდებოდა. წუთიც და მოწყვეტილ ჯეირანსავით ტყიდან გამოიჭრა სილია-ღვირლვამ თავი ვეღარ შეიკავა. ერთი ისკუპა, კარგა მანძილი სირბილით გაჰქროლა, მაგრამ ისევ შეჩერდა და ცქერად გარდაიქცა. სილიამ ვერ შეჰნიშნაიგი. თავისთვის კისკისს განაგრძობდა. მალი-მალ უკან მიხედებაზე აღვილად შეატყობით, ვიღაცას ემალებოდა. ხან ერთს ბუჩქს მოეფარებოდა, ხან მეორეს, ხან კიდევ ტყეში შეიქრებოდა, ისევ გამოვარდებოდა და ისე დაჰქროლავდა, რომ შიშველ ფეხს ოდნავაც არ აკარებდა ზურმუხტოვან ველის ქათიბსა.


ბუნების გულზე მოწყვეტილი სილია ის უმანკო არსება იყო რომელსაც ლელვის ფოთლის მნიშვნელობა არც კი უწყოდა ქალობრივ მორცხვობის დასაფარავად. ველური გიშერა თმა კოკებამდის ჩამოსწერვოდა. სირბილის ღროს ხოხობსავით.

ხან ერთს ბუჩქში ებმეოდა, ხან მეორეში. კეთილშობილური სავსე ფერდები, სწორე ნეკნებით, დაუმახინჯებელი წიბოებით, დასრულებული გულ-მკერდით და მარწყვად მომწიფებული ლოკებით იგი სრულს ჰარმონიას იმოსავდა. სულით ჯანსაღი ლაღსა და მჩქეფრ სიცოცხლეს მოითხოვდა. მიტომაც მისი კისკისი იყო ასე საამური, ვნების ამშლელი, გრძნეულებათა წამომშლელი, დამტკვევებელი.

გაქვავებული ლვირლვა ტუჩების კვნეტით თვალს არ აშორებდა ტყის ქალწულს და თანაც უცხო მეტოქის გამოჩენას მოელოდა. ალლომ არ უდალატა. სილიას საამურ კისკისს მოჰყვა გაშმაგებული ლაწა-ლუწი. ის-ის იყო სილიამ ტყისკენ იბრუნა პირი, რომ უზარმაზარი მხეცი გამოიჭრა, ლვირლვაზე ცოტა ლმცროსი, მაგრამ მით მაინც მისი ტყუპი ძმა ბუქო. ქაქანზე ეტყობოდა რომ მოლლილიყო. მიუხედავად ამისა მან მალე მოახერხა გზის გადაღობვა. აი, კიდეც დასწვდა, საკაა დაპირუჯავს რკინის თათებში. მაგრამ ლვირლვამ კამარა გადაავლო. თითქოს ამ წუთს შოელოდაო, საშინელი კივილით გაქანდა და უცხოდ მოსულს შეუტია ცოფ-მორეულმა. მაგრამ ბუქოც მარჯვედ დაჰვდა. სილიას დევნა იქით გადასდო და უწვევ სტუმრის გასამასპინძლებლად ქარიშხლის ფრთებით გამოფრინდა. გაჩაღდა ბრძოლა. როგორც ორი გამალებული სტიქია, ისე ეკვეთნენ ერთმანეთსა. ხვადი ხვადს დააფრინდა. მიწა ასთხარეს. თვით მწვანეზეც კი მძვინვარებით მტვერად ავარდა.

დიდხანს იბრძოდნენ გაშმაგებით. ხან ერთი აშოიდებდა ქვეშ, ხან მეორე. კვნესა-ბლუილით თუ ყრუ ლრიალით ერთმანეთს ჰკბენდნენ, სახეს უკაწრავდნენ, ყბებსა და ფერდებს ულეწავდნენ მუჯლუგუნებით. თანაც ფრჩხალებით სცლილობდნენ თვალები ამოეთხარათ ერთმანეთისთვის.

ორ ხვადის ბრძოლით მხოლოდ სილია იჯერებდა სიციალით გულსა. სრულიადაც აღარ უფიქრნია გაქცევაზე. ცნობის მოყვარეობის მოსაკვლელად იქვე გორაობით შეჰყურებდა და ხითხითებდა და ხითხითებდა. ხან წამოხტებოდა, ხან დაჯდებოდა, ხან მხარ-თეძოზე წამოწვებოდა და ისე უსეირებდა, ხან კიდევ მარჯვე ქამანდის დანახვაზე გადიხარხარებდა, გა-



დაგორდ-გადმოგორდებოდა, წამოხტებოდა, გაიქცევ-გამოიქცე-ოდა და ხითხითებოდა და ხითხითებდა.

სილიას სიცილი სიშმაგეს უკორიანტელებდა ისედაც გა-  
ხელებულს ხვადებს. ბრძოლამ დაპქანცა, მაგრამ დანებებამდის  
ადრე იყო. აი, კოტრიალსა, ბლაძუნ-კბენა-ლრიანცალში ვერც  
კი შეპნიშნეს თუ როგორ მივიღნენ იმ საბედისწერო ციცაბ-  
თან, საიდანაც წელან ლვირლვამ ცქრიალა ნუკრი გადმოაგო-  
რა. წუთიც და ორთავე თავ-პირის მტვრევით გადიჩებოდნენ  
შავს ნაპრალში მაგრამ ლვირლვას. აქ ალლო დაეხმარა. ფეხი  
მოიმარჯვა და რაც ძალი და ლონე ჰქონდა ხელი ჰკრა ბუ-  
ქოს, ციცაბზე მიაწყვიტა, ცოტაც და ჩაჭლუპავდა კიდეც.  
მაგრამ სასრაწარკვეთილების განწირულებით ბუქოშ კბილით  
უტაცა მკლავის კუნთზე, დაკოდილ მხეცსავით დაიბლავლა და  
ცოფ-მორეულმა ამოგლეჯილი ხორცი თან გადიტანა. შიგ  
უფსკრულ ჸი

გამარჯვებულ ლვირლვას საშინელი ლფლი მოჰქეთქოდა.  
ველური თვალების ბრიალით სტოკავდა, გული საგულეს ალარ  
ჰქონდა. რამდენჯერმე გადაიხედა ნაპრალისკენ და მხოლოდ  
მაშინ, როდესაც დარწმუნდა ტვინ დანთხეული მეტოქე უძრა-  
ვად ეგდო, დასცხრა, იქვე ჩამოჯდა და მკვლავზე გადმონადენ  
სისხლს დაუწყო ლოკვა. მაგრამ ამ დროს კისკისი შეესმა  
გაათროთოლა. მოიხედა. ყოველისფერი გაახსენდა. ტკივილი

დააგიწყდა. სახეზე ჩეტაუების ქარმა დაპირა: თვალები ვნებით აუნაპერწკლდა. წამოხტა. ტურფა ჯეირანს გამოუდვა

V

სილია ხვადთა უკანასკნელ ბრძოლის დროს წამომჯდარიყო და გატაცებით შეჰყურებდა ფალავანთა სიშმაგეს. იგრძნო თუ არა ბრძოლა დასრულებულია, რაღაც ბედნიერებას ურუანტელმა დაურბინა, მთვრალურ სიგრუით შეჰკისკისა და ფრთა ცქვეტით წამოხტა ზეზე. საკმარისი იყო ლვირლვას მისკენ გამობრუნება, რომ ახლა მას გაეთამაშა, ველური ხითხითით ბუჩქებში გაძრა-გამოძრა და ტყისაკენ იბრუნა. პირი:

ლვირლვას ბევრი დევნა არ დასჭირებია. ვით არწივმა გნოლს, ისე გამოუქროლა. სილიამ გაიკისკისა. მარჯვე მოტრიალებით აიცდინა მისი თათები, მოედო ბუჩქებს და ახლა ველზე გამოიჭრა. იამა მდევრის დამარცხება. აღტაცებით უმატა ხითხითს. ლვირლვა კი ცოფმა ვადარია რამდენიმე ნახტომით თავზე დაეცა და დაპირის მკლავებში. სილიამ კოპები შეიკრა. კისკისი ეხლა შურის საძიებელ წივილკივილად შეეცვალა. ბრჩხალებით სახე დააგაზა ძუ ვეფხსავით დაუწყო კბენა. მაგრამ ლვირლვა ოდნავაც ანგარიშს არ უწევდა მის ბრძოლა-გაშმაგებას. პირიქით, იამებოდა კიდეც. ყოველი მისი ფრჩხალის მოხვედრა ერთგვარ ლიტინად ეჩვ ნებოდა. ვნებით ანთებული ჰერობდა, რომ კაკაბი ხელთ ივდო, ეხლა ველარსად ვერ წაუვიდოდა.

აი, ლვირლვამ დასცა სილია. მაგრამ სილია გადაუტრიალდა და რამდენჯერმე გადააგორ-ვალმოაგორა შმაგი სატირი. ახლა კი გაანჩხლდა ლვირლვა, ვნების ტალღათა ტოკვას ველარ უძლებდა. საშინლად დაიბლავლა რკინის მკლავები მოჰსალტა. სილია გაიწურა. მოღუნდა... უკანასკნელი მისი კივილი ნიაჭმა მოიტაცა.

ცხრა თვალა მზე აეკრა ზენიტს. ჰორიზონტი ბულის ოლმურმა დაპირარა. ბუნების ორკესტრი მთლად მინელდა. სუნთქვა გაჭირდა. ჟვავილები, მიდამო თუ შრინალა. ტყე ქანცმოწყვეტილი მოჰყვა თვლემას. ლვირლვა რაღაც ჩეროში მიეგდო და ყრუ ხვრინვა ამოუშვა. შუაგულ ტყეში კი სილია. მირბოდა და ტყის დედოფალსავით ხითხითებდა და ხითხითებდა...

## ჩ ა რ ო.

(მთაწობა).

თბილისის ერთ მივარდნილ ქუჩაში არის ერთი ძველი შენობა, ძველებურის ვიწრო, გაქონილ ქალალდ გადაკრულის ფანჯრებით და ნახევრად ჩამონგრეული კედლებით. როგორც ეტყობა მის პატრონებს დიდი ხანია რაც ამ შენობისთვის ქვა მიუგდიათ და წვიმას ჩამოურეცხავს როდესლაც ყვითლად შელებილი კედლები, რომელიც ეხლა გაჭუჭყიანებულა და რაღაცა უცნაური დალაქიანებული ფერი დასდებია.

ეს სახლები ეჭირათ ღარიბს უპატრონო, ხალხს, რომელიც დღიური ლუკმის შოვნით და თხოვნით ირჩენდნენ თავს.

აქ თქვენ იპოვიდით მოქარგე დედაკაცა, დასაკერავების მკერავს, ლეხაქების მბასრავს და სხვა იმგვარი ხელობის ხალს, რომელიც თანდათან იკარგება ჩვენს ხალეში, და რომელთ მესაქმურობაც დღითი დღე ფასსა ჰქარგავს.

განესხვავებოდა მხოლოდ ერთი ნდგმური, რომლის ოთახსაც ფანჯრები მთელი და გასუფთავებული ჰქონდა. შუშებს იქიდგან მოქანდა თეთრი გასპეტაკებული კისეის ფარდები.

ეს გახლდათ მკერვალი დაროს სადგური, რომელიც სრულს ობლად დარჩენილიყო და დღიურის შრომით სცხოვრობდა და ბევრჯელ კუჭაცაც რიგზედ ვერ იძღებდა, მაგრამ ოთახი კი კოხტა პატარძალსავით მოეწყო. წმინდა ფარდები, ლოგინზედ თეთრი ზეწრები და სახურები, პატარა სუფრა გადაფარებული სტოლი და კამოდი უცხოდ აშვენებდნენ მოლრუბლულსავით სევდიანს კედლებს. ჩალის ორიოდე სკამი და

ჩალიჩა, გადაფარებული პატარა ტახტი დაასრულებდენ ოთახის  
მორთულობას.

დარო იყო ყმაწვილი თექვსმეტ-შვიდმეტი წლის ქალი  
და თუმცა არ შეიძლებოდა კაცს შშვენიერი დაერქვა, მაგრამ  
მისი მოხდენილი და მარილიანი სახე, რომელზედაც კარგა  
მყოფობის და სიყმაწვილის ელფერი დასთამაშებდა, ყველა-  
თვალში სასიამოვნოდ რჩებოდა. წყნარს, მშვიდს და გულს  
კეთილს ბავშს, მასთან უპატრონოსაც ბევრი ფა-  
თერაკი სდევდა, რაღანაც შინიდგან საკერავს ისე ვერ გი-  
ტანდა, რომ სხვა და სხვა გვარს მოარმიყეთ არ შეხვედრო-  
და, რომელნიც მოსვენებას არ აძლევდენ და თავს აძლევ-  
დენ, მაგრამ დაროს კარგად ახსოვდა სულთ მობძავი დედის  
უკანასკნელი სიტყვები, რომელშიაც მწუხარებით სავსე გაფთ-  
ხილება გამოითქმოდა და ამისთვის ყმაწვილს ქალს ყველასგან  
შორს ეჭირა თავი და ყველას სიფთხილით ექცეოდა.

მხოლოდ ერთი კაცი იყო, რომელიც დაროს ყოველ  
შეხვედრაზედ გულს როგორლაც აუფანცქალებდა ხოლმე და  
ძალზედ მოასურვებდა მასთან ალერსიანად ყოფნას, მაგრამ  
რაკი დედის სიტყვებს კაცების დაუნდობლობაზედ მოიგონებ-  
და, მაშინვე თავს შეიმაგრებდა და ყელში მომდგარს სიტყვებს  
უკანვე გულში. ჩაიბრუნებდა რომ იქ მაგრად დაემარხა.

ეს ყმაწვილი კაცი იყო ლამაზი, ნაზი შავის ხუჭუჭის  
თმებით და შავისვე მბრწყინავის თვალებით. მარჯანსავით წი-  
თელი პატარა ტუჩები, ახლად აკოკრებული შავივე ულვაშე-  
ბი უცხოდ უშვენებდნენ ბრძლსავით თეთრს პირისა-  
ხეს, რომელსაც ჯერ ცხოვრების დალი არ დასმოდა და გრძნო-  
ბით სავსე სიცოცხლის სურვილი ზედ დასთამაშებდა. ყოველ-  
თვის წმინდად და ფაქიზად ჩაცმული, თითები ბეჭდებით  
გატენილი ჰქონდა და მძიმე ოქროს ძეწკვი თრკეცად უშვე-  
ნებდენ უილეტკას. ფურაუკაზედ მიკრული კოკარდა კი  
ამტკიცებდა, რომ ის რომელიმე სამსახურში უნდა ყოფილიყო.

ამ ყმაწვილს თბილისში ყველანი ვანოთ იცნობდენ და ბულ-  
ვარზედ ჩქარ-ჩქარად ყოველ ხარისხის ხალხთან მოლაპარაკესა ხე-  
დავდენ, მაშასადამე კარგი დამოკიდებულებაც უნდა ჰქონოდა.

სხვათა შორის აი, ამისთანა მოარმიყეცა ჰყანდა დაროს,  
მაგრამ იმას ჯერ კიდევ ვერ დაეძლია ყმაწვილი ქალის გული  
და ეს კი ვანოს აჯავრებდა, მეტად ასურვებდა დაროსთან და-  
ახლოვებას.

იმას ვერ წარმოედგინა ისეთი ქალი, რომელიც მას დიდ-  
ხანს გასძალიანებოდა, რაღანაც ზოგიერთ „ბარიშნებთან“  
ნაცნობი, ის პირველსვე შეხვედრაზედ მათგან ოხვრის. და  
გმინვის მოსმენას იყო შეჩვეული.

ერთს დღეს, იქნებოდა საათის თერთმეტი, როდესაც ვა-  
ნო სწორედ იმ ქუჩაზედ, სადაც დარო იდგა, დასეირნობდა  
და მოუთმენლად მოელოდა იმის ნახვას.

ქალი უეჭველად უნდა გამოსულიყო, რადგანაც ამ დროს  
ამას ხელ-საქმე მაღაზიაში მიჰქონდა ხოლმე, მაგრამ თითქოს  
განგებ დარო არსადა სჩანდა. გაიარა საათმა ორმა ამ მოლო-  
დინში და ვანო მოთმინებას ჰკარგავდა, როდესაც ერთბაშად  
გაელო დაროს სადგურის კარი და კარებში გამოჩნდა მისი ნა-  
ზი და სიკერლუცით სავსე სახე.

ვანო სიხარულით კიდეც კი შეხტა და პირისახე ლიმილ-  
მა მოუცვა, მაგრამ მოაგონდა, რომ იმის მდგომარეობაში  
მყოფს მოარშიყეს პირისახე სრულიადაც არ უნდა უცინოდეს.  
და ამისთვის დაროსკენ გაბრუნების უმაღ იმან შეიჭმუხ-  
ნა წარბები, დალონდა და დაფიქრებულმა გასწია ქალისკენ.

დარომ კი რა წამს თვალი შეჰკრა, გული აუტოკდა და  
თითქოს მის გასაჩერებლად მარჯვენა ხელი იკერდს გაივლო.

ვანო მიუახლოვდა, წყნარად და ზრდილობიანად თავი  
დაუკრა და დარომაც თავის დაკვრითვე მისცა პასუხი.

— ნება მიბრძეთ მე წამოვილოთ. მიუბრუნდა ვანო და  
უჩვენა ბოხჩაზედ, რომელიც ქალს ხელში ეჭირა.

— არა, გმადლობთ!.. მე თითონ წამოვილებ—უპასუხა-  
ქალმა და გაწითლდა.

— რა გენალვლებათ მე წამოვილო?

— არაფერი მაგრამ... ალარ გაათავა დარომ.

— მაგრამ რა?.. რატომ ალარ გაათავეთ?

— ისე რომ ხვალაც მომინდება თქვენისთანა მოსამსახუ-  
რე და ალარ მეყოლება—გულწრფელად წაშოიძახა ქალმა.

— ხვალაც, ზეგაც, ყოველთვის — მიაშურა ვანომ პასუ-  
ხით.— გესმისთ ყოველთვის თუ კი მოისურვებთ;

ვანომ ქალის სიტყვები ეწმაკობად ჩასთვალა: იმას ეგო-  
ნა, რომ დარო სამუდამო შეერთებაზედ ელაპარაკება და რო-  
გორც „ჯენტლმენმა“, ვანომ საჭიროდ დაინახა ეპასუხა, რომ  
ოლონდაც ქალს მოეწადნა და ის დაროს სამუდამო მოსამსა-  
ხურე შეიქნებოდა. მით უფრო არ გაუჭირდა ვანოს ეს პასუ-  
ხი, ეს ხომ მარტო უბრალო სიტყვები იყო და არა ნატა-  
რიუსისგან დამტკიცებული პირობა. მაშ რა უშლიდა იმათ

წარმოთქმას? — არაფერი და აკი იმისთვისაც წარმოსთქვა ასე  
ადვილად.

ვანოს ეს პასუხი ჩვეულებრივად მიაჩნდა და დარო კი  
გააკვირვეს იმათ. ამისთვისაც შეხედა ქალმა ისე გაოცებით,  
რომელიც ყმაწვილმა კაცმა გამოცდათ ჩასავალა და ამისთვის  
დაუმატა:

— არა გჯერათ?.. გარწმუნებით, გეფიცებით... ო-ო!  
ოლონდაც სცადეთ, სცადეთ, ერთხელ და ნახავთ, რომ თქვე-  
ნი ყურ-მოჭრილი ყმა შევიქნები!

დაროს არ ესმოდა რა უნდა ეცადა და ამისთვის რო-  
გორც ამგვარს არშიყობას გამოუცდელმა ჰკითხა.

— რა უნდა ვცადო?

ვინომ ისევ იფიქრა, რომ ქალი ეშმაკობდა და თითო-  
ნაც გაფთხილდა.

— ნება მიბოძეთ ხანდისხან თქვენთან ვიარო ხოლმე.

— რათა? შეეშინდა ქალს, რომელმაც კარგად იცოდა  
შეზობლებს რა მცირედი მიზეზი უნდოდათ რომ საჭიროდ  
გაეხადათ და სხვა გვარს დროს გატარებას მოკლებულებს მე-  
ზობელი ზორტსავით გაღმოებრუნებინთ.

— იმისთვის რომ გაგიცნოთ, გაიგოთ რა რიგად, რა  
ძრიელად მიყვარხართ! ერთბაშად და გატაცებით მიაშურა  
ყმაწვილმა.

დარო ამ სიტყვებმა კიდეც ააღელვა და ჭადეც გაახარა,  
მაგრამ თვით ისევ ჩქარა შეიკავა, რადგანაც გაიფიქრა, რომ  
ეს სიტყვები ვანოს ჩვეულებამ წარმოათქმევინა. იმის აზრით  
ეხლა დაროს მაგივრად სხვა ქალი რომ მდგარიყო ვანოს  
„ზრდილობა“ მაინც იმ სიტყვებს ათქმევინებდა, რომელიცაც  
მკერვალს ეუბნებოდა.

მაგრამ გასაკვირვალი ეს იყო, რომ თუმცა ყმაწვილი კა-  
ცის ლაპარაკს სიტყვით არავითარს მნიშვნელობას არ აძლევ-  
და ქალი, მაგრამ გულს კი რაღაცა უცნაურის სიტკბოებით  
უალერსებდა და აწადინებდა კიდევ და კიდევ გაეგონა ამგვა-  
რი ლაპარაკი. ამიტო მტკიცდებოდა, რომ ჯერეთ გაურყვნე-  
ლი ყმაწვილი გული თავის დანიშნულებას ხარჯს აძლევდა და  
მიიბრძოდა იმ გრძნობისკენ, რომელიც ბუნებას იმრს ხნის და  
სქესისას დანიშნულებად გაეჩინა.

ისინი მიდიოდენ სისწვრივ და ვანო განუკეთლივ ჩას-  
ჩურჩულებდა საალერსო სიტყვებს, რომელიც თანდათან თავს  
ავიწყებდა ქალს, უღვიძებდა რაღაცა უცნობის ცხოვრების  
შეტყობას, თანდათან გონება სუსტდებოდა და იმის ადგილს  
გრძნობა იჭერდა, რომელსაც დარო ველარ მალავდა და ვანო  
კი სიამოვნებით ამჩნევდა იმ დროს მოახლოვებას, როდესაც  
მის სადგურში ფეხის შედგმა ელირსებოდა.

ფეხის შედგმა ელირსებოდა მეთქი... მერე? მერე რა კა-  
მოვიდოდა, რომ ეს ვანოსთვის საბედნიერო შემთხვევა ჩქა-  
რაც აღსრულებულიყო?.. ო-ო; ოლონდაც ერთი ფეხი შეედ  
გა და მერე თითონ იცოდა.

იმათ მიაღწიეს მალაზიამდის, სადაც დარო მიდიოდა და  
ვანო უნდა გამოსთხოვებოდა, რადგანაც იქ ქალს დიდხანს  
დარჩენა მოუნდებოდა.

— მაშ, რას იტყვით დარო, ნებას მომცემთ ხანდისხან  
თქვენთან ვიარო?

— რას იტყვიან მეზობლები?

— ხალხი ბოროტია, ბორთტის კი მარტო სიბოროტე  
შეუძლიან ილაპარაკოს!.. თქვენ რა გენალვლებათ, რაც უნ-  
და თქვან?

— მართალია, მაგრამ...

— თუ ხალხის ლაპარაკს მივყევით ეგრე ხომ ყოველ  
ბედნიერებაზედ უარის თქმა მოგვინდება?.. არა, დარო, ხალ-  
ხის მიზეზით ნება არა გვაქვს ჩვენს თავს უარი უთხრად იმ  
ბედნიერებაში, რომელიც კაცს სიცოცხლეში ერთხელ ეძ-  
ლევა...

— მე...

— თქვენ რაც უნდა სთქვათ, გააწყვეტინა ვანომ, რო-  
გორც უნდა დამტუქსოთ, მე მაინც მოვალ, დღესვე მოვალ!..  
გამომავდეთ თუ გული მავისთანა, სასტიკი გადახდეინების ნე-  
ბას მოგცემთ!

— არა, არა, ნუ მოხვალთ! — საჩქაროდ და შეშინე-  
ბით უპასუხა დარომ და თავის დაკვრით საჩქაროდ მალაზიაში.  
შებრუნდა.

ლევანმა კი სიამოვნებით წარმოსთქვა: „საქმე გაიჩალხა“ და წყნარად გამობრუნდა, შტვენიო და წკეპლის ქნევით გაემართა ბულვარისკენ, სადაც სხვა და სხვა გვარად მორთულს ქალებს მომხიბლავის ღიმილით ყურება დაუწყო.

## II

მზე კარგა ჩასულიყო და თავის ადგილზ მთვარის სხივებისთვის დაეთმო და რადგანაც ჩინებული საღამო იყო, დაროს თავის ფანჯარა გაელო, მომჯდარიყო იმასთან და დღიური შრომის შემდეგ განსვენებას ეძლეოდა.

ამბობენ შრომით მოქანცულს გრძნობა ოცნებობისთვის ჩლუნგდებაო, მაგრამ დაროზედ ეს სიტყვები არა მართლდებოდა, რადგანაც იმის პატარა გული ძალზედ მოძრაობდა და გონებაში კი ერთი სურათი მეორეთი შეეცვლებოდა, ერთი ფიქრი შეორეს მოსდევდა.

ის თუმცა ცდილობდა ვანოს სახე თავიდგან მოეშორებინა, მაგრამ რა წამს ოდნავ დაფიქრდებოდა მაშინვე თვალწინ წარმოუდგებოდა მოღიმარის და მომხიბლავის ღიმილით.

დაროს წელან ეშინოდა ვანოს მოსვლისა, ეშინოდა ეხლაც, მაგრამ კი გული წყნარად და ჩუმად გაიძახოდა: „ნეტა მოვიდეს, ნეტა ჩქარა მოვიდეს“.

დაროს მეზობელი დედაკაცებიც გალავნის კართან გავთვენილიყვნენ და მთვარის შუქზედ თავიანთ გულის დარღებს ოხვრით ერთმანეთს შესჩიოდენ.

ერთი იმათგანი, რომელიც საერთო ლაპარაკში არ ერეოდა და განზედ გასულიყო და თითქოს ვიღაცას მოელისო გზას გასცემოდა.

ამ დედაკაცის ტანთ საცმელი ბევრით არ განესხვავებოდა სხვებისას, რაღვანაც იმასაც ძველი, რამდენიმე აღიილს დაკერებული კაბა ეცვა და გახუნებული თავშალი ეხურა.


მოხუცებულს პირისახე... როგორლაც უცნაურად დაჰგადებოდა და გძელი გამხდარი ცხვირი უფრო მომეტებულად აუშნოებდა. თვალებს თუმცა სიცოცხლე დაჭკარგოდათ, მაგ-

რამ წყნარად მიხრა-მოხრა და გამოცდილებით ცქერა, თით-ქოს ყველასა სინჯამსო, ყველას გაგება სურსო, კაცზედ უსიამოვნო მოქმედება ჰქონდა.

ცოტა ხანს შემდეგ გარეთ შეიმუშავდა გამოეშუ-  
ვიდობენ ერთმანეთს, მთქნარებით და ხლახვნით გასწიეს თავ-  
თავიდანთ ქოხებში. თავის ალაგზევე დარჩა მარტო ის მოხუ-  
ცი, რომელიც გაცალკევებით იჯდა. ის ისევ გაპყურებდა:  
გზას გზას, თითქოს...\*)

---

\*) აქ სწყდება ალ. ყაზბეგის დაუთავებელი მოთხრობა. ეს ხელთ-  
ნაწერი და ერთი კიდევ ამაზე მოზრდილი, რომელიც მეორე კრებულში  
დაისტამბება X-ის ხელთნაწერში, ს. სტეფანწმინდაში აღმოუჩენია ჩვენს  
შეოსანს ი. გრიშაშვილს.



## ტრ. ჩავთვისი.

Настоящая пьеса „Батракъ“ соч. Трифона Рамишивили, разрѣшена Намѣстникомъ ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА на Кавказъ для представлениія на сценахъ края.

Отзывъ канцелярии за № 30372—915.

28-го ноября 1915 года, г. Тифлисъ.

Прѣдсѣдатель Комитета В. Колобовъ.

Секретарь Гусевъ.

## ჭკუა მხიარული.

სთვენის სურათი ერთ მოქმედებისა.

### ათავსები პირი:

- 1) ბასილია — 52 წლისა.
- 2) თეკლე ცოლი მისი 50 წლ.
- 3) ნუცა ქალი — 16 წლ.
- 4) ბათლომე ბოლაკიძე შორეული მოყვარე — 48 წლ.
- 5) ივანე მოჯამაგირე — 51 წლ.
- 6) დარიკო და სხვა ქალები ნუცას ტოლ-ამხანაგნი.
- 7) ბაბალე მაჭანკალი — 45 წლ.
- 8) თებრონე ქვრივი — 30 წლ.

## პირველი მოძრავება:

სცენა წარმოადგენს ეზოს. მოჩანს აივანი სახლით და ალაყაფის კარებით აივნის. შორეა ახლო ორი—სამი სის სკამია. შებინდება, ბაღრი მთვარე ამოსულა და უხვად გაუჩირალდნებია არე-მარე. ფარდის ახდისას ბასილა და ბათლომე დგანან ერთ ხესთან. ბათლომე ბასილას რაღაცაში გაცხარებით არწმუნებს. ბასილას ცოტათი მოუთმენლობა ემჩნევა, მაგრამ თავს მაინც უქნევს თანხმობის ნიშნად და რაღაც ნაძალადევათ ულიმის...

**ბათლომე.** უთუოდ მოდით ბასილა, უთუოდ. კაი საქმეა და არ მინდა აგაცდინოთ.

**ბასილა.** როგორ არა, უთუოდ, უთუოდ თავის დროზე ყოველივე მოეწყობა. მართლა ვინ იცის როგორ გშია, მე კი ყურებსაც არ ვიპანტურებ.

**ბათლომე.** არა მეთქი ადამიანო, რამდენჯერ უნდა გითხრა. (კიდევ მუნჯურად ლაპარაკობენ)

**დარიკო.** (გამოდის სახქართველოს აიგანზე, ჩამოდის კიბეზე თუ არა) ვუი მართლა! (მიღა კარებთან) ნუკა, ნუკა!

**ბასილა.** ნუკა, ნუკა! დარიკო გეძახის; (ბათლომეს) ჰო და ასე.

**ბათლომე.** კაცო რა ყველაფერში ეჩრები. დარიკო, რო ნუკას ეძახდეს შენ რა?

**ნუკა.** (მოადგება კარებს, დარიკო სახქართველოს ჩაფაცის ჩახურჩულების და გაშორდებიან ერთმანეთს).

**ბასილას.** (მომაფალ დარიკოს) დარიკო, დარიკო! რამე უნდა გითხრა (მიღა და ერთი წამით შეახერებს და რაღაცას ჩუმად ეტევის)

**დარიკო.** კარგი ძია, კარგი. (მიღის)

**ბასილა.** ნუ დამზარდები შენ გაზდას.

**დარიკო.** კარგი, კარგი.

**ბასილა.** (ბათლომესგან მიდის, ისევ დარგვისკენ მობრუნების)

შინს) მერე მე ვიცი და ჩემმა კაცობამ (პათლიაშვილის).  
ჰო და ასე.

**ბათლომე.** კაცო, რა ბუზან კალი, შეგიძვრა რო არ ვიცი! —  
ეს მესამეჯერ მაწყვეტინებ. მე საქმეზე გელაპარაკე-  
ბი, შენ კი სხეაგან გიჭირავს გულის ყური. ბასი-  
ლა! იქნება გიშლი, ნუ მოგერიდება ცოლ შვილს  
გაფიცებ, გულ-ახდილად მითხარი ყველაფერი...

**ბასილა.** (მოჭყიდებს შეჭავში ხელს და წინ წამოიწევებს) იცი ჩე-  
მო ბათლომე, დიდი მაღლობელი ვარ, რომ ჩემ-  
თვის ასე ზრუნავ, მაგრამ სიმართლე გითხრა. ისეა  
საქმე, რომ ეხლა მაგისათვის მართლაც არა მცა-  
ლიან.

**ბათლომე.** ჰო და გიშველა ღმერთმა! თუ კი აგრე იყო ად-  
რევე მეტყოდი, დალოცვილო. მთელი საათი მაყბე-  
და და ეხლა მეუბნება არ მცალისნო. მშვიდობით!  
(ხელს გაუწოდებს)

**ბასილა.** გეწყინა? წინედ არ იყავი ბუტია..

**ბათლომე.** ახირებულია, თუ კი შენ ჩემთან სამასლაათოდ არ  
გცალიან განა უმჯობესი არაა გზას გაუდგე?

**ბასილა.** კარგია ერთი მამა გიცხონდა! ხომ არ გაგიუდი, რა  
დროს წასვლაა, ძლიერ ჩაგიგდე ხელში.

**ბათლომე.** არა ბასილა, გამიშვი შეხი ჭირიმე!

**ბასილა.** ბათლომე! ეს ლამე, რომ ჩემსას არ გააორო, იცოდე  
არც შენი მოყვრობა მინდა და. არც ის შენი გარი-  
გებული საქმე. თეკლე, თეკლე!

**თეკლე.** (გამოდის სახლადან აიღნია) რა გინდა?

**ბასილა.** მოდი, მიშველე, ბათლომე გამიფხუკიანდა და წასვ-  
ლას ეპირება.

**თეკლე.** ვუი გეთაყვანე, რა დროს წასვლაა! ინდაური დამიკ-  
ლავს და ჩამისაცივებია.

**ბასილა.** იცი ჩემო ბათლომე, ისეთი ლვინო დაგალევინო,  
ისეთი, ისეთი რომა უუი (გააჭრულებს)

**ბათლომე.** რა გაეწყობა, რაკი დიასახლისმაც აგრე, ისურვა,  
დავრჩები.

**თეკლე.** სხვა არა იყოს რა დღეს ნიშნობაცა გვაქვს.

**ბათლომე.** რა, ნიშნობაო?

**ბასილა.** დიალ ნიშნობა და აი სწორედ ეს მიშლის ხელს ყურადღებით მოვისმინო.

**ბათლომე.** დიდება შენდა ღმერთო! (ბასილას გაფრებით თავს უქნებს) აღამიანო! რა მოხდა, რა ყოფა გაქვს, რას ფაცი-ფუცობ.

**ბასილა.** დამაცა ეხლავე. (თეკლეს) ხომ დაიჭირე საქმის თადარიგი, ხომ ყველაფერი ისეა, როგორც მე გამოზომე?

**თეკლე.** თავის დროზე ყველაფერი იქნება.

**ბასილა.** მაჭანკალი ბაბალე ხომ დაარიგე?

**თეკლე,** დავარიგე მაშ?

**ბასილა.** ნეფე?

**თეკლე.** ყანიდან უკვე დაბრუნდა და ეხლა მე და ნუცა. საქორწილოთ ვრთავთ.

**ბათლომე.** კაცო, არ იტყვით რა ამბავია?

**ბასილა.** შენ, რომ ასეთი ძვირი სანახავი არ იყო, უჩემოდაც მიხვდებოდი. ეს გრძელი ამბავია, მაგრამ მოკლეთ მაინც გაგაცნობ საქმის ვითარებას. ყური დამიგდე: იქნება გავენოს, რომ მე მყავს ერთი ჭიუამხიარული მოჯამაგირე ივანე ორთავაძე ხანდანან ისეთ მსუქან მწყრებს ააფრენს, რომ შენი მოწონებული. ჩემი ხელი კაცია, მთელი თავისი სიცოცხლე მოჯამაგირობაში გაუტარებია და ისიც მუქთად: დიდხანს არავისთან არ დგებოდა. ქალების ეშეითაა გადარეული და ვინც შეპეირდებოდა დაცოლ-შვილებას, იმას ემსახურებოდა, მაგრამ რაკი დაატყობდა ტყუილს, სხვაგან გარბოდა. ყველგან, რომ მოათვა, ეს ოთხი წელია ჩემთან გაიჩინა ბინა. თუ არა მე, ამ ხელი განმავლობაში მაგისი ერთ ადგილზე გაჩერება ძე-ხორციელს არ შეეძლო. ხან რით უამშვიდებდი, ხან რით, რომ უფრო მომეშინაურებინა, ამ ბოლო დროს თითქოს ვიშვილე და ქონებაც შუაზე გაუყავი მაგას და ჩემ ნამდვილ მემკვიდრეს. უნდა ნახო როგორ შეიფერა, მამას მეძახის და ვგონებ დარწმუნებულიცაა, რომ მართლაც ჩემი შეილია.

**ბათლომე.** აი ბედნიერი კაცი!

**ბასილა.** მაგანაც რო არ გასჭრა! ამ დღეებში გადაჭრით გა-  
მომიცხადა, რომ თუ ცოლს შემრთავ, ჰო რა კარ-  
გი, თუ არა და მივდივარო.

**ბათლომე.** საწყალი! ვინ იცის როგორ სწყურიან ბედნიე-  
რება

**ბასილა.** აი ამოაგდოს ღმერთმა ქალის სახსენებელი. ეს სხი-  
ვები, ჩემი მოსისხლე მტრის ია. შატაკიძის წყალო-  
ბაა. იმას ჩემი ყველაფერი შურს, შეუჩნდა და ერთ  
ვინმეზე ამილიტინა. უნდა თავისკენ გადაიპიროს,  
რომ მერე მუშაობით ტყავი გააძროს. ჩემსას კი,  
ცოლის გარდა, არა აკლია რა. ამასაც აღუსრულებდი,  
მე და ჩემმა ღმერთმა, ძალზე დურაქი რომ არ იყოს.  
ჰედავ საიდან მომიარა? სხვაფრივ, რომ ვერა და-  
მაკლო რა, ეხლა ამით უნდა ჯავრი ამოიყაროს,  
მაგრამ ვერ მივართვი.

**ბათლომე.** მერე, მერე?

**ბასილა.** მერე ისა, რომ რაკი ილაჯი გამიწყვიტა, მინდა ისე-  
თი ოინი უყო, რომ არც გამექცეს და ცოლის  
შერთვის უინიც გადაუყარო გულიდან.

**ბათლომე.** გაიქცეს-რა, ოთხი წელი, ხომ გემსახურა, და-  
ლოცვილო.

**ბასილა.** აი ჭიუის კოლოფი. კაცო, გიუი ვარ ასეთი მუქთი  
ყმა ხელიდან გაუშო მადანია, მაღანი მართალია  
ბევრსა სჭაშს, მაგრამ საქმესაც ხუთი კაცისას აკე-  
თებს. ეს არის ჩემი ცხენი, ჩემი ვიზი, ჩემი ხარ-  
კამეჩი კაი მოყვარე ხარ, მაგრამ რო მითხრა და-  
მითმეო, უარს გეტყვი, შენს მზესა ვფიცავ.

**ბათლომე.** დიდ გაჭირვებაში ყოფილხარ და მე. კი არ ვი-  
ცოდი.

**ბასილა.** შენ ხუმრობ და ივანე, რომ მტერშა წამართვას, დარ-  
დი გამიტანს ვიცი.

**ბათლომე.** როგორ გინდა საქმე მოაგვარო?

**ბასილა.** ამასაც გაგიმულავნებ, ამ ორი თვის წინად, ამ ჩემს  
მეზობელს პეტრია აბუხვერიძეს (მიუთითებს ღაბის  
გადაღმა) ეს ჭუმრა ერთი ცუკრუმელა ქვრივი ცო-

ლის და. ისეთი ეშნიანია ის წყეული, რომ, ლამის მეც გული ამიცრუვდეს ჩემ თეკლეზე. იმის მოსვლის შემდეგ მთელი სოფლის ყავაწვილ-კაცობა ყალყზე დადგა და არ იციან ვინ როგორ მოაწონოს თვი. იმ წყეული შატიკიძის ჩაგონებით ამ ჩემ ივანესაც შეჰყვარებია და ეხლა ამტეხია გინდა თუ არა შემრთეო. ქსელი ისტატურადაა გაბმული, მაგრამ მე ყველაფერი ისე მოვაწყე, რომ იქნება მომხედოს ღმერთმა და შიგ არ გავება. ამ შეთქმულობაში ჩემის თხოვნით ის ქვრივიც იღებს მონაწილეობას. ძალზე კუდრაჭაა ის არ გასაშვები. ცოტა ხნის შემდეგ მაჭანკალი ბაბალე ქილს აქ შემოიყვანს. ჩვენ რა თქმა უნდა ყველანი მივეგებებით. იცი რა ჩემო ბათლომე—რაკი ღმერთმა, ამაღამ შენც ჩვენთან მოგიყვანა, ბარემ ვისარგებლებ შენი თილისმით. ამ საცაა ჩემი თეკლე ლა ნუცა გამოიყანენ სანეფოს, მე შენ მეჯვარედ გაგაცნობ, თითქოს საკუთრად ამისთვის დაგიბარე. საუბარში შენც შეგვაწიე ორი-ოდე სიტყვა. ქალთან შეხვედრისას, როცა განიშნო, აი, ეს ბეჭდები (ამთოდებს ახალთხის ჯიბიდან და გადასცემს) წამოაცვი თრივეს ხელზე.

**ბათლომე.** მერე რაღა მოხდება?

**ბასილა.** იმას მაშინ ნახავ. ყველაფერი, რომ ეხლა გითხრა, ვაი თუ ვაწყინოს. (მივა აიგანჭან) შვილო ივანე! მორჩი ბარემ, ნუღარ აყოვნებ.

**ნუცა.** (კარებშა) ეხლავ მამა, ეხლავ. (შიგნით გასძახებს) ჩქირაო ქა! ხომ მზადა ხარ და რაღას აყოვნებ. (ჩამოდგება და გზას შისცაშს ივანეს) აი ჩვენი ნეფე-ბატონი. (გამოდის ჩხაში გამოწუობიდი ივანე და ძარს ჩა-მოდის თავ-მომწონედ)

**ბასილა.** გამოეწყე ჩემო ბიჭიკო?

**ივანე.** ისეთი მამა, ისეთი რომა...

**ბასილა.** აი შვილო, შენი მეჯვარე, შენი გამაპატიოსნებელი: ბათლომე ბოლოკიძე. შენთვის დაგიბარე და ხომ ჰედავ არ დაგვზარდა.

**ივანე.** (თავს უგრავს) დიდი შადლობელი ვარ შენი ჭირიმე,  
თუ ვიცოცხელე მე ვიცი როგორც გადაგიხდით.

**გათლომე.** (ხელს ართმევს) არაფერია ყვაწვილო, არაფერია.  
ღმერთო ჩემო ამას რას ვხედავ! ზედ გამოჭრილი  
ბასილაა. ვინ იფიქრებდა თუ შვილი მამას ასე ძლი-  
ერ ეგვანებოდა.

**ბასილა.** პო, მაგის შესახებ ჩემ თეკლეს კაცი ვერას შესწა-  
მებს. ყველაფერი დღესავით ნათელია.

**გათლომე.** (ბასილას) მართლაც, რომ კაი ბიჭი გყოლია ბა-  
სილა. მეუბნებოდნენ და რაღაც არა მჯეროდა.

**ბასილა.** რას ამბობ ბათლომე ეს, რომ არ მყავდეს ოჯახი  
დამექცევოდა. თუ ამ არე-მარეში მაგისთანა თავ-  
მომწონე ბიჭი სხვაცა ნახო რაც გინდა ის მიყავი.  
ეს, რომ ცხენზე შეჯდება და აზნაურებს ჯირითო-  
ბაში შეეჯიბრება იტყვი: ღმერთო ერთი კიდევ მა-  
ნახე და მერე თუნდ მომკალიო (იგანეს ხმა მაღლა).  
ისეთები ვუთხრა, რომ შენი ქება მთელ ქვეყანას.  
მოპფინოს.

**ივანე.** (ჩუმად) შეუკეთე მამავ, შენებურად შეუკეთე! (სი-  
ცილს ძლიერ იმაგრებს)

**ბასილა.** (ბათლომეს) ღვინის სმასშია ცოტა ჭირვეული და არ  
ვიცი როგორ გადავაჩიო. დაგილევს და არ გა-  
მოსცდი, ვაი შენ გოგრას. როცა ჩვენმა ბიჭ-ბუ-  
ჭებმა სოფლად ახალი აზრები შემოიტანეს, ყველა-  
ზე უკეთ ამან შეითვისა და იმ დღიდან მოკიდებუ-  
ლი სულ ეს უდგას ამ საქმეს სათავეში.

**ბათლომე.** კარგია ნუ გადამრიყ კაცი.

**ბასილა.** ბათლომე ბოლოკიძევ! მე რომ ამაზე ბოლომდე მო-  
გიყვე შეიძლება მართლაც გადაირიო.

**ბათლომე.** რაინდი ყოფილა, წამდვილი რაინდი.

**ბასილა.** იი მეც მანდა ვარ სწორედ. (იგანეს ხმა დაბლა) ისე-  
თი სიცხე მივეცი; რომ მალე ბოდვასაც დაიწყებს.

**ბათლომე.** კაცო, რა დროს ამისი ცოლის, ჯერ ხომ სულ  
ბავშვია?

**ბასილა.** რა მექნა, აღრე მომწიფდა, ენაცვალოს მამა. სახლ-  
ში ვერ გავაჩერე. დაერჩია ამ ქალებს და ისე გაუ-

სო, რომ ლამის გადასჭამონ ერთმანეთი. ამაზე სო-  
ფელი აყაყანდა და მეც მეტი რა ჯანი მქონდა უნ-  
და როგორმე დამება ჩემი მოუსვენარი კვიცი.

**ივანე.** (ბრიუულად სა ხათებს) ისეთი ვარ ისეთი რომა... —

**ბათლომე.** არშიყი რომაა, ეს მეც გვივიგე.

**ბასილა.** (ივანეს) ზომ ჰედავ წე სახაგელო, შენი ცულლუ-  
ტობას ამბავი რა შორს გასულა.

**ბათლომე.** არაფერია, აი რაკი დავაქორწინებთ, ისედია ქარი-  
შხალი ჩადგება.

**ივანე.** (ბათლომეს) თქვენი თქმისა არ იყოს, ჩემთვის ცოლის  
შერთვა მართლაც, რომ ნააღრევია ჯერ-ჯერობით,  
მაგრამ იმ წყეულმა ქვრივმა რო არ მოგვისვენა!  
დღე ერთი იყო და მოციქული ათასი.

**ბათლომე.** შეხე, როგორ მოგიხიბლავთ.

**ივანე.** გაგიქდა, სულ კისერზე მეპროწიალებს - ვიწვი და ბა-  
რემ დროზე მაზიარეო". განა აქედან შორსაა, აი  
იმ ორლობის გადაღმა რო სახლია, სწორედ იქაა.

**ბათლომე.** კეთილი, კეთილი.

**ივანე.** ამ საქმეს რო მოვათავებ, უმცროსი ძმა დათა უნდა  
დავაქორწილო და ნუცაც გავათხოვო. ძმა ვიცი გა-  
მეყოფა და მეც, რომ უცოლლდ დავრჩე მოხუც  
მშობლებს ვინდა მოუვლის?

**ბასილა.** (ბათლომეს ახიშებს, ხომ ხედავ რა ბიჭიათ)

**ბათლომე.** მართალი ბრძანებაა. როგორც მითხრეს, თქვენი  
საბედო ძალიან ლამაზი ყოფილა.

**ივანე.** («ლელექებულა») კიტრია, ბატონო, ნამდვილი კიტრი: გა-

აგორე და გამოაგორე.

**ბასილა.** (ლარჯერდება)

**ივანე.** რას მიყურებ მამა?

**ბასილა.** დაიცა შვილო, დაიცა. რაღაც ვერ ხარ ყაიდაში.  
აბა გაიარ-გამრიარე

**ივანე.** (გაიგლ-გამიაგლის)

**ბასილა.** ტანისამოსი კარგა გადგრა. ხმაღ-ხანჯალიც რო ყო-  
ფილიყო მაშინ სულ სხვა იქნებოდა. რცი შვილო,  
თუ შენი ნებაც იქნება, ამ თმასა და წვერს ცოტა

თი შევალამაზებ.

ივანე. ბატონი ხარ, ბატონი.

ბასილა. ნუცა, ა ნუცა!

ნუცა. (კარებიდან) რა გინდა მამა?

ბასილა. გამოიტა მაკრატელი.

ნუცა. ეხლავ მამა, ეხლავ. (კამთიტას საჩქართდ და გაბრუნ-  
დება)

ბასილა. (შეკრეჭ-შემოკრეჭს, თანაც ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამთისგ-  
რის) ეს ასე, ესეც ასე. შეხე ეს მასაფძალლი აი აქ  
როგორ გამობურთულა. აპა სულ მოვრჩი, ეხლა კი.  
ნამდვილი ფრანცუჟი ხარ.

ნუცა. მამა! დალაქიანთ კაცი გამოუგზავნიათ.

ბასილა. რაო მერე?

ნუცა. კვირამდე ერთი ტიკი ღვინო გვასესხეოთ.

ბასილა. მე რას მეკითხები. აი უფროსი ძმა, თუ ნებას შოგ-  
ცემს მიეცი.

ივანე. გული კი გააწყალეს და... ასე ჰემი მარანი  
დაუშრეტელი ზღვა იყოს. რა გაეწყობა, მიეცი!

ნუცა. (კადის სამზარეულოსაგენ სახლის გვერდით)

ივანე. რო არ ამლაშებდეს ისე... კარგი მეზობელია.

ბათლომე. (ბასილას) დავიჯერო, შენ ალარ ერევი ოჯახურ  
საქმეში?

ბასილა. მე როგორც დრო მოჭმული კაცი, გადამაყენა და  
ყველაფერს თითონ უძლვება.

ბათლომე. მოშილოცნია ძმაო, შენი ნატვრაც ხომ ეგ იყო.

ბასილა ვმადლობ უფალს, ჯერ-ჯერობით კარგათ მიღის ჩე-  
მი საქმე. (ივანეს) სხვა შვილო, როგორ გუნებაზე  
ხარ ა! ვინ იცის როგორ გიფანცქალებს გული.

ივანე. უხ, მამა თუ რამ იქნება ბარემ დროზე, თორემ. დავდ-  
ნი კაცი.

ბასილა. ჰაი გიდი სიჭაბუკევ! ერთ დროს მეც შენ დღეში-  
ვიყავი.

ივანე. იცი, დღეს დილას, რომ ბახჩაში მივდიოდი, ორლო-  
ბეს მოსდგომოდა და აქეთკენ იცქირებოდა. გაუს-  
წორდი თუ არა ერთი ისეთი შემომანათა, რომ  
სისხლი მაჭარივით ამიჩუხხიუხდა ჩაგეგრიხე, მაგ გულ-

მკერდში მეთქი მივაძახე. ესა ვსოდეთ თუ არა, ერთი ალ ქაჯიეთ გადიკისკისა და შევარდა სახლში.

**ბასილა.** მართლა? (ბათლომებს) ა! ი. თუმანი მიჯდება ეს ქორწინება.

**ბათლომებ.** მართლა?

**ივანე.** დიახ, დიახ! მაჭანკალი რაა, ისიც კი ათ თუმანსა თხოლობს.

**ბასილა.** ოცდა ათი თუმანი ღვდელს, ოცი თუმანი შევილი ბეჭედი, დანარჩენი სხვა და სხვა წვრილმანი ხირჯები აბა ეხლა კი დროა საქმეს ცეცხლი შეუკეთოთ. თეკლე, ნუცა!

**თეკლე** და **ნუცა.** რა ამბავია, რა ამბავია!

**ბასილა.** დედა-კაცო, რა კრიჭა შეგიკრავს? ილონე რამე, ლამის შემოგვათენდეს და მაჭანკალი. კი არსადა სჩანს.

**თეკლე.** (ნუცას) მართლა შვილო, გადაირბინე ბაბალესთან, გაიგე რაო აგვიანებს.

**ბასილა.** აბა მარდათ, დატრიალდი შენებურად, იცოდეთ შენცა და დათამაც, რომ ვიდრე უფროს ძმას არ დააბინავებთ, თქვენ არ გელირსებათ რა.

**ნუცა.** ვცდილობთ მამა რაც გაეწყობა. ვენაცვალე ძამია ივანეს, უმალ მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოს, სანამ მაგის ორგულობას გულში გავივლებდე, განაბრმა ვარ არ ვაფასებდე.

**ბასილა.** გასწა ჩქარა ნუ გაგიგრძელებია ეს ენა.

**ნუცა** მივდივარ, მივდივარ. (მიდის და მიეფარება)

**თეკლე.** წავალ საქმეს მივხედავ, როცა ბაბალე მოვადეს, მე შემატყობინე. (მიდის)

**ივანე.** დედა, დედა! აი მხჭანკალი.

**თეკლე.** (ბრუნდება)

**ბასილა.** ძლივს, დახე ეს რჯულ-ძალლი როგორ. აჭიანურებს საქმეს? ბაბალე დედა-შვილობას ჩქარა გაშოიარე, დაგვცინი თუ რა არას.

**ბაბალე.** მოვდივარ, მოვდივარ. იქონიეთ ცოტა თდენი მოთმინება. ჰოი, მე, რომ ამ საცოლო ბიჭების ამბავი ვიცი... ვინ, იცის როგორ მიკუთხებს. გუნებაში.

**ივანე.** რა ვქნათ დელიჯან კაცნი ვართ, ჩვენც სისხლი გვი-  
დუღს ძარღვებში თუ არა!

**ბასილა.** აბა მოჰყე, იძლევიან ქალს თუ არა.

**ბაბალე.** ვუი ქა! რა დროს ეგაა ქალი მომირთავს და მომი-  
კაზმავს.

**ბასილა.** მზითვისა რა გაიგე, გააჩნია რამე თუ არა?

**ბაბალე.** ყველაფერი რაც მაშინ გითხარით.

**ბასილა.** თუ რამე დაჰკლებია, იცოდე ქალს უკანვე დაგიბ-  
რუნებთ.

**ივანე.** (ბასილას ხმა დაბჭა) მამა! ნუ იცი ხოლმე ეს ახირება,  
ოლონდ ქალი ჩავიგდოთ ხელში და მზითვს ჯანი  
გავარდნია. განა ცოტა მაოხრია საკუთარი დოვ-  
ლათი?

**ბასილა.** დამაცა შვილო, მზითვზე ზრუნვა მშობლების საქ-  
მეა.

**ბაბალე.** შე უსამართდი, ისე მზეთ უნახავს რა მზითები მო-  
ეთხოვება.

**თეკლე.** მაგას ჩად ამბობ ბაბალე, ჩემი შვილი ვისზე რა ნაკ-  
ლებია, რომ უმზვითო ქალი შეირთოს და ისიც  
ნაქვრივალი.

**ივანე.** (შეწებული აქეთ-იქით თვარებს აციცებს) რა ვქნა! ნე-  
ტავი ჩვენებს დღეს რა ემართებათ? (თეკლეს) არა  
უშავს-რა დედა, არა უშავს, მაგითი ქალს წუნი არ  
დაედება.

**ბასილა.** (ივანეს) მოიცა ნუ გვიშლი. (ბაბალეს) ისე როგორაა  
საქმე? წელან სოფელში რაღაცა საეჭვო ხმებს მოვ-  
კარი ყური.

**თეკლე ივანე და ბაბალე.** რა ხმებს?

**ბასილა.** ია შატაკიძე ამბობდა თურმე, რომ „თუ ის მუნია-  
ნი იმას შეირთავს, ეს ულვაშები მომპარსეთო“.

**ბაბალე.** ჭორია, არ დაიჯეროთ.

**ბასილა.** ჭორი რათ იქნება, როცა იმასაც პჭონია გუნებაში  
იმ ქვრივის შერთვა.

**ივანე.** მართლა მამა?

**ბასილა.** შენს მზესა ვფიცავ.

**ივანე.** მოდი ეხლა და ენდე აღამიანს.

**ბასილა.** ბაბალე მეთქი, ვინმემ, რომ ეს ბედნიერი დღე ჩა-  
მაშხამოს იცოდე სისხლი დაილვრება.

**თეკლე.** ნეტა რას შემოგვიჩნდა ის წყეული შატაკიძე.

**ბასილა.** (ივანეს) ესეც შენი ია, მაგრამ გულს ნუ გაიტეხ.  
სანამ მამაშენი ცოცხალია, მტერი ვერას დაგაკ-  
ლებს.

**ბაბალე.** ჯვარს ამაღამ დაიწერთ თუ ხვალ?

**ბასილა.** მაგაზე კი უკაცრავად. ჯერ ასე იქნებიან და თუ  
საჩვენოთ ვიცნობთ, თავის დროზე ჯვარსაც დავ-  
წერთ და სითლობასაც ჩედ მივაყოლებთ. ნეტაი  
მეც მასე მექნა. მომდგომია ეს ჩემი კნეინა და რა-  
კი ჯვარ-დაწერილები ფართ, გინდა თუ არა შემა-  
ბერდიო. მაშინ კა ვგიუდებოდით ერთმანეთისათვის.  
მე სულელს მეგონა სულ ასე იქნებოდა. აი დასწ-  
ყველოს ლმერთმა ადამიანის ჯიში.

**ბათლოშე.** რას იზამ, ნათქვამია: „ერთის გადარევამ ყველა  
უნდა გადარიოსო“.

**თეკლე.** (ბასილას) ეხლა ამბობ მაგას, როცა სიცოცხლე გა-  
მომწოვე? არა შენი ზარი უკვე დაირევა. უფალს  
ევედრე ისევ მე, გყვანდე ცოცხალი, თორემ სხვა-  
ზედაც არ შეგხედავს.

**ბასილა.** შენ საგრე გვინია? ხა-ხა-ხა! ბაბალე ჩემო! აი ამ  
საჭმეს რომ მოვათავებ კოხტა გოდორაძის ცოლთან  
უნდა გამიწყო საქმე. (ბათლოშეს) მინდა ერთ ჩემ  
მეზობელს გაუცვალო ასიოდე. თუმნის წამატე-  
ბით.

**ივანე.** მამა! რამდენჯერ მითქვამს, რომ ამის ნებას არ მოგ-  
ცემ მეთქი. თუ ეს მართლაც ჩაგიდენია, ცცოდე  
გაგეურები და დედასაც თან წავიყვან.

**თეკლე.** ვენაცვალე ბიჭუნიას!

**ბალლოშე.** იკი ბასილა, დაგვიანებულია. ეხლა მართლაც არ  
ლირს მაგაზე ფიქრი. ამ შვილების მამას, არ შეჰ-  
ფერის ასეთი უკადრისი საქციელო.

**ბაბალე.** ბასილა, უგვირგვინოთ ქვრივი, არ გაგყვებათ.

**ბასილა.** კარგია ჰო, გეხუმრები, გეხუმრები.

**ივანე.** გეხუმრა, გეხუმრა.

**ბასილა.** (თეკლეს) რას მეუბნებოდი წელან, ღვდელმა რაო?

**თეკლე.** მცირე წლოვანს ჯვარს ვერ დავწერავო.

**ივანე.** შეხე ერთი იმ წვერ-ცანცარას!..

**ბასილა.** ირაზმებიან, მაგრამ არაფერია. მე ვიცი, რა მუცლის გვრემაცა ჰქონდას იმას. ორ ასიანს რო ვასუნებინებ, პირობას გაძლევ დილამდე სულ ბუქნა ვათა-მაშო. აბა ბაბალე ნულარ ვაგვიანებთ, შეუდექი საქმეს.

**ბაბალე.** ჯერ ჩამიჩხრიალე სამაჭანკლო.

**ბასილა.** ჰო მართლა სულ არ დამავიწყდა. (ამოიღებს ქისას და აძლევს ვითომ ქადალდის ფულებს). გამომართვი ათი თუმანია— შეგიძლიან მენდო.

**ბაბალე.** (ჩამოართმევს სახქართველო) გენდობი ჩემო ბასილა, გენ-დობი. მივდივარ ხალხნო. (მიდის)

**ბასილა.** აბა, აბა, (თავისიანებს) ეხლა კი დატრიალდით უცე-ლანი, ბათლომე, თეკლე, ნუცა, გახსოვდეთ თავ-თავიანთი მოვალეობა. შვილო ნუცა, რა უყავ ვარდ-ყვავილები, ან სად არიან შენი ტოლ ამხანა-გები? ასე უნდა მეზობლის პატივის-ცემა-თქო? უცო-ლო ბიჭები არ გააჭანოთ ჩემს მიღამოზე. (ზეანეს ხმა დაბლა) ასე ემჯობინება შვილო, ვინ იცის რა მოხდება, კაცის გულა ხარბიაო ნათქვამია. ერ-თიც ვნახოთ ვინმე ოხერმა სხვანაირად ჩაუკრას თვალი, შაშინ...

**ივანე.** (თავს უქნევს თანხმობის ნიშნად შემოდიან ჭიშკრიდან ნუცას ტოლ-ამხანაგები ვარდ-უგავილებით)

**ბასილა.** თქვენი ჭირიმე ქალიშვილები თქვენი, ვინძლო მა-სახელოთ დღეს. (ივანეს) აბა შვილო, შაირები.

**ივანე.** ბალში ქალი შესულიყო, დაეკრიფა ქლიავიო, გულ-თან უბე შეხეოდა, შედიოდა ნიავიო.

**ქალები.** (მხარულად ჩაიკისკისები)

**ივანე.** იკაკანეთ ვარიებო, იკაკანეთ! (ქალების კისკის თითა-ნაც აჭუკება და ქათამიგით გაკანების)

**ივანე.** ტყეში შევალ შეგცილდები, გამოვიტან ფუტუროსა, გოგო შენთვის დედაშენი დღე და ღამე პუტუნობ-სა. (ქალების კისკის და ივანეს გაკანი)

**ივანე.** გაღმა ბატები გავდევნე, გამოღმა დაჭიარები, გოგოვ,  
რათ არ გებრალები, უცოლოდ უავიარები

**ბათლომე.** ბასილა! პატარძალი მოჰყავთ..

**ბასილა.** მოჰყავთ? ღმერთო იფარავდე ჩემს ოჯახს! აშა ნე-  
ფევ, და შენც მეჯვარევ! წავიდეთ. თეკლე, შენ  
აქ შუაში დადექი, თქვენ კი კუდრაჭებო, აი აქ  
ჩამწკრივდით. (მიღიან სამნივე და შეებებებიან აღაუ-  
ფის კარებთან)

**ბათლომე.** ბასილა! მოჰყიდე ქალს ხელი. (ივანეს) შენ კა  
აქედან მოუდექი. (მოდიან წინ)

**თეკლე.** (ავან სცენიდან დაუგავებით) მოდი მომიახლოვდი, შენ  
შემოგევლოს ჩემი თავი. (გადაჭვოცნის)

**ბასილა.** კეთილი იყოს შვილო, შენი ჩემს ოჯახში შემოსვლა.  
(გადაჭვოცნის)

**ივანე.** (მუჯლუგუნს წაჭკრავს) დახე როგორ გადაირია ეს მსუ-  
ნაგი!

**ნუცა.** ღმერთო ამას რას მოუესწარი! (გადაჭვოცნის).

**თეკლე.** (თებრონეს). შენი მულია, გენაცვალე.

**ივანე.** (ჭნებით) შენი ჭირიმე, შენი. ისე შეგინახო, როგორც  
მაწონი. (უნდა აკოცოს)

**ბასილა.** (შეაჩერებს და სმა დაბლა) დინჯათ შვილო, ცუცუ-  
რაკი. ყოფილაო იფიქრებს.

**ივანე.** (ნაწერნი) იჲ, იფიქრებს კი არა გადაიფიქრებს:

**ქალები.** მოგვილოცნია ნეფე-დედოფალო, მოგვილოცნია.  
(ნეფე-დედოფალი თავს უკრავს უკალას)

**ივანე.** გაიხარეთ ქალებო, გაიხარეთ!

**ბასილა.** (მიიუვანს და სკამზე დასვამს თრივეს) აბა მეჯვარევ!

**ბათლომე.** ღმერთმა მამაზეციერმა გაკურთხოთ და მზე და  
თვარესავით შეგაბეროთ ორივე ცოლ-ქმარი. (ბეჭდებს  
წამოაცმევს თრივეს)

**ივანე.** ჰო, შევაბერდებით, უოუოდ შევაბერდებით. (თებრო-  
ნეს ენის მოქცევით) გე-ნა-ჩა-ლეეე! — (უნდა აკოცოს)

**ბასილა.** (შეაჩერებს) დინჯათ შვილო!

**ივანე.** (წერნით) იჲ! დინჯათ კი არა ის არ განდა..

**თეკლე.** (ნეფე-დედოფალი) ჭალაშია ქორის ბუდე, კაჭკაჭს გუ-  
ლი დისწყვეტია, ვინც რომა, თქვენი ძრახი თქვას,

თავზე მეხი დასტეხა.

**ბასილა.** ჩიტი ლობეზე შემოჯდა, ბიბილო ჩაუშავდაო, ვინც რომა თქვენი ძრახი სთქვას გვირგვინი გაუშავდა. (თებრონები) აი ეს არის ჩემო ლამაზო შენი ახალი ოჯახი, შეგითვისე და ჩვენც შეგითვისებთ. ამ ჩემ სიყრმის შვილს შენ გაბარებ ჩემო თებრონე (ვითომ გულ ასუებული) სათუთათ მყავს გაზრდილი და ვინძლო არ დამიჩაგრო.

**ივანე.** (ისიც გულ ასუებული ცრემლებს იწმინდს)

**თებრონე.** (წამოდგება) ბატონებო! რითაც კი შემგძლება, ვეც-დები ვიყო ღირსეული რძალი, ღირსეული ოჯახისა.

**ბასილა.** ვენაცვალე, რა სიტყვა პასუხია და... შენი ჭირიმე შენი (უნდა აკოცოს)

**თეკლე.** (სტაცებს უქანიდან ხელს ჩახის კაჯთაზე და დააჭანებს) დინჯათ! ცუცურაკი ყოფილაო იფიქრებს. (სიცილს ძლიერს იმაგრებს)

**ბასილა.** (თეკლეს) იფიქრებს კი არა... აბა ქალებო! დასცემ დაირა ბუზიკა და გაამხიარულეთ ოჯახი ჩემი. (გა-საღდება ლეკური. უწინ ბასილა და თეკლე იცეკვამენ, შესე წეფე-დედოფალი)

**ბასილა.** (ეკრივ) სუს! მოიცათ, გეთაყვა, მოიცათ.

**შველანი.** (შედგებან და უკეებს აცხვეტენ) რა ამბავია, რა ამ-ბავია!

**ბასილა.** დავიჯერო, თქვენ ცერავინ შენიშნეთ?

**თეკლე.** რა იყო შე ფეონიანო, რა მოგელანდა?

**ბასილა.** ფეონიანიცა ხარ და არც არა იყო რა. ეზოში ვიღაც საეჭვო კაცები ჩამოხტნენ.

**ბათლომე.** ვინ უნდა იყვნენ?

**ბასილა.** ვინ იქნება თუ არ ის ჩემი დამქცევი ია შატაკიძე ჟა მისა დამქაშები: ანტონა ბაბუშვერა, ჯანალა თავბერა, ჩატიანთ-ხეიმონა; ბრუტიანი ულექსა და დამეჯლიანთ მიხა: მე ჯანი გამვარდნია, ოლონდ (იგანგზე) ევ ბალლი არ შემიშინონ. (ისმას ერთის წამით ურუ ხმაუროსა სცენის პარეშე).

**შველანი.** ეჰე, ეჰე, ეჰე!

**ბასილა.** არც ეხლა გჯერათ? (წინ გაიწევა). წინ მოდიან, რკა-  
ლივით გარს გვერტყმიან.

**ივანე.** ვაიმე, ვაიმე!

**ბასილა.** ეი, თქვენ რომელი ხართ მანდა! ია შატაკიძე, ნუ იმა-  
ლები ბუჩქებში, კუ გიცანი, კი გიცანი. (მიეფა-  
რება)

**ივანე.** (თებრონეს) შენი თავი უნდა წამართვან, გენაჩალეე!

**ქალები.** უი ქა! საწყალი ნეფე, საწყალი ნეფე!

**ივანე.** ხალხნო და ჯამაათნო, მიშველეთ თქვენი კვნესა მე.  
(თებრონეს) გე-ნა-ჩა-ლეე!

**ბასილა.** (უკან იხევს) ვიღუპებით.

**უველანი.** რა ამბავია, რა ამბავია?

**ბასილა.** რა ამბავია, რომ ქალი უნდა წაგვართვან. და შვი-  
ლიც გამიუკაცურონ.

**უველანი.** როგორ, რათა, რისთვის?

**თეკლე.** კაცო, გონს მოდი რას მიედ-მოედები, იქნებ სმენამ  
გიმტყუნა.

**ბასილა.** დედა-კაცო! დაიჯერე, რომ ერთი იმათვანი მომიახ-  
ლოვდა და გადაჭრით გამომიცხადა: ქალი ჩაგვაძა-  
რეთ ჩქარა, თორემ გადაგწვავთო.

**თებრონე.** (იაბალეს) მაჭანკალო! ეს იყო ჩემი. ბედნიერება?  
(გითომ სტარის)

**ივანე.** გე-ნა-ჩა-ლეე!

**თეკლე.** შვილს რალას ერჩიან ქა!

**ბასილა.** იმას ერჩიან, რომ „საცა გინდა უველგან“ ეს გვეცი-  
ლებაო. აქაური ქალების სინსილა როგააწყალა, ყხ-  
ლა სტუმრებსაც მიჰყო ხელიო. ან დაგვიდოს საუ-  
უკუნო პირობა, რომ ცოლის შერთვაზე, ხელს  
იღებს, თუ არა და გავაუკაცურებთო.

**თეკლე.** (შოთექმით) ვარ შენ დედას შვი-ლორო!

**ბასილა.** ვაი მამაშენს, შენს შემყურეს შვილორი!

**ივანე.** (ცახცახებს) ვაიმე! ვაიმე. (ხმაურობა): პირობა, პირობა!

**ბასილა.** ეჰე, პირობაო. მიეცი. შვილო პირობა, თორემ ცუ-  
დათ წავა საქმე. სულ ერთია, ჩვენ. ხომ ჩვენსას  
მაინც არ დავიშლით.

**უველანი.** (თებრონეს გარდა) მიეცი პირობა, მიეცი.

**ივანე.** კარგი მიმიცია პირობა.

**ბასილა.** აი გაძლევთ პირობას, არც ეხლა, მოისვენებო თქვე  
ოჯახ-ქორებო? (უწუ ხმაურობა)

**ბაბალე.** (შიდარები)

**ბასილა.** ბაბალე საით მიიპარები?

**თეკლე.** რაღაც ამბავია, რაღაც ამბავია!

**ბათლომე.** რაკი ისინი აღარ ზუმრობენ, ეხლა ჩვენც უნდა  
გამოვილოთ ხელი. ქალებო! თქვენ პატარძალს უყას  
რაულეთ, ჩვენ სამნი კი გავალთ და შევებრძოლე-  
ბით.

**თებრონე.** (ივანეს) იბრძოლე და მე შენი ვიქნები.

**ივანე.** გე-ნა-ჩა-ლეე!

**ბასილა.** (ივანეს) გამაგრდი, რა ლმერთი გიშურება, არ გნა-  
ხოს ქალმა ძაბუნათ.

**ბათლომე.** (ავანეს) გამოდი! ქალი მამაკაცს ყველაფერს აპა-  
ტიებს, სილაჩრეს კი არა.

**თებრონე.** იბრძოლე და მე შენი ვიქნები.

**ივანე.** დალოცვილოთ თუ მომკლავენ, ჩემი როგორ იქნები?

**ქალები.** იბრძოლე, იბრძოლე!

**ბასილა.** გესმის, „იბრძოლეო...“ გამო ჩქარა, მტერი იერი-  
შით მოდის.

**ივანე.** გამომვალ მაშ... (შიდას თანაც ეშინიან, თანაც იქმნება)  
ისეთი ვარ, ისეთი რომა უჰ, დედასა-ყორნისასა!  
(წამით უწუ ხმაურობა, უკან დაიხევს და ისეგ გასწორ-  
დება) ისეთი ვარ, ისეთი უჰ, დედასა-ყორნისასა.  
(უეთანიგეთ აქეთ-იქით აწედება და თვალების ბრიალით  
იგერებს) ამ! ამ! ამ! ამ!

**ბასილა.** შეუტიე შვილო ჰო! მასე ჩემო ვაუ-კაცო ჰო! (უწუ  
ხმაურობა)

**ივანე.** (შეხტება) ვაი!

**თებრონე.** ვაი. შენ და შავი ჭირი.

**ყველანი.** ახ!

**ივანე.** (გაოცებული გაშეშდება ერთ ხესთან).

**ბასილა.** ვინ იყო? ეს რა გაიგონა. ჩემმა ყურებმა? ვინ იყო  
მეთქი გეკითხებით?

**თეკლე.** ეშმაკი და ქაჯი, სხვა ვინ იქნებოდა.

**თებრონე.** მე ვიყავი — გასკდით გულზე, მე ვიყავი.

**თეკლე.** ვუი დამიღეს თვალები! როგორ იფხაჭნება ჩემი ცუ-  
ცუნია. (ულოცავს) იაო თიაო უშველე დედა-ლვო-  
საო, იაო თიაო უშველე დედა-ლვოსაო!

**თებრონე.** გამიშვით მივდივარ.

**უველანი.** როგორ თუ მიღიხარ?

**თებრონე.** ჩემი საქმრო ვაჟ-კაცი უნდა ყოფილიყო და არა  
ასეთი ლაჩარი, ასეთი ქალა-ჩუნა ვინმე.

**უველანი.** (უქმაუფისობრივ აჩხჩელდებიან)

**თეკლე.** მაშა-აგრე? (ქოქოლას აურის) ვუი, მეხი კი დაგაყარე,  
შე უტიფარო შენა.

**ბასილა.** მამა გიცხონდა, სახლშიც ბევრი გეყოლება ამა-  
სთანა.

**თებრონე.** ჩუმად თქვე მატრაბაზებო!

**თეკლე.** შენ ეი, ძალდანაც ნუ გამეთხლიშები თორემ მევიცა.  
შენი.

**თებრონე.** ხმა ჩაკმინდეთ თორემ თუ გავტრაზდი, ნაცარ-ტუ-  
ტას აგადენთ ყველას. (საკრთვე უქმაუფისობრივ)

**თეკლე.** (ხელებს გაასავსავებს) თქვენი ჭირიმეთ ხალხნო, რა  
ავყია-აშარი ყოფილა ეს მიწა-გასახეთქი ესა.

**ბასილა.** ერთი უყურეთ რეებსა ჰბედავს ეს აჯილდა ესა.

**თეკლე.** მიმიშვით ერთი მაგას ჩიქილაში. ვტაცო ხელი და  
სხვა არა მინდა-რა.

**თებრონე.** (ამაუდ) გზა!

**უველანი.** (შეკრთებიან და ჩამოეცლებიან)

**თებრონე.** (წინ გაიწევს და კულისებისაჲ) მე შენი ვარ შატა-  
კიძე; ვენაცვალე იასა.. ბიჭიც ის არის და ქუდიც  
იმას ჰერავს. (ივანეს) შენ კი არა გგავს ოჩო-პეტ-  
რე (გააჯავრებს) გე-ნა-ჩა-ლეე! (ბეჭედსაც ესვრის. ერთს  
გადიკისების და გაიქცევა. აქ ტეშება ჩოჩჩელი, ნუ-  
ცა და სხვა ქალები გაედევნებიან ზრიალით და წუთში  
უველანი მიეტარებიან)

**ივანე.** (იმათი წასკლისას თავ-პირში შუშტის არტეაშს)

**თეკლე.** ვუი დამიღეს თვალები, ნუ შფოთავ გენაცვალოს  
დედა, ნუ შფოთავ. მე თუ მკითხავ. პირ-იქით სიხა-

რული გვმართებს, რომ ისეთი ცეი სული ოჯახში  
არ შემოგვეპარა. სულ სხვა მეგონა, მაგრამ ახლოს  
რო ვნახე კინაღამ ელდა მეტა. ჰლამი იყო, კბი-  
ლებიც რაღაც ოლრო-ჩოლრო და მასთან ძალზე  
ჭორფლიანი. (ბასილას) ნეტაი შენ მაინც არ მისი-  
ებდე ვულსა, რა ვქნაა! რამ გამოაშტერა?.. გეთაყ-  
ვა ბათლომე ერთი შეანჯლრიე, იქნება გონს მოვი-  
დეს.

**ბასილა.** თავი დამანებე თორემ ისე შეგანჯლრევ რომ...  
ღმერთო ჩემო! რა სირცხვილი ვჭამე დღეს; რა  
სირცხვილი. სადღა გამოვყო ეხლა თავი? დავიჯერო  
ისე დაეცა ჩემი მაზანდა, რომ ბლარავინ მერიდება?  
არა, ამასი მოთმენა არა გზით არ შემიძლიან. (იქა-  
ჩება და შიდის)

**თეკლე და ბაბალე.** (შეაჩერებენ)

**ბათლომე.** აბა რას სჩადი ბასილა!

**თეკლე.** ხომ არ გაგიუდი, ვინდა დააობლო ოჯახი?

**ბასილა.** გამიშვით, ლამის ბოლმამ დამახრჩოს.

**თეკლე.** (იგანეს) შვილი! მოდი ვერა ჰედავ რა დღეშია?  
მოდი სთხოვე იქნება დაგიჯეროს.

**ივანე.** დამიჯერებს მაშ. (მივა) დაწყნარდი მამა. ღმერთმა ისი-  
ნიც შეარცხვინოს და იმათი თებრონეცა, იმისთანა  
ქალი მზეთუნახავიც რო იყოს, არ შევირთავ. ულ-  
ვაშები შემირცხვეს თუ მე ამიერიდან წყეული ქა-  
ლებისა რამე ვიწამო.

**ბათლომე.** (ბასილას) ხომ გაიგონე, სიყმის შვილი გთხოვს.

**ბასილა.** მთხოვს და მეც ვემორჩილები.

**თეკლე.** გენაცვალეთ რა ხათრი აქვთ ერთი-მეორისა.

**ბათლომე.** აბა, აბა! დაწყნარდით, დაშოშმანდით. მადლობა  
ღმერთს, რომ ეს ღამე უსისხლოთ გათავდა.

**თეკლე.** თორემ მე, რომ მამა-შვილის სიფიცხის ამბავი გიცი  
ტა-ტა-ტა-ტა!

**ბასილა.** მართლაც და ძალიან გადავრჩით ამაღამ, დაილო-  
ცოს ღმერთო შენი სამართალი. (იგანეზე ბათლომეს)  
როგორი ბიჭია?

**ბათლომე.** ენით გამოუთქმელი

**ბასილა.** ენაცვალოს მამა. იბრძოდა როგორც ლომი, მაგრამ რა უნდა ქნა როცა ერთზე ათი მოდის.

**ივანე.** (იძერება) ისეთი ვარ ისეთი, რომ უხეს დედასა-ყორნისა-სა! აბა მოვიღიენ თუ გული ერჩით. იცი მამა, იმ შენ შატაკიძეს ორი-სამი ისეთი ვლრუზე ბეჭებში რომ...

**შველანი.** მართლა?

**ბასილა.** შენი მარჯვენის ჭირიმე ბიჭო, შენი.

**თეკლე.** აბა მე წავალ, ვახშამს მივხედავ. (მიდის.) ესენი კი წუთის განმავლობაში მუქჯურათ რადაცას გამათობენ. მოდის გაჩქარებით ნუცა)

**ნუცა.** ახალი ამბავი მამა, ახალი ამბავი!

**ბასილა.** გოგო შენ სად იყავი?

**ნუცა.** ახ, მამილო რა გიამბოთ, რა გიამბოთ!

**ბასილა.** რაც უნდა მიამბო სულ ერთია, მაინც გითაქებ. ასე უნდა? ოჯახს, რომ ცეცხლი ეკიდებოდეს, შენ ტყე-ში გარბიხარ? (თითქას უნდა სწოდეს თმაში, მაგრამ ბათლომე და იგანე გაქსჩავენ)

**ივანე.** გონს მოდი მამა, კიდევ მოგიარა?

**ბათლომე.** დაიცა, კაცა! აბა ნუცა ყურს გიგლებთ.

**ნუცა.** მე და სხვა ქალიშვილები იმათ გავედევნეთ კვალ და კვალ, რალაც ძალზე მწყუროდა იმათი ვინაობის გაგება.

**ბასილა.** ვინ იყვნენ?

**ნუცა.** ამ დაცემის მოთავე ია შატაკიძე იყო.

**ბასილა.** აკი ვსთქვი, მერე?

**ნუცა.** ჩვენიდან დაწყობილი, ქვრივი ხელში აყვანილი მიჰყვანდა.

**ბასილა.** ფუ რა უსირცხვილობაა!

**ივანე.** (ბრაზისაგან უბები უკანკალებს)

**ნუცა.** მიახწიეს თუ არა შატაკიანთ ორლობეს, საიდგანლაც გაჩნდა მაჭანკალი ბაბალე, ერთი შეიჭიხვინა, იქცა მგლათ, პატარძალიც გაკუდიანდა.

**ივანე.** (უურებს აცქვეტს)

**ნუცა.** მოახტა მგელს, ერთი-ორი გადაუტყლაშუნა რასა და  
ჰერი ბიჭო!

**ივანე.** აი გიშველა ღმერთმა, ძლივს არ მომეშო. წავიდეს  
ეხლა და ირკავოს. (მრიულათ წითხოთები)

**ბასილა.** ხედავთ ხალხნო რა ამბებია!

**ბათლომე.** (მხრებს აიჩებს)

**ბასილა.** (თრჯერ) ჩვენთან-აარს ღმერთი, ჩვენთან-აარს ღმერ-  
თი. მერე, მერე!

**ნუცა.** იქიდან, რომ ვბრუნდებოდი გულმა არ მომითმინა და  
შევიხედე აბუსვერიანთ ეზოში, მაგრამ შიშისაგან  
კინალამ შევიშალე.

**შველანი.** რატომ; რატომ?

**ნუცა.** მაჟანკალი და ქვრივი თითქოს აქ არაფერიაო სხვებ-  
თან ისხდნენ და ვახშამს შეექცეოდნენ.

**ბასილა.** შვილებო! ამიერიდან მოსპეთ ყოველივე მეზობლო-  
ბა იმ ოჯახთან. (გაიწევს კულისებისკენ რამდენიმე ნა-  
ბიჯით და გადასძახებს) ჯვარი აქა კუდიანებო, ჯვა-  
რი. აქა. თქვენი სვით და თქვენი სჭამეთ, ჩვენსას  
ჯვარი დაგვიწერეთ. უუუ! —

**ივანე.** რა ამბებია და... აბა რა მაფიქრებინებდა თუ ის კუ-  
დიანი იქნებოდა. მერე და როგორ მოგვაჩვენა  
თვი!

**ბასილა.** შენ ეგა სთქვი და!

**ივანე.** აბა ნუცაჯან, წავიდეთ და დედასაც ვახაროთ. (ში-  
დიან)

**ბასილა.** ოჯახიშვილო! ბარემ ვახშამიც დააჩქარე. ამალამ ერ-  
თი ლოთიანათ გადავკრათ და უფალს მაღლობა  
შევსწიროთ, მშვიდობით გადარჩენისათვის:

**ივანე.** ბაშ-უსტა, ბაშ-უსტა! (აიგანთან წასკდება თაფასებური სი-  
ცილი და შედიან სახლში)

**ბასილა.** (ბათლომე) როგორი იყო წარმოდგენა!? ის ეხლა  
თუ სამუდამოთ არა, ხუთი წლით მაინცა მყავს დაბ-  
მული.

**ბათლომე. არა ძმაო, შენისთანა კაცი იმას კი არა, ეშმაკებ-  
საც კი დააბამს. (იჭინიან) შე შეჩვენებულო ქვრივ-  
საც რო შეავლე ხელი!**

**ბასილა. რა გოგოა ბათლომე, რა გოგოა! მკლავებში რო-  
ჩავჭიდე ხელი, ისეთმა ქრუანტელმა დამიარა ტან-  
ში, რომ კინალამ წავიქეცი.**

**ბათლომე. ოი დაგწყევლოს ღმერთმა, შე ჭინკა შენა.**

**ბასილა. ეხლა კი, რაკი ამ საქმეს მოვრჩი, მე მზადა ვარ-  
თუნდ დილამდე გესაუბრო.**

**ნუცა. მობრძანდით, ვახშამი მზადაა.**


**ბასილა. მოვდივართ, მოვდივართ. (ბათლომეს გზას მისცეს) აბა!**

**ფარდა.**

## ତାତୀଶ୍ଵରାଳୀ ମାନ୍ଦି.

(საშოთალოს კილოგრამი)

ଭବିତରି ଏହାକୁ ଶ୍ଵେତଙ୍କରିବା.



Handwritten musical score for two staves, measures 11-16.

Measure 11 (Top Staff): *f*, *un - es*, *con - d*. Measures 12-13 (Bottom Staff): *poco int.*, *ff a tempo*.

Measure 14 (Top Staff): *mf*, *commodo*. Measure 15 (Bottom Staff): *mf*.

Measure 16 (Bottom Staff): *mf*.

ff a tempo

ritenue

es. - cen. - do

dolce

A handwritten musical score for three voices (Soprano, Alto, Tenor) and piano. The score consists of six staves. The top two staves are for the piano, with the right hand in treble clef and the left hand in bass clef. The bottom four staves are for the vocal parts, with the soprano in soprano clef, alto in alto clef, tenor in tenor clef, and bass in bass clef. The vocal parts have lyrics written below them. The music is in common time, with various dynamics and performance instructions like "po - co - po - co" and "crescendo". The score is written on aged paper.

Soprano lyrics: *in - es - con - don - e ac - ce - le - ran - da*

Bass lyrics: *crescendo*

# ს პ რ ჩ ი პ ი

გვერდი.

1. სანდოო შანშიაშვილი—სალამური . . . . .	3
2. ი. გრიშაშვილი—რა კარგი ხარ . . . . .	5
3. კ. მაყაშვილი —სიკვდილ-სიცოცხლის ცეკვა . . . . .	7
4. ინ —ბანი—ცხოვრების მგზავრი . . . . .	12
წაგართვი მზეო . . . . .	15
გრძნეული ჩანგი . . . . .	17
მზიელა . . . . .	20
5. სანდოო შანშიაშვილი—ბერძო ზმანია . . . . .	29
6. შიო მღვიმელი—მუდამ სევდიანს . . . . .	81
7. ვ. რუხაძე—ამონაკვნესი . . . . .	83
ვნახე ქალი . . . . .	84
8. გ. ქუჩიშვილი —ღამე ნატეხი	85
მერცხლები . . . . .	85
ღელვა . . . . .	86
9. ლეო ქიაჩელი—მუხა და ტირიფი . . . . .	87
10. დ. კასრაძე—ღვირდვა . . . . .	97
11. ალ. ყაზბეგი —დარო . . . . .	110
12. ტრ. რამიშვილი—ჭკუა-მხიარული . . . . .	117
13. დიმიტ. არაყიშვილი —თავისუფალი მარში (ნოტებზე) 139	

## შეცდომის გასწორება.

მეექვსე გვერდზე ი. გრიშაშვილის ლექსში:

არის	უნდა იყოს
ვსე სწრაფად გაირბენს...	ისე სწრაფად გაირბენს.
იით სარკეზე	ვით სარკეზე

მეჩვიდმეტე გვერდზე.

სულდაგმული	სულდმული.
------------	-----------

წიგნი დასურათებულია მხატვარ ჭალიჭო სიდაძოს-  
ერისთავის მიერ

წიგნში ჩართულია 4 სურათი სიბ ქალალდზე,  
ხოლო 16 სურათი ტექსტში.

